ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაცია

ნათია სვანიძე

„სვეტის ტრანსფორმაცია ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში“

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, მანანა შამილიშვილი

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე და ამოცანები 7

კვლევის მეთოდოლოგია 9

კვლევის თეორიული ჩარჩო 12

I. „კალამნისტიკის“ არსის გააზრებისა და „სვეტის“ დეფინიციის განსაზღვრისათვის 15

I.1 ქართულ პრესაში გავრცელებული სვეტების ნაირსახეობა 23

II. საკითხის კვლევის ქართული და საზღვარგარეთული გამოცდილებიდან 25

III. დემოკრატიზაციის პროცესი და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პრობლემები ახალი დროების ქართულ მედიაში 39

IV. შესწავლილი პერიოდული გამოცემების სვეტთა რაოდენობრივი ანალიზი 50

V. თანამედროვე ქართველი მესვეტეების შემოქმედებითი თავისებურებები 60

V.1. რედაქტორის სვეტის ქართველ ავტორთა ხელწერის სპეციფიკა 60

V.2. საავტორო სვეტების სტილისტიკა და პრობლემატიკა 81

VI. თანამედროვე მწერალი-მესვეტეები ქართულ პრესაში 119

დასკვნა 140

დანართი 146

ბიბლიოგრაფია 153

შესავალი

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რეჟიმი დასრულდა, საქართველოში მკვიდრდება და აღმავლობას იწყებს თავისუფალი პრესა. თუკი ტოტალიტარული რეჟიმისა და ავტორიტარული მმართველობის პირობებში სახელმწიფო აქტიურად იყენებდა საინფორმაციო საშუალებებს საკუთარი იდეოლოგიის განსამტკიცებლად, კომუნისტური პარტიის დირექტივების განსახორციელებლად, ახალმა, დამოუკიდებელმა ჟურნალ-გაზეთებმა მკითხველის ცნობიერება სრულიად სხვა ღირებულებებისა და პროფესიული სტანდარტებისკენ მიმართა.

1995 წელს, კონსტიტუციის მიღებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირების საფუძველზე, საქართველოში პირველად გაჩნდა სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული, თანამედროვე დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებული საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა. (ზ. ადეიშვილი, 1972, „მედია და კანონი“)

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა იმთავითვე ხდება ქართული საზოგადოებისა და განსაკუთრებით, დემოკრატიული ღირებულებებისკენ მსწრაფი, იდეოლოგიური ჩარჩოებისგან თავდახსნილი ქართული მედიის სასიცოცხლო ინტერესი.

დემოკრატიულ პრესას თვითგამოხატვის ახალი რეგულაციები გაუჩნდა. ცვლილებების კვალად, მედიაშინაარსმა, ტრადიციულის გვერდით, გამოხატვის ახალი ფორმები მოითხოვა. მედია ჟანრობრივად გამრავალფეროვნდა. ჟურნალ-გაზეთებში წამყვანი ჟანრები ინტერვიუ და ნიუსი გახდა. გაჩნდა ახალი ჟანრებიც, რომლებიც დასავლური პრესის ანალოგიებით შეიქმნა. მათ შორისაა სვეტიც.

ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციები დემოკრატიზაციის პროცესთან ერთად იცვლებოდა. ჟურნალისტიკა, ზოგადად, ეპოქის სახეს, მის

ძირითად მამოძრავებელ იმპულსებს აირეკლავს. შესაბამისად, მედიის განვითარების პროცესზე დაკვირვებით შესაძლებელია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზიც.

ჩემი ამოცანაა, მედიისა და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების კორელაციაში გამოვკვეთო ჟურნალისტური ფორმების ნაირგვარობის, მათი ტრანსფორმაციის თემა და კონკრეტულად, ახალი ჟურნალისტური ფორმის, მედიატექსტის მნიშვნელოვანი სტილური სახესხვაობის - სვეტის განვითარებაზე გავაკეთო აქცენტი.

სვეტის ტრანსფორმაციის მახასიათებლებზე დაკვირვებამ საშუალება მომცა, წარმომეჩინა ჟურნალისტიკის განვითარების ერთიანი პროცესი და მისი როლი და მნიშვნელობა დემოკრატიულ ღირებულებათა გაცნობიერება-შეფასებაში. ამ მიზნის მისაღწევად, დავაკვირდი და შევისწავლე დემოკრატიზაციის პროცესში სვეტის ნიმუშების შემცველი გამოცემების შემოქმედებითი სტრატეგია; სვეტების თემატური კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის გზით შევძელი გამომერკვია, თუ რა შემოქმედებით ხერხებს მიმართავენ დემოკრატიულ ცვლილებებთან თანხვედრით ქართველი ჟურნალისტები და მწერლები საკუთარი თვალსაზრისის წარმოსაჩენად.

ნაშრომში ვეცადე, წარმომეჩინა ჟურნალისტური სვეტის გენეზისი - თუ როგორ მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენში დასავლეთისათვის ესოდენ პოპულარული და სახასიათო ჟურნალისტური ფორმა, რა თავისებურებებით გამოირჩეოდა და როგორ აისახებოდა მასში ის გამოწვევები და პრობლემები, რაც ე.წ. „გადასვლის“ პერიოდის ცვლილებებისთვისაა დამახასიათებელი.

საკვალიფიკაციო ნაშრომი, შესავლისა და დასკვნის გარდა, შედგება ექვსი ძირითადი თავისა და ხუთი ქვეთავისგან. ნაშრომს ახლავს დანართები და ბიბლიოგრაფია.

პირველ თავში - **„კალამნისტიკის“ არსის გააზრებისა და „სვეტის“ დეფინიციის განსაზღვრისთვის“ -** ჟურნალისტური სვეტის რაობისა და მესვეტეობის

არსის განსასაზღვრად მოვიხმე თანამედროვე ჟურნალისტიკამცოდნეობაში არსებული კომპეტენტური თვალსაზრისები. გამოვკვეთე ამ პოპულარული ჟურნალისტური ფორმის მნიშვნელობა და ადგილი ბეჭდურ მედიაში; დეფინიციის შესაბამისობა შინაარსთან და ქართულ რეალობაში მისი სახეცვლილებები. „კალამნისტიკის“ ქართულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, წარმოვაჩინე ამ სახესხვაობის დამკვიდრებისა და განვითარების საფეხურები, მისი როლი დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში. განვიხილე ასევე, სვეტის წარმოქმნის ისტორიული წინაპირობები და მისი წანამძღვრები გასული საუკუნეების ქართულ პრესაში.

მეორე თავში - **„საკითხის კვლევის ქართული და საზღვარგარეთული გამოცდილებიდან“ -** წარმოვადგინე ქართული და საზღვარგარეთული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. მასში საფუძვლიანად აღვწერე თანამედროვე ეტაპზე საკითხის შესწავლის მდგომარეობა. წარმოვაჩინე სხვადასხვა მეცნიერის თვალსაზრისები სვეტის აღმოცენება-განვითარებისა და ტრანსფორმაციის შესახებ; რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლამ შესაძლებლობა მომცა, ნათლად წარმომეჩინა საკითხის კვლევის მნიშვნელობა და აქტუალობა, განსაკუთრებით, დემოკრატიზაციის პროცესის თავისებურებათა გააზრების კონტექსტში.

მესამე თავი - **„დემოკრატიზაციის პროცესი და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პრობლემები ახალი დროების ქართულ მედიაში“ -** ეხება საკუთრივ დემოკრატიზაციის პროცესსა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების სირთულეებს ქართულ სინამდვილეში, რაც, ცხადია, მედიაში მიმდინარე ცვლილებების სახითაც აირეკლებოდა. ქვეყნის დამოუკიდებლობიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებზე თვალის მიდევნებით გამოვკვეთე ის ძირითადი და გარდამტეხი ხდომილებები, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესზე. ამ კონტექსტში წარმოვადგინე

ჟურნალისტური საქმიანობის სირთულეები და ხაზი გავუსვი ჟურნალისტის შემოქმედებით არსენალში ახალი ჟანრობრივი ფორმების, მათ შორის სვეტის მნიშვნელობას.

მეოთხე თავში - **„შესწავლილი პერიოდული გამოცემების სვეტთა რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი“ -** წარმოვადგინე ჩატარებული კვლევის შედეგები. კერძოდ, რელევანტურ წყაროებზე დაკვირვებითა და მათი რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის გზით შესწავლისას მიღებულმა შედეგებმა მომცა მსჯელობის საშუალება, რომლითაც ვამტკიცებ ჩემს ვარაუდებს და პასუხს ვცემ კვლევის დასაწყისში გამოტანილ კითხვებს. კვლევის შედეგები წარმოვადგინე გრაფიკულად.

მეხუთე თავში - **„თანამედროვე ქართველი მესვეტეების შემოქმედებითი თავისებურებები“ -** წარმოვაჩინე ქართველი მესვეტეების ხელწერის სპეციფიკა, მათი შემოქმედებითი ლაბორატორია; ქართულ პრესაში გაბატონებული რედაქტორისა და საავტორო სვეტების თემატური მრავალფეროვნება. ეს ყოველივე განვიხილე მესვეტე-ავტორებთან ჩაწერილი სიღრმისეული ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე.

მეექვსე თავში - **„თანამედროვე მწერალი-მესვეტეები ქართულ პრესაში“ -** ვსაუბრობ თანამედროვე ქართველი მწერლების მესვეტეობის გამოცდილებასა და მათ შემოქმედებით თავისებურებებზე. განვიხილავ ცალკეულ ავტორთა ხელწერით შესრულებულ ამ ყაიდის თხზულებებს, რომელთა უმეტესობა სწორედ საავტორო სვეტებს მიეკუთვნება. გამოტანილი დასკვნები ამ შემთხვევაშიც ეფუძნება მათთან ჩაწერილი სიღრმისეული ინტერვიუების განხილვით მიღებულ შედეგებს.

კვლევის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე და ამოცანები

ჩვენს თანამედროვეობაში საკმაოდ დიდია ინტერესი პოსტსაბჭოთა პერიოდის პრესის მიმართ. ჯერ კიდევ სრულფასოვნად შეუსწავლელია ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული სირთულეები. ის ჟურნალისტური ხელწერა, რაც დამოუკიდებლობის საწყისი ეტაპის ქართული ბეჭდური მედიისთვის იყო დამახასიათებელი; პუბლიცისტთა და პრესაში მოღვაწე ავტორთა მიერ შექმნილი მედიატექსტების სპეციფიკა. საინტერესოა ასევე, საბჭოური სტილისგან განსხვავებული ჟურნალისტური ფორმების წარმოქმნისა და ძველისგან დისტანცირების პრობლემათა კვლევაც.

შედარებით ახალი ჟურნალისტური ფორმა - სვეტი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ქართველი მკვლევრების მიერ ნაკლებად არის შესწავლილი. ეს გარემოება ჩემი კვლევის ერთ-ერთ მთავარ სირთულედ იქცა, მაგრამ ამავე დროს, მომცა შესაძლებლობა, კომპლექსურად მეკვლია ქართულ ბეჭდურ მედიაში სვეტის დამკვიდრების პროცესი და ქართველ მესვეტეთა შემოქმედებითი თავისებურებანი.

ამგვარად, ჩემი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს სვეტის, როგორც ჟურნალისტური ფორმის ტრანსფორმაციის შესწავლა ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში.

კვლევის ამოცანები შემდეგ პუნქტებად ჩამოვაყალიბე:

- ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების სირთულეთა შესწავლა;
- დემოკრატიზაციის პერიოდში აღმოცენებული ახალი ჟანრობრივი ფორმის - სვეტის რაობის, მისი ნაირსახეობებისა და ტრანსფორმაციის ანალიზი;
- ქართველი მესვეტეების შემოქმედებითი თავისებურებების წარმოჩენა;

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ემპირიულ ბაზად მოვიაზრებ იმ ქართულ პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან იწყებენ გამოსვლას და იყენებენ სვეტის ფორმას.

კვლევის ძირითადი მიზნის მისაღწევად, შევისწავლე ქართული პრესის დემოკრატიზაციის დასაწყისიდან დღემდე არსებული გამოცემები და მათში გამოქვეყნებული სვეტების ნაირსახეობები.

კვლევის მიზანდასახულობიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოვთქვამ შემდეგ ვარაუდებს:

- ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შესაძლობლობამ ბიძგი მისცა პრესის დემოკრატიზაციის პროცესს, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მედიატექსტების ფორმისა და შინაარსის ცვლილებას.
- ძველმა ჟანრობრივმა ფორმებმა განიცადა ცვლილება - ზოგი საერთოდ გაქრა მედიასივრციდან, ზოგი კი - ტრანსფორმირდა. ამასთან, გაჩნდა ახალი ფორმებიც.
- ჟურნალისტები და მწერლები „სვეტის“ ჟანრობრივ ფორმას ეფექტურად იყენებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების აქტუალურ პრობლემატიკაზე მსჯელობისთვის; ცალკეულ საკითხებთან მიმართებით საკუთარი კრიტიკული თვალსაზრისის დაფიქსირებისა და აუდიტორიის მიმხრობისთვის.

შესაბამისად, ჩამოვაყალიბე საკვლევი კითხვებიც:

1. რა გავლენა იქონია დემოკრატიზაციის პროცესმა ბეჭდვითი მედიის შინაარსსა და მედიატექსტების ფორმის ცვლილებაზე?
2. რომელი ახალი ჟანრობრივი სახესხვაობები გაჩნდა პერიოდულ გამოცემებში?
3. რა თავისებურებებით გამოირჩევა ქართულ პრესაში ახალდამკვიდრებული ჟურნალისტური სვეტი?

4. ძირითადად, რა პრობლემებზეა მესვეტის ყურადღება გამახვილებული?
5. თვითგამოხატვის რა საშუალებებს იყენებენ მესვეტეები სუბიექტური „მეს“ წარმოსაჩენად?
6. რამდენად ეფექტურია მესვეტეთა ხელწერა აქტუალურ თემებზე მსჯელობისას და რა შემოქმედებით ხერხებს მიმართავენ ისინი საკუთარი პოზიციის მართებულობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად?

ამგვარად, მოცემულ ნაშრომში შევეცდები დავასაბუთო, რომ პრესის დემოკრატიზაციის პროცესმა გამოიწვია ახალი, საბჭოთა პრესისგან სრულიად განსხვავებული ჟურნალისტური ფორმების, მათ შორის - საავტორო სვეტის წარმოქმნა ბეჭდვით მედიაში, რომელსაც აქტიურად იყენებდნენ როგორც ჟურნალისტები, ასევე ქართველი მწერლები. გარკვეული პერიოდის შემდეგ სვეტმა ტრანსფორმაცია განიცადა და ბლოგის სახე მიიღო. მან ბეჭდვით მედიასთან ერთად, ონლაინმედიაშიც გადაინაცვლა.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩემი საძიებელი თემა ქართულ ბეჭდურ მედიაში საავტორო სვეტების გამოქვეყნების სიხშირის, მათი სპეციფიკის განსაზღვრა და მესვეტეთა შემოქმედებითი ლაბორატორიის ჩვენებაა. გამორკვევა იმისა, როგორ გაჩნდა ჟურნალისტიკის ეს შედარებით ახალი ფორმა ქართულ პრესაში, როგორ ვითარდებოდა, როგორ მიაღწია აქტუალობას, ბოლო წლებში კი - დათმო პოზიციები და თანდათან გაქრა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან; რა ფაქტორები განაპირობებდა სვეტებისა და მათი ავტორების - ე.წ. მესვეტეების პოპულარობას.

დასახული მიზნის მისაღწევად, მოვიხმე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი

და ნაწილობრივ სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ. საკვლევ მასალად გამოვიყენე ქართული პერიოდული გამოცემები, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა სიხშირით ბეჭდავდნენ სვეტებს (ძირითადად, რედაქტორისა და საავტორო სვეტებს). ეს გამოცემებია: გაზეთები - „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ვერსია“, „ახალი ვერსია“, „სარბიელი“; ჟურნალები - „ტაბულა“, „ცხელი შოკოლადი“, „ლიბერალი“, „გზა“.

საკვლევად შერჩეული დროითი არეალი შემდეგი პრინციპით განვსაზღვრე: გავეცანი ყველა პუბლიკაციას, რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილი ჟურნალ-გაზეთების მესვეტეები, დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, 2017 წლის აპრილის ჩათვლით ქმნიდნენ. მედიატექსტების გაცნობისა და დამუშავების შემდეგ, სიღრმისეული ინტერვიუები ჩავწერე თორმეტ მესვეტესთან: დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე, გიგი მესვეტე (გიორგი იაკობაშვილი), მერაბ მეტრეველი, ხათუნა ლაგაზიძე, შორენა შავერდაშვილი, ლაშა გაბუნია, ნინო ჯაფიაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, ხათუნა მაისაშვილი, ნინო ბექიშვილი, ზვიად დოლიძე. მათ შორის, ოთხი რესპონდენტი (შორენა შავერდაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, ნინო ჯაფიაშვილი და ნინო ბექიშვილი) წლების განმავლობაში რედაქტორის სვეტებს წერდა, დანარჩენი რვა კი - საავტორო სვეტებს. როგორც ჩანს, რესპონდენტებიდან ორი მწერალია, ხოლო ათი - ჟურნალისტი. პირველ ეტაპზე სიღრმისეული ინტერვიუს ტექსტები სიტყვა-სიტყვით გაიშიფრა, მეორე ეტაპზე კი - დამუშავდა.

კვლევაში პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზის დროს, პირველადი წყაროების კვლევის ფარგლებში შევისწავლე ის გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც სვეტს ბეჭდავდნენ, ხოლო მეორადი წყაროების ანალიზის ფარგლებში გავაანალიზე ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ვივარაუდე, რომ თანამედროვე ქართველი მესვეტეები სვეტის ჟანრობრივ ფორმას აქტიურად და ეფექტიანად იყენებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, კულტურული თუ

სოციალური პრობლემებისადმი საკუთარი შეხედულებების, კრიტიკული თვალსაზრისის, შეფასებების გადმოსაცემად. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართული პრესის დემოკრატიული ტრანსფორმაცია არა მხოლოდ სტრუქტურული და შინაარსობრივი, არამედ ჟანრობრივი ცვლილებებითაც გამოიხატა; ხოლო დასავლური მედიის მსგავსად, ჟანრების სესხება-დიფუზიის პროცესმა ტენდენციის სახე მიიღო.

ინტერვიუებმა საშუალება მომცა, უშუალოდ პირველწყაროსგან მიმეღო ინფორმაცია ჩემთვის საინტერესო თემაზე. გარდა საკვლევი საკითხისათვის რელევანტური მასალისა, საუბრის პროცესში სხვა მრავალი ასპექტიც გამოიკვეთა, რამაც, შემოქმედებით სპეციფიკასთან ერთად, ნათლად გვიჩვენა სვეტის მნიშვნელობა და აქტუალობა სვეტის ავტორთა თვალსაზრისების დემონსტრირებისა და აქტუალურ თემებზე აუდიტორიის ყურადღების კონცენტრირებისთვის. ინტერვიუირების დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, თუ როგორ და რატომ დაიწყეს ჩვენმა რესპონდენტებმა სვეტების წერა, რატომ აირჩიეს თვითგამოხატვისთვის ეს ჟურნალისტური ფორმა; რატომ მოსწონთ მინიმალისტური ხელწერის, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ პრინციპი; რა მოლოდინი ჰქონდათ სვეტის წერისას; რა თვისებები, უნარები უნდა გააჩნდეს, მათი მოსაზრებით, კარგ მესვეტეს, როგორ უნდა გადმოსცეს სათქმელი, რომ მკითხველი აუდიტორია დაარწმუნოს საკუთარ სიმართლეში, მისი გული მოინადიროს.

იმის გასარკვევად, თუ რა სიხშირით ჩნდებოდა სვეტი და როგორ ტრანსფორმირდებოდა ქართული დემოკრატიული პრესის განვითარებასთან ერთად, კვლევის მეთოდად რაოდენობრივი ანალიზი გამოვიყენე. შერჩეული ბეჭდური გამოცემების (გაზეთები: „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ვერსია“, „ახალი ვერსია“, „სარბიელი“; ჟურნალები: „ტაბულა“, „ცხელი შოკოლადი“, „ლიბერალი“, „გზა“) ყველა ნომერი შევისწავლე და თითოეული სვეტი დავთვალე. სვეტების დათვლამ საშუალება მომცა, წარმომეჩინა სვეტის განვითარების საფეხურები და ამასთან, დამემტკიცებინა ვარაუდი, რომ მისმა განვითარებამ რაღაც ეტაპზე გარკვეულ პიკს

მიაღწია და მერე უკუსვლა იწყო, ხოლო შემდეგ სახე იცვალა და ბლოგის სახით გამოჩნდა სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტულ მასმედიაში. დღეს სვეტი გვხვდება ორ პერიოდულ გამოცემაში - ეს გახლავთ რედაქტორის სვეტი ჟურნალ „ლიბერალში“ და საავტორო სვეტი ჟურნალ „გზაში“.

რაოდენობრივი ანალიზის პროცესში მიჯრით შევისწავლე ზემოთ ნახსენები პერიოდული გამოცემების ყველა ნომერი და დავითვალე სვეტების რაოდენობა. გამოქვეყნებული სვეტების რაოდენობა დავაჯამე წლების მიხედვით და ასევე, სვეტები დავაჯგუფე თემატური სახესხვაობების მიხედვით.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულ პრესაში ძირითადად იბეჭდება რედაქტორის სვეტი და საავტორო სვეტი, რომელიც თემატურ სვეტებს აერთიანებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ავტორი-მესვეტეები წერენ მოსაზრების სვეტებს მათთვის საინტერესო თემებზე, იმ საკითხებზე, რომელთა შესახებაც მათ სიტყვა ეთქმით.

კვლევის თეორიული ჩარჩო

კვლევისას გამოვიყენე დანიელ ჰალინისა და პაოლო მანჩინის თეორია მედიის პოლარიზებულ - პლურალისტური მოდელის შესახებ. ავტორები წიგნში - „მედიასისტემების შედარება“ - პოლიტიკისა და მედიის ურთიერთმიმართების დასახასიათებლად სამ მოდელს გვთავაზობენ:

1. პოლარიზებულ-პლურალისტური მოდელი ანუ ხმელთაშუაზღვისპირეთის მოდელი (სააფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი);
2. ლიბერალური ანუ ანგლოსაქსური მოდელი (დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, ირლანდია);

3. დემოკრატიული კორპორატივიზმი, ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის მოდელი (ავსტრია, ბელგია, გერმანია, შვეიცარია, ჰოლანდია, ნორვეგია). (ალლინ & ანცინი, 2004).

ამ მოდელების შედარებითი ანალიზისთვის ავტორები შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფენ:

- მედიაბაზრის სტრუქტურა, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პრესის მასობრივი ტირაჟის არსებობაზე;
- პოლიტიკური პარალელიზმი, რომელიც მედიისა და პოლიტიკური სტრუქტურების ურთიერთკავშირის ხასიათს და ხარისხს გულისხმობს, ასევე ტენდენციას, თუ რამდენად ასახავს მედია მთავარ პოლიტიკურ ძალას;
- ჟურნალისტური პროფესიონალიზმის განვითარება;
- სახელმწიფოს როლი ინფორმაციულ სისტემაში, იგულისხმება მედიასისტემებზე სახელმწიფოს კონტროლის ხარისხი (ალლინ & ანცინი, 2004).

❖ მედიაბაზრის სტრუქტურას და პრესის მასობრივი ტირაჟის განივთარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური და პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში მედიის როლის დასახასიათებლად. ბაზარზე ორიენტირებული, მასობრივი ტირაჟის მქონე პრესის განვითარება მედიისათვის დამოუკიდებლობის გარანტიაა. სხვა შემთხვევაში, მედია ფინანსურად პოლტიკურ აქტორებზე ხდება დამოკიდებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ საბაზრო პრინციპები არ არის დაცული, პრესის მასობრივი წარმოების განვითარება კომერციალიზაციასა და დამოუკიდებლობასთან კავშირში არ არის (ალლინ & ანცინი, 2004).

- პოლიტიკური პარალელიზმი მედიის შინაარსობრივ ასპექტებს ეხება. პოლიტიკური პარალელიზმი გულისხმობს, თუ რამდენად ასახავს სხვადასხვა მედიასაშუალება ახალი ამბების, მიმდინარე მოვლენებისა და ხანდახან გასართობი გადაცემების წარმოდგენისას მკაფიო პოლიტიკურ ორიენტაციას. პოლიტიკის ადვოკატირება ჯერ კიდევ ბეჭდური მედიის განვითარების პერიოდში იყო პრესის ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქცია. ჟურნალისტები ხშირად პუბლიცისტები იყვნენ, რომლებიც

პოლიტიკური პროცესების შეფასებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენას ახდენდნენ, გაზეთები კი - პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერითა და დაფინანსებით არსდებოდა. „ჟურნალისტიკის, როგორც პოლიტიკურ კომუნიკაციაში დამოუკიდებელი არბიტრის როლი, კომერციული პრესის განვითარებას უკავშირდება“, ამ შემთხვევაში მედია მოგებაზეა ორინეტირებული და არა პოლიტიკური ინტერესების მსახურებაზე. (ალლინ & ანცინი, 2004).

იმის მიხედვით, თუ როგორ ასახავს მედია პოლიტიკური ორიენტაციების მრავალფეროვნებას, დენის მაკქუელი მედიის ნორმატიულ თეორიაში განასხვავებს მედიის „შიდა“ და „გარე“ მრავალგვარობას. „გარე“ მრავალგვარობის შემთხვევაში, თითოეული მედიასაშუალება კონკრეტული იდეოლოგიის ან მხარის პრომოუშენს ეწევა. „გარე“ პლურალიზმისას მაღალია პოლიტიკური პარალელიზმის ხარისხი. „შიდა“ მრავალგვარობა წარმოჩენილია, როდესაც ერთი და იგივე მედიასაშუალება საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ თვალსაზრისებს ფარავს და ამასთანავე, არც ერთს არ ემხრობა (ც უაილ, 2010).

ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ფაქტორი სიბერტის, პეტერსონის და შრამის მიერ შემოთავაზებულ „სოციალური პასუხიმგებლობის მოდელს“ შეესაბამება. ჟურნალისტი ორიენტირებული უნდა იყოს ემსახუროს საზოგადოებრივ და არა კერძო ინტერესებს და იცავდეს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის კოდექსს. ბუნებრივია, რომ მაღალი პოლიტიკური პარალელიზმის პირობებში ჟუნალისტური პროფესიონალიზმი დაბალია (ც უაილ, 2010).

სახელმწიფოს ჩართულობა მედიასისტემაში ცენზურის ან მასზე სხვა სახის პოლიტიკური კონტროლის არსებობას გულისხმობს; ასევე - მედიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებობას, სამართლებრივი რეგულაციების დაწესებას. როცა სახელმწიფოს ჩართულობა მაღალია, სახელმწიფო მოიაზრება, როგორც სანდო ინფორმაციის მთავარი წყარო და ახალი ამბების დღის წესრიგის განმსაზღვრელი (ალლინ & ანცინი, 2004).

ამ თეორიის განვითარებისას, ავტორები ხაზს უსვამენ, რომ მედია არ არის სტატიკური სისტემა და მისი განვითარება ისტორიულ ჭრილში უნდა

განვიხილოთ. ამასთანავე, აქ წარმოდგენილი მოდელები იდეალური ტიპებია და კონკრეტული ქვეყნის მაგალითი შეიძლება მოდელს უხეშად შეესაბამებოდეს. ერთი და იმავე ჯგუფში მოქცეული ქვეყნებიც კი, მაგალითად, ბრიტანული და ამერიკული მოდელი (ლიბერალური) ან იტალიური და ესპანური მოდელი (პოლარიზებულ-პლურალისტური) ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება (ხანთაძე, 2014).

ჰალინისა და მანჩინის კონცეფციის „ხმელთაშუაზღვისპირეთის მოდელი" კარგად ასახავს პოსტტოტალიტარული პერიოდის მედიაგარემოს:

„ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მოდელის თანახმად, ქვეყანაში შესაძლებელია არსებობდეს პლურალისტული გარემო, იდეების მრავალგვარობა, რომელთაც მედია სრულად ასახავდეს და შესაბამისად, ფორუმსაც სთავაზობდეს საზოგადოებას, პოლიტიკურ პროცესებში მეტი ჩართულობისთვის, მაგრამ იდეურად მკვეთრად დაპირისპირებული ვითარება პოლარიზებულ მედიაგარემოს ქმნიდეს. ამ პირობებში თითოეული გავლენიანი მედიასაშუალება კონკრეტული პოლიტიკური ძალის პრომოუშენს ეწევა და ფაქტობრივად, ერთი რომელიმე იდეოლოგიის მსახურად გვევლინება (შამილიშვილი, 2007).

I. „კალამნისტიკის" არსის გააზრებისა და „სვეტის" დეფინიციის განსაზღვრისათვის

ჟურნალისტური ჟანრების პირველადი ფორმები ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში წარმოიშვა და გაზეთების აღმოცენების დროიდან სრულყოფას განიცდიდა. თუმცა, საბოლოო სახე ჟურნალისტურმა ჟანრებმა მე-19 საუკუნეში - სარედაქციო საქმიანობის აღორძინების ეპოქაში მიიღო.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საავტორო თავისუფლების ხარისხის ზრდამ პირდაპირპროპორციულად იმოქმედა ისეთი ჟანრის აქტუალობის მატებაზე,

როგორიცაა „საავტორო სვეტი“. აღნიშნული ვითარება მიუთითებდა იმდროინდელ საზოგადოებაში კონკრეტული ავტორის მნიშვნელობაზე, რის გამოც საავტორო სვეტი, საგაზეთო სტატიათა რიგითი ნაირსახეობიდან დამოუკიდებელ ჟანრად გარდაიქმნა.

ტერმინი „სვეტი“ წარმოადგენს ინგლისური „ცოლუმნ“-ის თარგმანს, რის გამოც მათ ავტორებს „კალამნისტებს“, იმავე „მესვეტეებს“ უწოდებდნენ. კემბრიჯის ელექტრონული ენციკლოპედია „კალამნისტს“ განსაზღვრავს, როგორც ავტორს მრავალრიცხოვანი ესეებისა, რომლებიც რეგულარულად ჩნდება პერიოდიკაში (ჩამბრიდგე იცტიონარიეს ონლინე).

რენდომ ჰაუსის ინგლისური ენის ლექსიკონში „სვეტი“ განმარტებულია, როგორც გაზეთის, ჟურნალის რეგულარული განყოფილება, რომელსაც, წესისამებრ, ადვილად ამოსაცნობი სათაური და რედაქტორის ხაზგასმა აქვს. იგი გვატყობინებს კონკრეტული სფეროს კომენტირების შესახებ, როგორცაა: ეტიკეტი, პოლიტიკა, თეატრი, ან რამდენიმე მომიჯნავე სფერო; შეიძლება შეიცავდეს მკითხველის კონტრიბუციას ან ციტატებს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან და ა.შ. (შტეინ, 1971).

ლონგმენის ინგლისური ენისა და კულტურის ლექსიკონში სვეტის შემდეგი განმარტებაა მოცემული: „სვეტი“ არის სტატია კონკრეტული მწერლისა კონკრეტულ თემაზე, რომელიც რეგულარულად ჩნდება გაზეთში ან ჟურნალში. რენდომ ჰაუსის ლექსიკონისგან განსხვავებით, ლონგმენის ლექსიკონში, სვეტის განმარტებას ემატება ინფორმაცია ავტორის ფუნქციის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა ამ განმარტებებში ისეთი მახასიათებლები არაა მითითებული, რაც მკითხველს საშუალებას მისცემდა, სვეტი სხვა საგაზეთო ჟანრებისგან განესხვავებინა (შუმმერს, 1993).

„ბიბისის“ ინგლისური ენის ლექსიკონის მიხედვითაც, სვეტი არის ჩვეულებრივი განყოფილება ან სტატია გაზეთსა და ჟურნალში, რომელიც ერთი და იმავე პირის მიერ იწერება. კემბრიჯის ონლაინლექსიკონი ასევე დიდ ყურადღებას ამახვილებს ავტორზე და განმარტავს, რომ სვეტი არის თხზულება გაზეთსა და

ჟურნალში, რომელიც ერთიდაიმავე პირის მიერ რეგულარულად იწერება, როგორც წესი, განსაზღვრულ თემაზე (შინცლაირ, 1994).

ქართულ ენაზე არსებულ განმარტებით ლექსიკონებში სვეტი ძირითადად განმარტებულია თავდაპირველი მნიშვნელობით, როგორც კოლონა, შენობის ნაწილი. ინგლისურ-ქართულ ლექსიკონშიც, „ჩოლუმნ“ განმარტებულია, როგორც სვეტი, ბოძი.

თემატური ორიენტაციის მხრივ, საავტორო სვეტი შესაძლოა იყოს ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, მიმდინარე მოვლენათა ამსახველი, სპორტული, ეკონომიკური, ლიტერატურული, კულინარიული და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სვეტი საავტორო სვეტად ვერ იწოდება. საავტორო სვეტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს პრობლემის სუბიექტურ ხედვას და არა მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას. კალამნისტების უმთავრესი მიზანი არის არა აუდიტორიის ინფორმირება, არამედ მკითხველის დაინტერესება და მისი ყურადღების მიპყრობა აქტუალურ პრობლემაზე. მკითხველები უფრო მეტად რომ გრძნობდნენ ავტორის არსებობას, როგორც წესი, სვეტს აფორმებენ ავტორისვე ფოტოსურათით. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია გავიხსენოთ ინგლისური გაზეთის „ აილყ ირრორ”-ის ტრადიცია, რომელშიც 30 წლის განმავლობაშიც იბეჭდებოდა ცნობილი კალამნისტის, უ. კონორის სვეტი მისი ფოტოსურათით. იგი საკუთარ ტექსტებს ფსევდონიმ „კასანდრას“ სახელით აქვეყნებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საავტორო სვეტებისთვის დამახასიათებელია კომპაქტური მოცულობა, მასალის გადმოცემის ემოციურად გაფორმებული სტილი და მოვლენათა მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფასებები. საავტორო სვეტში უმთავრესია ავტორის პოზიცია, სიტუაციისა თუ პრობლემის მისეული ხედვა. შედეგად, კალამნისტი ყოველთვის ცნობადი სახელის მქონე ადამიანს წარმოადგენს. ამის გამო, ის მკითხველები, რომლებიც, როგორც წესი, არ იხდიან თანხას ახალ ამბებში, შესაძლოა ხალისით ყიდულობდნენ ამა თუ იმ კალამნისტის საავტორო მოსაზრებებს სწორედ მათი ავტორიტეტულობის გამო. ამიტომ,

კალამნისტიკა, როგორც საავტორო პუბლიცისტიკა, აერთიანებს სხვადასხვა ჟანრის იმგვარ ტექსტებს, რომლებშიც დომინირებს საავტორო საწყისი.

საავტორო სვეტი აერთიანებს როგორც ინფორმაციულ-პუბლიცისტურ, ასევე - ანალიტიკურ და მხატვრულ ელემენტებს, რომლის საბოლოო მიზანიც მკითხველთათვის ინფორმაციის ყოველმხრივი, ამომწურავი და ამავდროულად - ავტორისეული ხედვით გაჯერებული მიწოდებაა, რომელიც, ავტორის სუბიექტურობის მიუხედავად, ობიექტურობას სრულად არ უნდა კარგავდეს.

თავდაპირველად სვეტებში იბეჭდებოდა ის ინფორმაცია, რომელზეც გაზეთის რედაქციას ყურადღების გამახვილება სურდა. ამგვარი მასალა შესაძლოა ყოფილიყო განცხადებები, ექსტერნული სიახლეები, ოფიციალური შეტყობინებები და ა.შ. შემდეგ, თანდათანობით სვეტის მნიშვნელობამ უფრო საყოფაცხოვრებო-ყოველდღიური ხასიათი შეიძინა, მაგრამ ეს არ იყო სვეტი იმ დატვირთვით, რა დატვირთვაც მას შემდეგ მიენიჭა, როგორც პუბლიცისტურ ჟანრს.

მე-19 საუკუნეში მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე. წ. „ჭორების“ სვეტები, რომელშიც ქვეყნდებოდა ცნობები მოქალაქეთა იმჟამინდელი ცხოვრების - დაბადების, ქორწინების, ნიშნობის, გარდაცვალების, მგზავრობის, შვებულების და სხვა ამგვარ მოვლენათა შესახებ. ამგვარად, სვეტი იქცა საგაზეთო სივრცის იმ ადგილად, სადაც რეგულარულად გამოქვეყნებული ფრაგმენტებისაგან ფორმირდებოდა რიგითი ადამიანების ცხოვრების ზოგადი სურათი.

ამის შემდგომ, სვეტში კონცენტრირება იწყო მკაფიოდ გამოკვეთილი საავტორო საწყისების მქონე ტექსტებმა - კომენტარებმა, ესეებმა, რეცენზიებმა და ა.შ. მერე კი, ჟანრობრივი დიფუზიისა და ჰიბრიდიზაციის პროცესთა ზეგავლენით, ასევე - ავტორისა და მკითხველის თვითშემეცნების ცვლილებისა და პუბლიცისტიკაში არსებული ახალი ტენდენციების გამო (როდესაც ინტერესი ცალკეული პიროვნების მიმართ იმდენად გაძლიერდა, რომ პრესაში შესაძლებელი გახდა დღიურისებური ჟანრების აღმოცენება) - მოხდა სვეტის, როგორც ჟურნალისტური ჟანრის ფორმირება.

გერმანულ პრესაში საგაზეთო ტექსტები გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. მარინა ჯაში, სტატიაში „გერმანული საგაზეთო ტექტების ჟანრობრივი დახასიათება“ (ჯაში, 1999), გერმანულ საგაზეთო ტექსტებს სამ ძირითად ტექსტობრივ ჟანრს მიაკუთვნებს: 1) რეფერატული ხასიათის ტექსტობრივი ჟანრი: ინფორმაცია, კორესპონდენცია, დოკუმენტაცია. 2) ინტერპრეტაციული ხასიათის ტექსტობრივი ჟანრი: რეპორტაჟი, ნარკვევი; ლიტერატურული ხასიათის დიდი საგაზეთო სტატია; პორტრეტი; ინტერვიუ, დისკუსია; წერილი; ფელეტონი; ესე. 3) კომენტარის ხასიათის ტექსტობრივი ჟანრი, რომელსაც მიეკუთვნება კომენტარი; მოწინავე სტატია, პოლიტიკური კომენტარი, გლოსე - სატირული ხასიათის საგაზეთო ცნობა; საგაზეთო სვეტი; კრიტიკა/რეცენზია. ავტორი თითეული ჟანრის მოკლე განმარტებებს გვაძლევს. სვეტის შესახებ წერს: „ეს არის განსაკუთრებული სვეტი, სადაც ესა თუ ის ავტორი რეგულარულად აქვეყნებს თავის სტატიებს, ხშირად ძალიან ცნობილი პუბლიცისტი. გაზეთები და ჟურნალები ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი არ იზიარებენ აღნიშნული ავტორის თვალსაზრისს, არამედ მას მხოლოდ სტატიის გამოქვეყნების ან აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევენ. ამიტომ ხშირად ასეთ ავტორთა ტექსტები უცვლელად იბეჭდება, არ ხდება მათი რედაქტირება და ავტორის სტილი შენარჩუნებულია.“ (ჯაში, 1999). ეს განმარტება ძალიან მწირია და თითქმის არაფერს გვეუბნება, სვეტის, როგორც განსაკუთრებული ჟურნალისტური ფორმის მახასიათებლების შესახებ, თუმცა ნიშანდობლივია ის, რომ გერმანულ პრესაში კონკრეტული ავტორის სპეციალური საგაზეთო სვეტი - ოლუმნე გვხვდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მოწინავე სტატია“ ჩვენში საბჭოურ გამოცდილებასთან ასოცირდება. მოცემული ჟანრი სწორედ კომუნისტური ეპოქის პრესაში იყო გაბატონებული. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა ავტორს ეს სახელდება არ გამოეყენებინა და შეეცვალა „მეთაური სტატიით“, მე-19 საუკუნის ჟურნალისტიკაში დამკვიდრებული განსაზღვრების მსგავსად.

ქართულ პერიოდულ გამოცემებში გავრცელებული საავტორო სვეტების დიდი ნაწილი გერმანულ ლოსსე-ს უფრო ჰგავს. „გლოსე“ არის მცირე ზომის კომენტარი, რომელსაც კრიტიკული ხასიათი აქვს. მისი ფუნქციებია: დაცინვა, გაკიცხვა, მხილება, განმარტება. იგი გამოირჩევა ყოფითი ლექსიკით, უბრალო ხალხის პოზიციაზე დგას და მათი პოზიციიდან კიცხავს, დასცინის იმას, რაც მისი თვალთახედვის არეში ექცევა. იგი არის პუბლიცისტიკის სატირული მოკლე ფორმა, ის შეიძლება ეხებოდეს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემას, ასევე დიდ პოლიტიკასაც. ახდენს მოვლენებისა და ფაქტების ემოციურ შეფასებას და კომენტარის უპირობო ობიექტურობისგან განსხვავებით, განსაკუთრებით ემოციურია (ჯაში, 1999). თუმცა, ამერიკულ და ევროპულ პრესაშიც გლოსეს, ისევე, როგორც ფელეტონის, კომენტარის ნიშნებს საავტორო სვეტი აერთიანებს და „გლოსე“ ცალკე ჟანრად არ გვხვდება.

„გლოსე“ თავისი ჟანრობრივი წარმომავლობით ფელეტონს უკავშირდება. ფელეტონი კი, თავის მხრივ, როგორც ფუნქციური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, ყველა სხვა ჟანრზე მეტად გამოხატავს ჟურნალისტიკის პუბლიცისტურ არსს (ჯაში, 1999). იგივე შეიძლება ვთქვათ საავტორო სვეტზეც. ეს არის ჟურნალისტური ფორმა, რომელიც ჟურნალისტიკის პუბლიცისტურ არსს გამოხატავს. შესაბამისად, მესვეტეებიც ძირითადად არა ჟურნალისტები, არამედ მწერლები და პუბლიცისტები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ სვეტის მსგავსი პუბლიკაციები ქართულ პრესაში მე-19 საუკუნეშიც არსებობდა, იმ დატვირთვით, რა დატვირთვაც თანამედროვე პრესაში სვეტს გააჩნია, დემოკრატიზაციის პერიოდის ქართული პრესისთვის სრულიად ახალი, ინოვაციური ფაქტია. ინოვაციურობა, თავის მხრივ, წარმოშობითა და არსით პოსტმოდერნიზმს, როგორც კულტურულ პარადიგმას უკავშირდება.

სამეცნიერო სტატიებსა თუ განმარტებით ლექსიკონებში ბევრგან შეგვხვდა მოსაზრება, რომ სვეტი ჟანრობრივი წარმოშობით ფელეტონს უკავშირდება. იმ

ჟურნალისტურ ჟანრს, რომელიც, შეიძლება ითქვას, როგორც ფუნქციური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველა სხვა ჟანრზე მეტად გამოხატავს და განასახიერებს ჟურნალისტიკის პუბლიცისტურ არსს.

სვეტის განსაზღვრისას ანუ მისი დეფინიციისას, ლოგიკას თუ მივმართავთ, ლოგიკის, როგორც მეცნიერების ფარგლებში ორი ისეთი ტიპის დეფინიცია არსებობს, რომელთა არსმა და სტრუქტურამ შეიძლება უპასუხოს სვეტის, როგორც ჟურნალისტური ფენომენის სინთეზური განსაზღვრის ამოცანას (ტაბაღუა, 2009).

თანამედროვე ლოგიკა ორი ტიპის დეფინიციას შემდეგნაირად განმარტავს:

1) „ატრიბუტულ-რელაციური" ტიპი: „იგი მიუთითებს უახლოეს გვაროვნულ განსხვავებასა და იმ სახეობით ნიშან-თვისებაზე, რომლითაც ხასიათდება მხოლოდ ეს სახეობა". 2) „გენეტიკური" ტიპი: „იგი მიუთითებს საგნის თუ ფენომენის წარმომავლობაზე" (ტაბაღუა, 2009).

დეფინიციის ამ ორ ტიპზე დაყრდნობით შესაძლებელია სვეტის ისეთი განსაზღვრა, რომელიც მეტ-ნაკლებად მოგვცემდა მისი სინთეზური ხედვის საშუალებას. სვეტის ინოვაციურობა გულისხმობს გენეტიკურ ასპექტს, მისი ფელეტონისგან წარმომავლობა კი - რელაციურ-ატრიბუტულს.

შევეცადოთ სვეტის ისეთი განმარტება მოვიხმოთ, რომელიც თანმიმდევრულად დაეყრდნობა დეფინიციის ზემოაღნიშნულ ორივე ტიპს:

1. სვეტის რელაციურ-ატრიბუტული განსაზღვრა

„თანამედროვე ჟურნალისტიკაში ინოვაციათა ფენომენს საფუძველი პოსტმოდერნიზმმა ჩაუყარა, რომელიც მიზნად ისახავს სტილთა და ჟანრთა პარადიგმების გარდაქმნა-სინთეზს და სწორედ ამგვარი გარდაქმნა-სინთეზი განაპირობებს ინოვაციათა წარმოშობას.

პოსტმოდერნიზმის წიაღში წარმოშობილი სვეტი, როგორც პუბლიცისტურ-მხატვრული ჟანრი, სწორედ, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა გარდაქმნა-სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ჟურნალისტიკის ტრადიციული ჟანრებისგან სვეტი ან მემკვიდრეობით იღებს, ან სესხულობს სახასიათო ნიშნებს, ახდენს მათ სინთეზსა და გარდაქმნას და ყალიბდება ინოვაციურ ჟანრად.

ინფორმაციული, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრებისგან სვეტმა „ისესხა“ დოკუმენტურობა, კომენტარი და სტილური ნიშნები: ირონიულობა, პამფლეტურობა და სატირის ელემენტები.

სვეტი ის ინოვაციური ჟანრია, რომელიც ახდენს დოკუმენტურ, ანალიტიკურ და მხატვრულ-პუბლიცისტურ ელემენტთა სინთეზს. ამასთან, სვეტი არ ივიწყებს ჟურნალისტურ ჟანრთა იმ უმთავრეს პირობას - ფაქტობრიობას.“ (ტაბაღუა, 2009).

რევაზ სურგულაძე და ელდარ იბერი წიგნში - „მასობრივი კომუნიკაცია“ (სურგულაძე & იბერი, 2003) წერენ: „ყველა მედიაჟანრს საკუთარი დიფერენციალური ნიშნები აქვს”. თუ სვეტს, განვიხილავთ, როგორც ჟანრს, მის დიფერენციალურ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს: ინფორმაციულობა, ანალიტიკურობა და მეტწილად ირონიულობა.

სვეტის რელაციურ-ატრიბუტული განსაზღვრების მიხედვით, სვეტი სინთეზური ჟანრია და ამ სინთეზურობას ფაქტობრიობის, ანალიტიკურობისა და შეფასებითი მიდგომის ურთიერთშერწყმა ქმნის.

2. სვეტის „გენეტიკური“ განსაზღვრა:

ფელეტონი - ეს არის პუბლიცისტიკის წამყვანი სატირული ჟანრი, იგი ახდენს სატირული პუბლიცისტური ჟანრების ყველაზე ტიპური მხარეების კონცენტრირებას, სინთეზირებას. ნარკვევის მსგავსად, ფელეტონი იძლევა შემოქმედებითი წარმოსახვის მნიშვნელოვან თავისუფლებას ნაწარმოების

კომპოზიციური წყობის შექმნის, აგრეთვე გამოსახვითი საშუალებების შერჩევის პირობებში (სურგულაძე, 1996).

სვეტი, ფელეტონის მსგავსად, უხვად იყენებს სატირას, გროტესკსა და ირონიას. იგი მის მიერ დანახულს თუ გაგონილს სახალხოდ „ხდის ფარდას“, „აშიშვლებს“ საზოგადოების წინაშე. იგი ფელეტონივით მიზანსწრაფული და თავისუფალია შემოქმედებით წარმოსახვაში.

თუმცა, სვეტი უფრო მეტია, ვიდრე ფელეტონი. ის შემოქმედებითად უფრო თავისუფალია, მისი წერის სტილი და გამოყენებული ტერმინოლოგია უფრო სასაუბროა, ვიდრე ფელეტონის კულტურულად დახვეწილი, თითქოს მხატვრული სტილი.

I.1 ქართულ პრესაში გავრცელებული სვეტების ნაირსახეობა

ამერიკელი თეორეტიკოსები ჟურნალისტურ სვეტებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: თემატურ-პრობლემური სვეტები, როდესაც სხვადასხვა ავტორი, გამოცემის კონკრეტულ, უცვლელ ადგილას, ერთსა და იმავე თემაზე წერს სისტემატურად და საავტორო სვეტი, როცა მუდმივად ერთი ავტორი შეუზღუდავად წერს ნებისმიერ თემაზე.

არსებობს ვრცელი თემატური კლასიფიკაციაც: იუმორისტული სვეტი, სვეტები ცხოვრების წესის შესახებ, მეტროთემატიკის სვეტი (დიდი ქალაქის ცხოვრებას ეხება), სვეტი-თვალსაზრისი. ასევე, უფრო დავიწროებული თემატიკისაც: მრჩევლის სვეტი, კრიტიკული მიმოხილვების სვეტი, თვალსაზრისის სვეტი, ჭორების სვეტი, იუმორისტული სვეტი, კულინარიული სვეტი და ა.შ. მათგან ყველაზე გავრცელებული სახეებია: მოსაზრების, რედაქტორის, მრჩევლის და თემატური სვეტები. ეს უკანასკნელი კონკრეტულ სფეროს თუ თემას ეხება.

ქართულ პრესაში ყველაზე ხშირად გვხვდება რედაქტორის, თვალსაზრისისა და თემატური სვეტები.

თუ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე რედაქტორის სვეტი იშვიათად ჩნდებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, დემოკრატიულმა პრესამ სრული უფლება მიანიჭა რედაქტორებს - ეწერათ იმის შესახებ, რაც თავად სურდათ; გულწრფელად გამოეხატათ საკუთარი პოზიცია, პიროვნული შეხედულებები და მისწრაფებები, ინდივიდუალური „მე“.

არანაკლებ საინტერესოა საავტორო სვეტები, რომელთა ავტორები არა პროფესიონალი ჟურნალისტები, არამედ სხვადასხვა სფეროს ცნობილი წარმომადგენლები - მწერლები, მუსიკისმცოდნეები, ხელოვნებისა და სპორტის ექსპერტები არიან. ეს საავტორო სვეტები ჟურნალ-გაზეთების შინაარსსაც ამრავალფეროვნებენ და მათ რეიტინგულ სკალასაც მაღლა სწევენ.

სვეტი, უპირველეს ყოვლისა, ავტორის პოზიციას გადმოგვცემს კონკრეტულ მოვლენასთან, საკითხთან, თემასთან მიმართებით. მოიცავს პრობლემის ავტორისეულ, სუბიექტურ ხედვას და არა მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას. მესვეტეთა უმთავრესი მიზანი არის არა მხოლოდ აუდიტორიის ინფორმირება, არამედ მკითხველის დაინტერესება და ორიგინალური ხელწერით მათი ყურადღების მიპყრობა აქტუალურ პრობლემებზე (ჩარდოზა, 2000).

საავტორო სვეტებისთვის დამახასიათებელია: ლაკონურობა, კომპაქტური მოცულობა, მასალის გადმოცემის ემოციურად დატვირთული სტილი და მოვლენათა მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფასებები. საავტორო სვეტში უმთავრესი ავტორის პოზიციაა, სიტუაციისა თუ პრობლემის მისეული ხედვა.

საავტორო სვეტი ერთი და იმავე, მუდმივი ავტორის მიერ იქმნება, გარკვეული რეგულარობით ქვეყნდება ერთსა და იმავე გამოცემაში და წინასწარ განსაზღვრულ, უცვლელ ადგილას იბეჭდება.

რედაქტორისა და მოსაზრების სვეტების ავტორები, რომლებიც გლობალურ საკითხებსა და მოვლენებზე წერენ, საკუთარ კომენტარებში, გარკვეულწილად, ამ მოვლენათა ლოკალიზებას ახდენენ, რაც ხელს უწყობს მკითხველს, უფრო მარტივად გაიაზროს ეს მოვლენები.

ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი ანალიზის მიხედვით შექმნილ დიაგრამაზე ჩანს, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე ხშირია სხვადასხვა თემატიკის საავტორო სვეტი. ქართულ ბეჭდურ გამოცემებში გამოქვეყნებული, ჩვენ მიერ შესწავლილი ოთხი ათასამდე სვეტიდან მხოლოდ 179 იყო რედაქტორის სვეტი (იხ. გრაფიკი 1.).

II. საკითხის კვლევის ქართული და საზღვარგარეთული გამოცდილებიდან

ქართულ პრესაში, კერძოდ კი საბჭოთა პერიოდის გამოცემაში - გაზეთ „კომუნისტში“ ტერმინი „რედაქტორის სვეტი“ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა, რაც იმ დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა. თუმცა, როგორც დიანა ტყებუჩავა (ტყებუჩავა, 2009) აღნიშნავს, იმ ეპოქის რედაქტორები წმინდად შემოქმედებითი-ჟურნალისტური უნარების ნაკლებობას განიცდიდნენ. ეს, თავის მხრივ, საბჭოთა სისტემის სპეციფიკით იყო განპირობებული, რაც არათუ ჟურნალისტს, არამედ ყოველ ინდივიდს თავისუფალი აზროვნების გამოვლენას უკრძალავდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს არსებული „რედაქტორის სვეტი“, საბჭოთა ჟურნალისტიკის იმდროინდელი ფორმებისგან განსხვავებით, მაინც აძლევდა ავტორს საკუთარი სახის, მისი პიროვნებისა და კონცეფციის გამოკვეთის შესაძლებლობას. (ტყებუჩავა, 2009).

დიანა ტყებუჩავა აღნიშნავს, რომ მიუხედავად საავტორო ჟურნალისტიკის ფორმების აღმოცენების შეფერხებისა ქართულ ჟურნალისტიკაში, საავტორო სვეტისა და ე.წ. „კალამნისტების“ არაფორმალური ისტორია, შესაძლოა, მნიშვნელოვნად ადრე იღებდეს სათავეს. ავტორი ადრინდელი ქართული კალამნისტიკის მაგალითებად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძისა და სხვათა პუბლიცისტიკას მიიჩნევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საავტორო სვეტის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებელს ავტორის მიერ სათქმელის ლაკონურად და მკაფიოდ გადმოცემა წარმოადგენს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს: „ნართაულებით, მინიშნებებით, რიტორიკული კითხვების გამიზნულობით მკითხველი იოლად პოულობს პასუხს ზოგჯერ ძალზე აბურდულ სოციო-პოლიტიკურ ვითარებაში გასარკვევად“ (ტყებუჩავა, 2009). მართლაც, საავტორო სვეტის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებას მკითხველისათვის არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ვითარებაში გარკვევის ხელშეწყობა წარმოადგენს.

ამავე აზრს ავითარებს მანანა შამილიშვილიც ნაშრომში: „ვაჟა-ფშაველა - მესვეტე“, რომელშიც მწერლის მიერ 1877 - 1878 წლებში, გაზეთ „დროებაში“ სვეტის ყაიდაზე დაბეჭდილ კორესპონდენციებზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც ავტორი აღნიშნავს, მიუხედავად დასავლური პრესის ფორმებისა და ტრადიციების სარგებლიანობისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ბევრი „სიახლე“ სულაც კარგად დავიწყებული ძველია და ზოგჯერ იმაზე ძველიც, ვიდრე წარმოგვიდგენია“. მისივე თქმით: „ჟურნალისტური სვეტის დასავლურ მედიაში ერთობ გავრცელებული ფორმა არც ქართული ჟურნალისტიკისთვისაა უცხო და ახალი. აქ უფრო სახელდების განსხვავებულობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე არსობრივ სხვაობასთან. ჩვენი მდიდარი პუბლიცისტური არქივიდან ამ ფორმის შესატყვისი არაერთი ნიმუში შეგვიძლია მოვიძიოთ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვები“ სხვა არაფერია, თუ არა საავტორო სვეტები, გადაქცეული რედაქტორის გვერდებად, ე.წ. „ედიტორიალებად“ (შამილიშვილი, 2011).

აღნიშნულ სტატიაში ავტორი განიხილავს ვაჟა-ფშაველას მოსაზრებებს პუბლიცისტიკის შესახებ. „ვაჟას აზრით, ლიტერატურა ერთსახოვან-ერთგვაროვანი არ არის. სიმართლე, მწერლობაში ორნაირად ითქმის, ან თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთია პოეტურ-ბელეტრისტული და მეორე - პუბლიცისტური“ (შამილიშვილი, 2011). ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა ესმის, როგორც „ცხოვრების მიერ წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საკითხების, სინანდვილეში არსებული მწვავე და საჭირბოროტო პრობლემების დროული და პირდაპირი, მკვეთრად გამოვლენილი ტენდენციით გაშუქება (ტაბიძე, 1978, გვ. 201).

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ვაჟა-ფშაველას მიერ 1877-1878 წლებში გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ კორესპონდენციებზე, სადაც იგი დიდი ოსტატობით წერს მაშინდელი ბიუროკრატიის სიმახინჯეებზე, მაგრამ „ვაჟას ხელში გესლიანი სატირა არასდროს გადადის იაფფასიან გროტესკში“ (ბენაშვილი, 1997, გვ. 455). პირიქით, ვაჟა-ფშაველას საავტორო სვეტები მრავალფეროვანია და ასევე - აქტუალური თემატიკის შემცველი. ვაჟა-ფშაველას, როგორც კალამნისტს, გამოარჩევს წერის პერსონალური მანერა, კოლორიტული სტილი და ცოცხალი, მეტყველი ფაქტები, ასევე - პოლემისტური ოსტატობა, მოქალაქეობრივი პოზიცია, მდიდარი ეთნოგრაფიული ფონი და ა.შ. ბოლოს კი, აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას ჟურნალისტური სვეტების სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც გულისხმობს ნაწერის ლაკონურობასა და სიცხადეს; დიალოგურობას - მკითხველთან მუდმივი კავშირის მოთხოვნილებას; მხატრული აქსესუარების უხვ გამოყენებას; ესეისტურ მიდგომას - ვაჟა-ფშაველასთვის მახასიათებელ „ფანჯრის ეფექტს“, რომლითაც იგი სამყაროზე საკუთარ უნიკალურ დაკვირვებებს უზიარებს მკითხველს და ა.შ. (შამილიშვილი, 2011).

საავტორო სვეტის სპეციფიკაზე საუბრობს მარიამ გერსამია (გერსამია, 2011) წიგნში - „ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში“. იგი გამოყოფს ჟურნალისტური სვეტის ყველაზე გავრცელებულ სახეებს: რედაქტორის, მოსაზრების, რჩევის, თემატურ სვეტებს. საავტორო სვეტებზე საუბრისას იგი

შენიშნავს: „თუ წარმატებული რეპორტირებისას ჟურნალისტის ინდივიდუალობა ფერმკრთალდება, საავტორო სვეტებში სწორედ წერის პერსონალური მანერა განაპირობებს წარმატებას“ (გერსამია, 2011).

მარიამ გერსამია ვრცლად საუბრობს ვიწროსპეციალური ტერმინების - ცოლუმნ, ცოლუმნისტ - ეტიმოლოგიასა და მათი წარმოქმნის ისტორიაზე. სიტყვა „ჩოლუმნ“ ითარგმნა, როგორც სვეტი. სვეტი, როგორც ჟურნალისა და გაზეთის დაკაბადონებისას ტექნიკური გაფორმება; და სვეტი, როგორც სპეციფიკური პუბლიცისტური თვისების მქონე მედია-ტექსტი. სიტყვა „ჩოლუმნისტ“ შეიძლება ითარგმნოს, როგორც მესვეტე, ან როგორც კალამნისტი და იქვე განმარტავს, როგორ მიიღება სიტყვა ტრანსკრიპციური იდენტიფიკაციით; წარმოგვიდგენს უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემის ძირითად წესებს, რისი მიხედვითაც „ჩოლუმნისტ“ შესაძლებელია გადმოვიტანოთ, როგორც კალამნისტი. საავტორო სვეტების სტილი განხილული აქვს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სვეტების: „ ბოუტ ეწ-ორკ“, „ ოინგ ოუტ გუიდე ფეატურე“, „ ეტროპოლიტან აირყ“; ასევე, რამდენიმე ქართული გამოცემისა და ქართველი მესვეტეების მაგალითებზე.

ავტორი აგრეთვე მიმოიხილავს ჟურნალისტ ჯენიფერ ალეინის სვეტებს. ჯენიფერ ალეინი წლების განმავლობაში ჟურნალ „ იფე-ის“ რედაქტორად მუშაობდა. ბაირონ დობელმა, რომელიც ჟურნალ „ იფე-ის“ რედაქტორად „ სქუაირ“-დან მოვიდა, წაახალისა ჯ. ალეინი - დაეწერა რაიმე მკვეთრად ინდივიდუალური. ალეინმა თავისი შემოქმედებითი ნიშა ჟურნალში ამის შემდეგ იპოვა და წლების განმავლობაში საავტორო სვეტებს უძღვებოდა. მისი პერსონალური სვეტი თემატურად „ქალის სვეტის“ მოთხოვნებს პასუხობდა. „თავის პირველივე პერსონალურ სვეტზე მუშაობისას ჯ. ალეინმა აღმოაჩინა, რომ იმ ხმის კარნახით წერდა, რომელსაც ადრე არ იყენებდა. ავტორი, რომელიც საავტორო სვეტების წერას გადაწყვეტს, პირველ რიგში, უნდა ენდობოდეს შინაგან ხმას და იყოს გულწრფელი“- დასძენს წიგნის ავტორი (გერსამია, 2011).

ჟურნალისტიკის ისტორიაზე, მეთოდოლოგიასა თუ პრაქტიკაზე საუბრისას, ჟურნალისტიკის მკვლევრები საკუთარ ნაშრომებში ხშირად ეხებიან სხვადასხვა ჟურნალისტური ჟანრის აღმოცენების, ფორმირების, ფუნქციონირებისა და ეფექტურობის საკითხებს.

ელენა იაკობიშინა (Деяк-Якобишина, 2013), სტატიაში - „საავტორო სვეტი: ტრადიციული ჟანრი თუ ახალი ფორმა“, ავითარებს მოსაზრებას, რომ საავტორო სვეტი, ისევე როგორც რედაქტორის სვეტი - წარმოადგენს არა ჟანრს, არამედ ფორმას, რომელშიც რეალიზებას პოულობს გარკვეული „წმინდა“ ჟანრი ანდა ჟანრების სინთეზი. ამგვარ სინთეზურ ფორმას სახელწოდება არ გააჩნია.

მკვლევარი სვამს კითხვას: „შესაძლებელია თუ არა საავტორო სვეტი რომელიმე ჟანრს მივაკუთვნოთ?“ საქმე ისაა, რომ დღესდღეობით უკვე არსებობს დროისაგან გამოცდილი, თუმცა ამჟამად არცთუ ხშირად გამოყენებული ისეთი ცნებები, როგორებიცაა პუბლიცისტური კომენტირება ანდა პუბლიცისტური შენიშვნა. ეს არის საავტორო პუბლიცისტიკის ჭეშმარიტად სინკრეტული სახეები, რომლებშიც შესაძლებელია ჟურნალისტიკაში არსებულ ჟანრთა სამივე ჯგუფის ელემენტების იდენტიფიცირება: ინფორმაციულ-პუბლიცისტურის, ანალიტიკურ-პუბლიცისტურისა და მხატვრულ-პუბლიცისტურის, რომლებიც გარკვეულწილად ავსებს საავტორო სვეტის ფორმას (Деяк-Якобишина, 2013).

ამდენად, საავტორო სვეტი შეგვიძლია განვიხილოთ არა ახალ ჟურნალისტურ მეთოდად, არამედ - გამოსახვის ხერხად, რომელიც აერთიანებს როგორც ინფორმაციულ-პუბლიცისტურ, ასევე - ანალიტიკურ და მხატვრულ ელემენტებს. მისი საბოლოო მიზანი მკითხველთათვის ინფორმაციის ყოველმხრივი, ამომწურავი და ამავდროულად ავტორისეული ხედვით გაჯერებული მიწოდებაა, რომელიც, ავტორის სუბიექტურობის მიუხედავად, ობიექტურობას სრულად არ უნდა კარგავდეს (Деяк-Якобишина, 2013).

მედიალანდშაფტის სისტემატურ ცვლილებასა და ტრანსფორმაციაზე საუბრობს გალინა ტიმჩენკო (Тимченко, 2014) სტატიაში - „საავტორო სვეტები

რუსულ და ამერიკულ პრესაში“. მისი აზრით, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ინფორმაციის მყისიერი გავრცელება სხვა მოთხოვნებს უყენებს ჟურნალისტებს. „მაშინ, როდესაც ახალი ამბები ელვისებური სისწრაფით ვრცელდება, საჭიროა სპეციალისტი, რომელიც ინფორმაციის გაფილტვრას და კომენტირებას, მსჯელობას შეძლებს... მოაზროვნე აუდიტორიას, უამრავი ინფორმაციიდან აქტუალურის ამორჩევისთვის დრო არ აქვს, ამიტომ სერიოზული, ხარისხიანი გამოცემების ჟურნალისტების მთავარი ფუნქცია აქტუალური, მთავარი ინფორმაციის ამორჩევა და აუდიტორიისთვის მიწოდება უნდა იყოს. საზოგადოებას ახალი ამბების მიწოდებასთან ერთად, ჟურნალისტი სჭირდება, რომელიც ფიქრობს, აანალიზებს, აზროვნებს, აფასებს მოვლენებს და ამ მოვლენების განვითარების პროგნოზირების უნარი გააჩნია“... (Тимченко, 2014). გალინა ტიმჩენკო ასეთებად, ფელეტონის, ესესა და ნარკვევის ავტორებს ასახელებს და იქვე დასძენს, რომ ამ სამი ჟანრის სინთეზს შედარებით ახალი ჟანრი - საავტორო სვეტი წარმოადგენს, რომელიც საავტორო ჟანრებიდან ყველაზე პოპულარულია ამერიკულ და ევროპულ პრესაში.

მასმედიის პერსონიფიცირებამ ავტორებზე მზარდი მოთხოვნა გამოიწვია. აუდიტორიას არა მხოლოდ მოვლენების ტრანსლატორი სჭირდება, არამედ სჭირდება ავტორი. ადამიანებს უყვართ პერსონალური მიმართვები, ურთიერთობები.

მონიკა მაქქეიფ კარდოზა წიგნში - „შენ შეგიძლია სვეტის წერა“ - აღწერს საავტორო სვეტის სხვადასხვა ტიპს: რჩევების სვეტი, ბიზნესის სვეტი, საოჯახო სვეტი, ასევე - სვეტები კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, ჯანმრთელობასა და სილამაზეზე; ჰობის, სახლისა და ინტერიერის შესახებ; იუმორის, რელიგიის, სამოგზაურო სვეტები და ა.შ. (ჩარდოზა, 2000).

კარდოზა აღნიშნავს, რომ საავტორო სვეტის ეფექტურობის დასადგენად საჭიროა სადღეისოდ გავრცელებულ პუბლიკაციათა სტილისა და სახეობათა გააზრება. იგი აღნიშნავს, რომ საავტორო სვეტის გამოქვეყნებისთვის ყველაზე ხელსაყრელ სივრცეს ყოველდღიური გაზეთები წარმოადგენს, რადგანაც მათი

უმეტესობა, მკითხველთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად (გაზეთის მკითხველთა შემცირების მიზეზად კი, კარდოზა ასახელებს გაზეთების ელექტრონულ სივრცეში არსებობას - მრავალ ყოველდღიურ გაზეთს აქვს საკუთარი ვებ-გვერდი და ამდენად, ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია), კვლავ საკმაოდ წარმატებულია. ყოველდღიური გაზეთები მკითხველს პოპულარულ თემათა ყოველდღიური გაშუქებით იზიდავენ და ამასთან, ადგილობრივ სიახლეებზე უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ, ვიდრე სხვა ტიპის გამოცემები. ალბათ, სწორედ ამ მიზეზებით არის განპირობებული, რომ ამგვარ გამოცემებში საავტორო სვეტს, როგორც წესი, უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ყოველკვირეულ ან ყოველთვიურ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ საავტორო სვეტებს. თანაც, ამ უკანასკნელში საავტორო სვეტების თემატიკა შესაძლოა ისეთ საკითხებს მოიცავდეს, რომლებიც ფართო მასებისთვის რთულად გასაგებ ან ნაკლებად საინტერესო თემებს ეხება (ჩარდოზა, 2000).

მონიკა კარდოზა აღნიშნავს, რომ კალამნისტები, რომლებიც ბეჭდურ მედიაში მოღვაწეობდნენ, გასული საუკუნის 30-40-იანი წლებიდან რადიოსა და ტელევიზიის სივრცეშიც იკვალავდნენ გზას. 1930 და 1940-იანი წლების ისეთმა საგაზეთო კალამნისტებმა, როგორებიც იყვნენ: ფრანკლინ პირს ადამსი, ნიკ კენი, ჯონ კროსპი, ჯიმი ფიდლერი, დრიუ პირსონი, ედ სალივანი და ვოლტერ უინჩელი, მიაღწიეს ძალიან ცნობილ ჟურნალისტთა სტატუსს და საკუთარ სინდიკატირებულ სვეტებს იყენებდნენ, როგორც რადიოსა და ტელევიზიაში გადასასვლელ ტრამპლინს. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, უინჩელისა და პირსონსის შემთხვევაში, მათი რადიოგადაცემები ფორმატით საკმაოდ წააგავდა მათივე საგაზეთო სვეტებს (ჩარდოზა, 2000).

მესვეტე-კრიტიკოსზე საუბრობს დოლან ჯილი (ჟილლ, 2012) სტატიაში „ფემინისტი მაყურებელი, როგორც კრიტიკოსი.“ დოლან ჯილი მიიჩნევს, რომ კრიტიკოსი-მესვეტე არის პროფესიონალი, რომელიც მკითხველს ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ საკუთარ მოსაზრებებსა და შეფასებებს აწვდის. მისი

მსჯელობის საგანს შესაძლოა წარმოადგენდეს ხელოვნების ნებისმიერი დარგი - მხატვრობა, ლიტერატურა, კინო, თეატრი, მოდა, არქიტექტურა და სხვა. კრიტიკოსის ინტერესის სფერო შეიძლება იყოს სოციალური ან სამთავრობო პოლიტიკაც. ჯილის აზრით, კარგი კრიტიკოსის მახასიათებლებია: არტიკულაციის მაღალი დონე, მგრძნობელობა კრიტიკის საგნის მიმართ და მისი წვდომა, შესაბამისი ფორმისა და სტილის ფლობა და ა.შ. პროფესიონალ კრიტიკოს-მესვეტეს გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა აქვს საკუთარი ნაწერის მიმართ. ის გაცილებით უფრო კომპეტენტური უნდა იყოს, ვიდრე მაგალითად, მესვეტე, რომელიც სპორტულ თემებზე წერს.

სერგეი მიხაილოვი (Михаилов, 2002) წიგნში „ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალისტიკა“ - წერს, რომ სვეტი ხშირად ხარისხიანი პრესის ატრიბუტია, ისეთი პრესის, რომელიც საზოგადოებაზე ანალიტიკურობით, ინფორმირებულობით, მომავლის ჭვრეტით ახდენს გავლენას და არა უზარმაზარი ტირაჟებით. გარდა ამისა, ხარისხიან პრესას ძალუძს ელიტის აზრის ფორმირება, აქედან გამომდინარე, ხარისხანი პრესა ითხოვს კარგ მესვეტეებს.

ვლადიმერ ფედორინი (Федорин, 2017) სტატიაში - „რატომ მიყვარს სვეტი და ნამდვილი ეკონომისტები“ სვეტის შესახებ წერს: „ეს არ არის მხოლოდ ინტელექტუალური პროდუქტი. ეს არის შემოქმედება. იდეალური სვეტის რეცეპტი არ არსებობს. ზოგჯერ წესების დარღვევა უფრო აძლიერებს ტექსტს და მისი ავტორი ისტორიაში შეჰყავს“...

ბევრი მკვლევარი, მედიაჟანრების საზღვრების არასტაბილურობაზე, გაურკვევლობაზე, ცვალებადობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ მედიაჟანრების ერთმანეთისგან გამიჯვნა პრობლემაა. სვეტი თავის თავში კომენტარის, ესეს და ფელეტონის ნიშნებს აერთიანებს. ამ სამმა ჟანრმა ტრანსფორმაცია განიცადა და სვეტში გაერთიანდა.

ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, სვეტი არა ჟურნალისტური ჟანრი, არამედ მხოლოდ ადგილია, სივრცეა გაზეთში. მათი მოსაზრება სვეტის ტექსტების

სტილისტური მრავალფეროვნებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც სვეტის ერთი რომელიმე ჟანრისათვის მიკუთვნება რთულია. მათი აზრით, სვეტი მხოლოდ ადგილია გაზეთში, სადაც სხვადასხვა ჟანრის ოსტატები წერენ.

მკვლევრების უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ სვეტი ჟურნალისტური ჟანრია, მაგრამ მას ბევრი საერთო აქვს ლიტერატურასთან. სემ რაილი (ღილეყ, 1995) წიგნში „ამერიკული გაზეთების მესვეტეთა ბიოგრაფიული ლექსიკონი", სადაც ექვსასამდე მესვეტის ბიოგრაფიული მონაცემებია შეტანილი, წერს: „სვეტი გზაჯვარედინია, სადაც ჟურნალისტიკა და ლიტერატურა ერთმანეთს კვეთენ, თუ არ კვეთენ, სულ მცირე, ერთმანეთის გვერდიგვერდ მაინც დგანან."

ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც სვეტს სხვა ჟანრებისგან გამოარჩევს, არის მისი ადგილი ბეჭდურ გამოცემაში. ჰორსტ ზანდერი (ძანდერ, 1999) შენიშნავს: „სვეტი რეგულარულად, ერთსა და იმავე გვერდზე, ერთსა და იმავე ადგილას, ერთი და იმავე სათაურის ქვეშ იბეჭდება და ერთი და იმავე ავტორის მიერ იწერება". ეს თანმიმდევრულობის ელემენტი ეხმარება მკითხველს სვეტის იდენტიფიცირებაში. სვეტის შემდეგი ნიშანი, ზანდერის მიხედვით, არის ავტორის სახელი, რეალური ან გამოგონილი, რომელიც ტექსტის გვერდითაა მოთავსებული.

ცნობილი ამერიკელი მესვეტე, სუზეტე შტენდრიგი (შტანდრინგ, 2014), თვლის, რომ ავტორს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს სვეტში, ის ირჩევს თემას და ამ თემის აღწერის გზას. სვეტი შესაძლოა ერთადერთი ჟურნალისტური ჟანრია, სადაც ავტორი არ უნდა იყოს ობიექტური, სადაც სუბიექტური „მე" უმთავრესია.

კარგ მესვეტეს გარკვეული უნარები უნდა გააჩნდეს, როგორიცაა - „დაინახო ჩვეულებრივი მოვლენები უჩვეულო პერსპექტივებით." სვეტის ავტორის მოსაზრებები შესაძლოა მთლიანი გაზეთის პროფილისგან განსხვავდებოდეს. აზრების ეს განსხვავებულობა აღიქმება, როგორც სვეტის წერის სტრატეგია და გამოარჩევს მას სხვა ჟანრებისგან. ტექსტში ავტორის არსებობა ძალიან თვალსაჩინოა (შტანდრინგ, 2014) .

ზოგჯერ ავტორის სახელს მკითხველის მისაზიდადაც იყენებენ... შტენდრინგი ამტკიცებს, რომ არც ერთი სხვა ჟურნალისტური ჟანრი, სვეტის გარდა, ავტორს არ აძლევს ინდივიდუალობის გამოვლენის უფლებას, უფლებას - შექმნას გზავნილიც და ავტოპორტრეტიც... მწერლის პიროვნება მისი წერის სტილში ჩანს, ეს არის ხმა, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს, სამყარო მწერლის ობიექტივიდან დაინახოს, რაც ინტიმურობის შეგრძნებას ქმნის... (შტანდრინგ, 2014).

რომან მერზლიაკოვი (Мерзляков, 1998) სტატიაში „სოკოლოვის სვეტების ჟანრობრივი თავისებურებები", შენიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ჟურნალისტიკამ საავტორო თვისებები შეიძინა, გაჩნდა ჟურნალისტური ჟანრი - სვეტი... მერზლიაკოვს სტატიაში მოჰყავს სვეტის განმარტება კროიჩიკის მიხედვით, რომლის თანახმადაც, „სვეტი, ახალი ამბებისა და ნარკვევის ჟანრს ეკუთვნის და ახლოსაა ესესთან. სუბიექტური აზრი სვეტის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. სვეტი ყოველთვის პირდაპირი დიალოგია აუდიტორიასთან. ავტორის სოლოა, ცოცხალი სიტყვაა... სვეტი პუბლიცისტის მონოლოგია, რომელიც ემოციური გამომსახველობითაა გადმოცემული"...

ანჯელა ფილიპსი (ჰილლიპს, 2007) წიგნში „კარგი ნაწერები ჟურნალისტიკისთვის" („პერსონალური და კომენტარის სვეტები", გვ. 196), განიხილავს რა „ნიუ-იორკერში", „კოსმოპოლიტენში", „გარდიენში", და „ -ში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ გარი იოუნგის (არყ ოუნგე), კატერინა ბენეტის (ჩატჰერინე ენნეტტ), ბორის ჯონსონის (ორის ჟოჰნსონ), ჯეიმს საროვიკის (ჟამეს შუროწიეკი), მარჩელე დი არგო სმიტის (არცელლე ' რგყ შმიტჰ) პერსონალურ და კომენტარის სვეტებს, ამტკიცებს, რომ სვეტი მკითხველის საყვარელი ჟანრია, ბეჭდური გამოცემის გულისცემაა: „ეს არის ჟანრი, რომელიც ადამიანს ხატავს გაზეთის ფურცელზე, წერილების უზარმაზარ ტომრებს იზიდავს, ინტიმურობის შეგრძნებას უზრუნველყოფს... ზოგჯერ არაფერს აკეთებს, მხოლოდ დროის მხიარულად გაყვანაში, ხშირად კი გადაულახავი პრობლემების, შიშების დაძლევაში გვეხმარება... ამას ვერც ერთი სხვა ჟანრი ვერ ახერხებს"... (ჰილლიპს, 2007).

საინტერესოა ალენ შერლენის (შცჰერლენ, 2008) სტატია - „სვეტები და ბლოგები“, რომელშიც ავტორი სვეტისა და ბლოგის მსგავსებასა და განსხვავებებზე საუბრობს.

ალენ შერლენის აზრით, სვეტი ჟურნალ-გაზეთების, ან სხვა სერიული გამოცემების განყოფილებაა, სადაც კონკრეტული მწერალი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს, კონკრეტული თემის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას აანალიზებს... ავტორი ბევრ საერთოს პოულობს სვეტსა და ბლოგს შორის. განსხვავებად კი იმას მიიჩნევს, რომ სვეტი უფრო აკადემიური, თავაზიანი სტილით იწერება, სარედაქციო ფილტრს გადის, ბლოგი კიდევ სავსებით თავისუფალია. ბლოგზე მკითხველს კომენტარის გაკეთება მომენტალურად შეუძლია, სვეტის შემთხვევაში კი მკითხველს მხოლოდ წერილის მიწერა ძალუძს. ბლოგის კითხვის დროს შესაძლებელია მარტივად მიუბრუნდე ავტორის წინა ბლოგებს, ხოლო სვეტის შემთხვევაში, ეს შეუძლებელია... მისი შეხედულებით, ბლოგმა ბევრი რამ წამოიღო სვეტიდან და შეიძლება მალე ჩაანაცვლოს კიდეც... (შცჰერლენ, 2008).

სვეტში ესესა და ფელეტონის ელემენტების არსებობას ხაზს უსვამს იულია დერიაბინა სტატიაში: „სვეტი, როგორც სპორტული გამოცემების ანალიტიკური ჟანრი“. ავტორი მიიჩნევს, რომ ბევრი რამ ამ ჟანრის შესახებ ამოხსნილი არ არის და ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე, სვეტი შეიძლება ანალიტიკური იყოს, ასევე - მხატვრულ-პუბლიცისტური... (Дерябина, 2001).

სვეტისა და ფელეტონის საერთო მახასიათებლებზე საუბრობს ვროკლოუს (პოლონეთი) უნივერსიტეტის პროფესორი ჯონანა ჰარდუკიევიჩი სტატიაში - „პოლონური ფელეტონი და ინგლისური სვეტი“ (არდუკიეწიცზ, 2013). სტატიაში ავტორი მიმოიხილავს ბეჭდურ მედიაში ფელეტონისა და სვეტის დამკვიდრების ისტორიას, მათ საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს. ავტორის აზრით, ფელეტონსა და სვეტს შესაძლოა ერთი საერთო წინაპარი ჰყავდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვეტი ბეჭდურ მედიაში 1800 წლიდან

გამოჩნდა, სავსებით მისაღებია. ავტორის აზრით, ფელეტონსა და სვეტს ძალიან ბევრი მსგავსება აქვთ ერთმანეთთან, მაგალითად, ადგილი გაზეთში და ფორმა, ორივე ტექსტს ხელს აწერს ავტორი, ხშირად თან ახლავს ავტორის ფოტო. სვეტი და ფელეტონი შინაარსობრივადაც გაქვს ერთმანეთს, ორივე მათგანში წარმოდგენილი თემები გადმოცემული და შეფასებულია ავტორის სუბიექტური მოსაზრებებით: „სვეტიც და ფელეტონიც, ჩვეულებრივ, ერთი მთავარი თემის შესახებ იწერება. ავტორები თავად ირჩევენ თემებს, რაზეც სურთ წერა და თავისუფლად გადმოსცემენ საკუთარ, სუბიექტურ მოსაზრებებს და დამოკიდებულებებს საკითხის მიმართ, ცდილობენ მკითხველში ემოციური რეაქციის გამოწვევას.“ (არდუკიეწიცზ, 2013).

როს იემენი წიგნში - „ჟურნალისტიკა ანიდან ჰოემდე“ (ამან, 2009), ფელეტონის შესახებ წერს, რომ ის არის თანამედროვე სვეტის წინაპარი და ბევრ საერთო მახასიათებლებს პოულობს მათში. იემენის მტკიცებით, იუმორისტული სვეტები მეცხრამეტე საუკუნიდან გამოჩნდა და პირველი მწერალი, რომელიც იუმორისტულ სვეტებს წერდა იყო ფინლი პიტერ დუნი, რომელმაც 1884 წელს დაიწყო წერა გამოგონილი პერსონაჟის, მისტერ დულის სახელით და პირველ მსოფლიო ომამდე ხუთასზე მეტი იუმორისტული სვეტი შექმნა, რომლებშიც სარკასტულად აღწერდა რეალობას. ცნობილ მესვეტეებს შორის იემენი ასახელებს კარლ მარქსსაც, რომელიც სვეტს „ნიუ იორკ ტრიბუნისთვის“ კვირაში ორჯერ წერდა „ევროპულ საქმეთა“ შესახებ. თუმცა, მის მიერ ხელმოწერილი სვეტების ნახევარზე მეტი ენგელსის მიერ იყო დაწერილი. პოლიტიკური სამყაროდან ყველაზე ცნობილ მესვეტეებად რაილი ამერიკის პრეზიდენტებს: რუზველტს, კარტერსა და რეიგანს ასახელებს.

როს იემენის აზრით, ერთ-ერთი მიზანი ადრეული სვეტებისა იყო, მკითხველისა და ქალი მწერლების მიზიდვა გაზეთში, რამაც ხელი შეუწყო ჟანრის განვითარებას. იემენი ასახელებს დელფინე დე გირარდინს, რომელიც 1836-1839 წლებში წერდა „თანამედროვე სკეტჩების სერიას, რომელსაც ეწოდა სვეტი“. ქალი

მესვეტეების მიზანი იყო ქალი-მკითხველების დაინტერესება და მიზიდვა, რაც ამასთანავე საუკეთესო საშუალება იყო ქალების ჟურნალისტიკაში ჩასართავად (ამან, 2009).

სემ რაილის (ღილეყ, 1995) მოსაზრების მიხედვით, სვეტის მსგავსი ტექსტები 1800 წლამდეც იბეჭდებოდა, თუმცა ავტორებს მესვეტეები მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან ეწოდათ. სვეტის წარმოქმნა განაპირობა იმ პერიოდის გაზეთებში მიმდინარე ცვლილებებმა. მაგალითად, ასეთ წინაპირობად იქცა ის ფაქტი, რომ გაზეთის მფლობელები და რედაქტორები ედიტორიალებისა და რეპორტაჟების ავტორებად მოგვევლინენ და საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებებს სთავაზობდნენ მკითხველს. ყველაზე ადრეულ მესვეტეებს შორის რაილი ბენჟამინ პერლი პურს (1854), ამბროსე ბაირსს (1868) და ჯოელ ჰარისს (1868) მოიხსენიებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საძიებო კუთხით ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ერთობ მწირია. მხოლოდ ჟურნალისტიკის რამდენიმე მკვლევარი განიხილავს სვეტს თავიანთ ნაშრომებში. მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული ავტორები არიან. ჟურნალისტური სვეტის განმარტება არც ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოებში გვხვდება.

საზღვარგარეთული ლიტერატურის მხრივ განსხვავებული ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ძირითადად სამეცნიერო სტატიები სჭარბობს, მაინც მრავალფეროვანი და განსხვავებული თვალსაზრისების მოძიების შესაძლებლობა იქმნება. გხვდება სვეტის წერაში დაოსტატების სპეციალური სახელმძღვანელოებიც. მაგალითად, მონიკა კარდოზამ მთელი წიგნი მიუძღვნა სვეტს, სახელწოდებით - „შენ შეგიძლია სვეტის წერა“ (ჩარდოზა, 2000). ქართული რეალობისგან განსხვავებით, სვეტის მახასიათებლებს ამერიკელი და ევროპელი მკვლევრები გაცილებით ადრე - ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იკვლევდნენ. რუსმა მკვლევრებმაც გვიან მიაპყრეს ყურადღება ამ საკითხს. მიზეზი ცნობილია - სვეტი ბეჭდურ მედიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც პრესა დამოუკიდებელი და დემოკრატიული გახდა და პრესაში წინა პლანზე

წამოიწია ავტორმა, გაჩნდა მედიატექსტები ავტორისეული სუბიექტური მოსაზრებებითა და თვალთახედვით.

ცხადია, ევროპულ და ამერიკულ პრესას არ ჰქონია ის პრობლემები, რაც საბჭოურის წინაშე იდგა. თუმცა, საავტორო სვეტების წინამორბედი მედიატექსტები არც ადრეული პერიოდის ქართული პრესისთვის იყო უცხო. კომუნისტურმა რეჟიმმა 70 წლის განმავლობაში შეაფერხა თავისუფალი, დემოკრატიული პრესის განვითარება, ამ პირობების გარეშე კი წარმოუდგენელია ისეთი მედიატექსტების არსებობა, როგორიც საავტორო სვეტია. ამდენად, ჟურნალისტური სვეტი არა მხოლოდ კონკრეტული მედიაფორმაა, არამედ თავისუფალი პრესის მარკერიც, მისი დემოკრატიულობის ნიშანი.

ჩემს მიერ განხილული სამეცნიერო სტატიებისა თუ წიგნების ავტორები არ დაობენ იმაზე, რომ სვეტი ნამდვილად გამორჩეული, განსხვავებული, საინტერესო და მიმზიდველი მედიაფორმაა; არც იმაზე ეჭვობენ, რომ მესვეტე გამორჩეულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს, რომ იმ თემის ექსპერტი უნდა იყოს, რაზედაც წერს, უნდა შეეძლოს აზრის ლაკონურად გადმოცემა, მკითხველის მიზიდვა, დარწმუნება და მიმხრობა... მკვლევრები ძირითადად ვერ თანხმდებიან ამ ჟურნალისტური ფორმის ტიპოლოგიური და ფუნქციური განსაზღვრისას - სვეტი ჟურნალისტური ჟანრია, თუ განთავსების ადგილი ან გაფორმების ხერხი ბეჭდურ მედიაში; პუბლიცისტიკაა, თუ ჟურნალისტიკა; იქნებ სულაც ლიტერატურული ჟანრი, ან კიდევ მათი სინთეზური ფორმა... ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ მას ამერიკული მედიისთვის ნიშნეული კატეგორია - ლიტერატურული ჟურნალიზმი მიესადაგება.

როგორც ვნახეთ, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სვეტი არის რუბრიკა, რომელიც იქმნება ერთი და იმავე ავტორის მიერ, ერთსა და იმავე თემაზე, მაგალითად: სპორტზე, კულინარიაზე, პოლიტიკაზე. ზოგის აზრით, სვეტი ახალი პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც სამი ჟანრის - ფელეტონის, ესესა და კომენტარის თავისებურებებს აერთიანებს.

ამგვარად, ჩემს მიერ რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და ქართულ პრესაში მოძიებული მრავალრიცხოვანი ნიმუშების განხილვის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სვეტი არის დამოუკიდებელი ჟურნალისტური ფორმა, კერძოდ, უკვე ნახსენები ლიტერატურული ჟურნალიზმის ორიგინალური გამოვლინება, რომელიც რამდენიმე ჟანრის - ესეს, ფელეტონისა და კომენტარის ელემენტებს აერთიანებს და ქმნის განუმეორებელ სინთეზურ მედიატექსტს.

III. დემოკრატიზაციის პროცესი და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პრობლემები ახალი დროების ქართულ მედიაში

რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა, ამას მედიის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს; სწორედ თავისუფალი მედია ითვლება ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების პროცესის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, სოციალისტურ ქვეყნებში ყველაზე ხშირად სიტყვა დემოკრატია ისმოდა. კომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინტელიგეციის წრეებში გავრცელებული მოსაზრება, რომ „თუ არა კომუნიზმი, ჩვენ ვიქნებოდით ისეთივე, როგორც დასავლეთი“, მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებული „პერესტროიკის“ შედეგად მომხდარ „ხავერდოვან რევოლუციებს“ აქცევდა გარდამტეხ ზღვარად, რომლის შემდეგ პირდაპირ და მაშინვე იწყებოდა დემოკრატია (ჟორჟოლიანი, ბერეკაშვილი, & მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია, 2001).

„სიტყვა „დემოკრატიზაცია“ იმ პოლიტიკურ ცვლილებებს აღნიშნავს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიისაკენ. თუ დემოკრატიას წარმოვიდგენთ, როგორც გარკვეული პროცესის შედეგს, პოლიტიკური გარდაქმნების ციკლის საბოლოო ფორმას, დემოკრატიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გზა, რომელიც ამ ფორმისკენ მიემართება“. (ჟორჟოლიანი, ბერეკაშვილი, & მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია, 2001). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა

პროცესი, რომელიც დაწყებულია დემოკრატიის მიღწევის ლოზუნგით, არ წარმოადგენს დემოკრატიზაციას და პირიქით, პროცესი, რომელიც პოლიტიკურ გარდაქმნებს მოითხოვს, შეიძლება თავიდანვე დემოკრატიას არ ისახავდეს მიზნად, მაგრამ საბოლოო შედეგად სწორედ ის მოიტანოს. (ჟორჟოლიანი, ბერეკაშვილი, & მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია, 2001)

რობერტ დალი თავის კლასიკურ ნაშრომში „პოლიარქია" საუბრობს, თუ რა პარამეტრებით უნდა ხასიათდებოდეს დემოკრატია:

- ორგანიზაციების შექმნისა და მათში გაწევრიანების თავისუფლება;
- სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- უფლება იყო არჩეული საზოგადოებრივ და/ან სახელმწიფო თანამდებობებზე;
- პოლიტიკურ ლიდერთა უფლება იბრძოლონ საზოგადოებრივი მხარდაჭერისთვის და ამომრჩეველთა ხმებისთვის;
- ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების არსებობა;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება;
- სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყოს დამოკიდებული კენჭისყრის შედეგებზე ან საზოგადოებრივი მხარდაჭერის გამოხატვის სხვა ფორმებზე. (აჰლ, 1973)

დალის ეს განმარტება ლაკონური და კონკრეტულია და შესაძლებლობას გვაძლევს შევამოწმოთ, რამდენად დემოკრატიულია რეჟიმი. თუმცა გია ჟორჟოლიანი, თამარ ბერეკაშვილი და მარინა მუსხელიშვილი წიგნში „დემოკრატიზაცია", დემოკრატიის შინაარსში უფრო ღრმად ჩასახედად გვთავაზობენ ავსტრიელი ფილოსოფოსისა და პროფესორის კარლ პოპერისა და ფრანგი სოციოლოგის ალენ ტურენის თეორიებს დემოკრატიის არსის შესახებ.

„დემოკრატიის კლასიკური თეორია, კარლ პოპერის მიხედვით, არის თეორია იმისა, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობაა და ხალხს აქვს უფლება მართოს. არსებობს მხოლოდ ორი ალტერნატივა, რომელსაც ვიცნობთ: ან დიქტატურა, ან

დემოკრატიის რომელიმე ფორმა. და ჩვენ არ ვამყარებთ ჩვენს არჩევანს დემოკრატიის სიკეთეზე, რომელიც შეიძლება საეჭვო იყოს, არამედ - მხოლოდ და მხოლოდ დიქტატურის სიავეზე, რაც აშკარაა, არა მარტო იმიტომ, რომ დიქტატორი იძულებულია ბოროტად გამოიყენოს თავისი ძალაუფლება, არამედ იმიტომაც, რომ დიქტატორი, თუნდაც კეთილმოსურნე, სხვას ყველას ართმევს პასუხისმგებლობას, მაშასადამე, მათ ადამიანურ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს საკმარისი საფუძველია, რათა უპირატესობა მიენიჭოს დემოკრატიას.“ (ჟორჟოლიანი, ბერეკაშვილი, & მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია, 2001)

ალენ ტურენის მოსაზრების მიხედვით, დემოკრატია არ არის აბსტრაქტული, უჰაერო სივრცეში კონსტრუირებული სისტემა, მას საზოგადოება ასაზრდოებს, თავისი ღირებულებებით, სოციალური ურთიერთობებითა და მისწრაფებებით. თუ დემოკრატიის კონცეფციას უაღრესად მარტივად და შეზღუდულად მივუდგებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატია არის თავისუფალი არჩევა მმართველობისა მართულების მიერ, რაც გულისხმობს თავისუფალ არჩევნებს, პარტიათა და პროფკავშირთა არსებობის შესაძლებლობას, პროპაგანდისტულ კამპანიათა წარმართვას ასოციაციათა თავისუფლებების წყალობით, შეკრებათა და სიტყვის თავისუფლებას. მაგრამ არჩევანის პოლიტიკური თავისუფლების ველი ვერ იარსებებს, თუ არ იქნა აღიარებული საზოგადოებრივი სფეროს არსებობა. პიროვნული იზოლაცია, საზოგადოების ფრაგმენტაცია, კომუნიკაციის სისუსტე ცალკეულ სოციალურ კატეგორიებს შორის წარმოადგენს თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობებს დემოკრატიისთვის. ამდენად, დემოკრატია არის თავისუფალი არჩევანი მმართველობისა, რომელიც წარმოადგენს უმრავლესობის ინტერესებს და პატივს სცემს ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას იცხოვროს თავისი რწმენის, შეხედულებათა და ინტერესთა შესაბამისად (ჟორჟოლიანი, ბერეკაშვილი, & მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია, 2001).

საკამათო საკითხია, რამდენად შექმნა საქართველოში 90-იან წლებში დაწყებულმა პროცესებმა ჭეშმარიტად დემოკრატიული მედია და დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ მედიის დემოკრატიზაციის პროცესი ნამდვილად დაიწყო.

„ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირში მასობრივი ინფორმაციის შექმნაზე, გავრცელებაზე, პროპაგანდის წარმოებაზე მონოპოლიას კომუნისტური პარტია ფლობდა. 1985 წლის მარტში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი გახდა. აპრილში, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც აპრილის პლენუმის სახელითაა ცნობილია, გორბაჩოვმა „გლასნოსტის“ კამპანია დაიწყო. აპრილის პლენარული სხდომის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ შეიმუშავა საინფორმაციო პოლიტიკა, რომელიც მოქალაქეებს ზეპირი და ბეჭდური სიტყვის თავისუფლებას, აზრის რეალურ სოციალისტურ პლურალიზმს, იდეებისა და ინტერესების გაცვლის ღიაობას და უმცირესობების უფლებების დაცვის რეალურ გარანტიებს ჰპირდებოდა. პუბლიკაცია, რომლითაც გლასნოსტი დაიწყო, 1986 წლის 13 თებერვალს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთავარ ბეჭდურ ორგანოში, „პრავდაში“, გამოქვეყნდა. ეს იყო სტატია, რომელიც პარტიული პრივილეგიების ძალიან მგრძნობიარე საკითხს ეხებოდა. სტატიაში მოყვანილი იყო ყაზანელი მკითხველის, ვინმე ნიკოლაევის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ სოციალური სამართლიანობის შესახებ მსჯელობისას, არ შეიძლება, ადამიანს თვალი დაახუჭინო იმ ფაქტზე, რომ პარტიული ნომენკლატურა, პროფკავშირისა და კომკავშირის ოფიციალური პირებიც თავად აღრმავებენ სოციალურ უთანასწორობას, სარგებლობენ რა სპეციალური ბარათებით, მაღაზიებით, საავადმყოფოებით და ა.შ.“ (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

პარტიის 27-ე ყრილობის წინ ამ სტატიის გამოჩენა დროული იყო, მაქსიმალური პოლიტიკური გავლენის მოსახდენად. „პრავდის“ რედაქტორი ვიქტორ აფანასიევი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ ეს წერილი იყო „გლასნოსტის“ დასაწყისი: „ჩვენ მივეცით ბიძგი, სტიმული ჩვენს პრესას, ჩვენ ვუთხარით მათ: აი ეს არის, რაც თქვენ უნდა აკეთოთ მეგობრებო, ეს არის რისკენაც უნდა ისწრაფოდეთ.“ (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

„გლასნოსტი“ - ეს იყო უპირველესად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ანუ მედიის, შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების

თავისუფლება, კანონებისა და გადაწყვეტილებების საჯარო განხილვების შესაძლებლობა, სახელმწიფო ორგანოების მიმართ კრიტიკისა და მოსახლეობისთვის მათი საქმიანობის ღიაობის, ინფორმაციაზე წვდომის უფლება. (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

„გლასნოსტის“ ცნების მრავალმნიშვნელოვან განსაზღვრებებში ყველაზე ხშირად გვხვდება შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და საჯაროობა, მათ შორის ბეჭდური სიტყვის მეშვეობით. (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

რუსული წარმოშობის ამერიკელი მკვლევარი ისააკ ტარასულო ამბობს, რომ თავდაპირველად „გლასნოსტი“ ჩაფიქრებული იყო, როგორც მხილება, ღია საუბარი, დებატები საბჭოთა ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის, სასურსათო საქონლის დეფიციტის შესახებ, თუმცა სულ რაღაც ერთ წელიწადში „გლასნოსტი“ უფრო დიდი მასშტაბით გავრცელდა ისტორიაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე. გლასნოსტი ასევე ჩაფიქრებული იყო, როგორც სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების იდეოლოგიური ინსტრუმენტი, რომელსაც თანდათანობითი, გრადუალური ხასიათი უნდა ჰქონოდა, მაგრამ „გლასნოსტი“ ნამდვილ აფეთქებად იქცა. (თარასულო, 2001).

„წარუმატებელი აღმოჩნდა ყველა მცდელობა, როგორმე განსაზღვრულიყო ან დადგენილიყო „გლასნოსტის“ ფარგლები (იგულისხმებოდა, რომ ზემოდან დაშვებული თავისუფლება ზემოდანვე უნდა ყოფილიყო შემოფარგლული შინაარსობრივად, თემების მხრივ, რევიზიის მოცულობის მხრივ და ა. შ.). საკითხი იდგა ასე: რას ნიშანვდა „გლასნოსტი“ მედიაში: ახალ წესრიგს თუ აქამდე არნახულ ქაოსს? და ეს წესრიგი თუ ქაოსი რამდენად იქნებოდა სოციოცენტრული ან მედიაცენტრული?“ (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

„პერესტროკისა“ და „გლასნოსტის“ ბმას საბჭოთა მედიასთან რამდენიმე წლის განმავლობაში შეისწავლიდა ამერიკელი მკვლევარი ბრაიან მაკნაირი. მისი ნაშრომი „საჯაროობა, გარდაქმნა და საბჭოთა მედია“. საბჭოთა კავშირში მიმდინარე უპრეცედენტო ცვლილებების დროს დაიწერა. მაკნაირმა კვლევა 1986 წლის

იანვარში დაიწყო, და მისი მიზანი იყო „პერესტროიკის“ არსის აღწერა, ასევე იმ პოტენციური გავლენის პროგნოზირება, რომელსაც პერესტროიკა საბჭოთა იდეოლოგიაზე მოახდენდა, მედიასა და მის ერთ ნიშანდობლივ მიკროდისკურსზე - ახალ ამბებზე. (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

საქართველოში „გლასნოსტმა“ შეასუსტა პრესაზე კონტროლი როგორც პოლიტიკური მიზნებით, ასევე კონტროლი კულტურალური განზომილებით. მართალია, გლასნოსტის დამშვებ უმაღლეს საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას არ გაუმიჯნავს იგი საბჭოთა-კომუნისტური პრესის პრინციპებისგან, მაგრამ ფაქტია, რომ გლასნოსტმა საბჭოთა (მათ შორის, ქართულ) მედიას საკმაოდ დიდი ამპლიტუდით შეუცვალა როლები და ფუნქციები. (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017).

„გლასნოსტმა“, ტიპურობის თვალსაზრისით, პრესის საბჭოთა-კომუნისტურ მოდელს შესძინა სოციალური ცვლილებებისა და განვითარების მედიის ნიშან-თვისებები. კერძოდ, მედიას დააკისრა მნიშვნელოვანი როლი ძირითად სოციალურ ცვლილებებში, მედია განიხილებოდა, როგორც „ცვლილებების ძრავი“ განვითარების კონტექსტში, მედიის მიერ ინდუცირებული ცვლილებები ძირითადად უკავშირდებოდა ტიპურ მედიაშინაარსს - მედიურ ეფექტებს შორის განისაზღვრა სიახლეების, სოციალურ-პოლიტიკური ინოვაციების დიფუზია (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017).

„გლასნოსტის“ წყალობით, ქართულმა პრესამ თავი დააღწია კომუნისტური ხელისუფლების წნეხს, ცენზურას, დიქტატს და სოციალური ნიშა იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სამოქალაქო საზოგადოებაში იპოვა. 80 -იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის პრესაში სიტყვის თავისუფლება ძირითადად პოლიტიკური მოვლენების კრიტიკულ გაშუქებაში გამოიხატა და 1997-98 წლებამდე ასეთად დარჩა. 97-98 წლებში გვქონდა მცირეტირაჟიანი, მაგრამ დემოკრატიული პრესა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა დემოკრატიულ

ღირებულებებს და სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იყო. (მაისაშვილი, სვანიძე, ასანიძე, ბრეგვაძე, & საჯაია, 2017)

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საბჭოური რეჟიმი გაუქმდა, საქართველოში აღმასვლას იწყებს თავისუფალი პრესა. თუ სახელმწიფო, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, აქტიურად იყენებდა საინფორმაციო საშუალებებს თავის მიერ აღიარებული იდეოლოგიის დასანერგად, კომუნისტური დირექტივების განსახორციელებლად და ხალხისათვის ცრუ ინფორმაციების მისაწოდებლად, ახალმა, დამოუკიდებელმა ჟურნალ-გაზეთებმა მკითხველის ცნობიერება სრულიად სხვა სტანდარტებზე გადართეს. ქართველმა მკითხველმა მასობრივად იგრძნო და დაინახა, რომ მედიის უპირველესი ფუნქცია ყოველივე იმის მიჩქმალვა კი არაა, რაც მმართველი ნომენკლატურის ინტერესებს არ შეესატყვისება, არამედ - სიმართლის მსახურება.

ამავე პერიოდიდან საქართველოში მუშაობას იწყებენ საერთაშორისო ინსტიტუციები, მკვიდრდება დიდი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალფეხადგმულ თავისუფალ პრესას ეხმარებიან დემოკრატიული ღირებულებების შეცნობაში, მსოფლიო მედიასტანდარტების შესწავლაში, ახალი ჟურნალისტური ტექნოლოგიების დაუფლებაში. ტარდება მედიატრენინგები და კამპანიები, იქმნება პროფესიული მედიასკოლები, გამოდის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები და ბროშურები, მიმდინარეობს ქართველი ჟურნალისტების გაცვლის პროგრამები წამყვან უცხოურ რედაქციებსა და გამომცემლობებში, რათა ახალი თაობის ქართულმა მედიამ კარგი წვრთნა მიიღოს და ჯეროვანი სამსახური გაუწიოს დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე მდგომ საზოგადოებას. ერთი სიტყვით, 90-იანი წლებიდან, საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს მკვეთრად ეტყობა პრესის თავისუფლების ხარისხი, ვინაიდან, იმისდა მიუხედავად, თუ როგორია პროფესიული მედიის ფუნქცია, მისი უპირველესი მისია მაინც არის კომუნიკაციის თავისუფლების გამოყენება. ესაა დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარი, რადგანაც, „როგორიც არ უნდა იყოს დიქტატურა, საერო თუ თეოკრატიული, მონარქიული თუ იმპერიული, სამხედრო თუ კოლონიური, ბურჟუაზიული თუ პროლეტარული -

ის ყოველთვის ზღუდავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. ამდენად, თავისუფლება იქცა დემოკრატიის სიმბოლურ ფაქტორად.“ (ბერტრანი, 2004).

1995 წელს, კონსტიტუციის მიღებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირების საფუძველზე, საქართველოში პირველად შეიქმნა სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით თანამედროვე დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებული საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა იმთავითვე ხდება ქართული საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესი და, განსაკუთრებით, დემოკრატიული ღირებულებებისკენ მსწრაფი, იდეოლოგიური ჩარჩოებისგან თავდახსნილი ქართული მედიისთვის, რომელიც ამ პერიოდში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არეგულირებს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით, საქართველოს კანონით „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ,“ სამოქალაქო კოდექსით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, კანონით „მაუწყებლობის შესახებ“ და კიდევ რამდენიმე კანონის პუნქტებით.

2004 წლის 24 ივნისს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რითაც რადიკალურად შეიცვალა ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეჟიმს აწესრიგებდა: იმის მიუხედავად, რომ 1995 წელს ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამ და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირებამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ლიბერალურ ფასეულობებზე დაფუძნებულ კანონმდებლობას, ქვეყანაში დამკვიდრებულმა არაჯანსაღმა სასამართლო პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა კანონმდებლობაში არსებული წინადადებების დახვეწისა და სამართლებრივი ნორმების დეტალიზების საკითხი. ახალმა კანონმა გამოასწორა ეს ხარვეზები.

კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ არამარტო ჟურნალისტურ უფლებებთანაა დაკავშირებული, იგი ერთნაირად შეეხო საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს. ამ კანონის მეშვეობით,

საზოგადოებამ მიიღო: აზრის აბსოლუტური თავისუფლება; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლება; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლება; ცენზურის დაუშვებლობა, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობა და პლურალიზმი, ჟურნალისტის უფლება-დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები; თავისუფლება იძულებისაგან - გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი... და სხვა. („საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“)

ახალმა კანონმა ქართველი ჟურნალისტებისთვის შექმნა მყარი პროფესიული სტანდარტები, რითაც, ფაქტობრივად, სრულიად ახალი ერა დაიწყო ქართულ მედიასივრცეში. პრესის მუშაკებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ისეთი შინაარსის ცნებებმა, როგორიცაა: ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა მედიაპროდუქციაში, ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობა, პროფესიული საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნება, ჟურნალისტური წყაროების გადამოწმება, საჯარო პირის ცნება და მრავალი სხვა.

ბოლო 15-20 წლის ქართული ჟურნალ-გაზეთების ზერელედ გადათვალიერებაც კი საკმარისია, რომ მკითხველმა იგრძნოს, თუ როგორ ფაქიზად და პროფესიულად ეხებიან ჟურნალისტები ისეთ თემებს, როგორებიცაა: აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივ უმცირესობათა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, არასრულწოვანთა საკითხების გაშუქება, ადამიანთა თანასწორუფლებიანობა - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდების ან საზოგადოებრივი

გაერთიანებებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

1999 წელს საქართველომ, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, რატიფიცირება მოახდინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა“ (რომელიც ასევე რატიფიცირებულია 45 სახელმწიფოს მიერ). სწორედ კონვენციის მუხლების გათვალისწინებით შუქდება დღევანდელ ქართულ მედიაში ეს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, მონობისა და იძულებით მუშაობის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის თავისუფლება, ქორწინების უფლება, ზიანის ანაზღაურების უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა. ევროპის კონვენციის რამდენიმე მუხლის საფუძველზე ვითარდება ჩვენში მედიამრავალფეროვნება და მედიის პლურალიზმი.

ბოლო ათწლეულების პრესა გარკვევით გვიჩვენებს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიზანმიმართულ ქართულ მედიას თავის საქმიანობაში სისტემატურად უწევს შეჯახება გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან, ბიზნესელიტისა თუ რუხი კლანების ინტერესებთან. ამავე დროს, პროფესიულ საქმიანობაში არცთუ იშვიათად უშვებენ შეცდომებს თავად ჟურნალისტებიც. სასამართლო კი, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, არაერთგვაროვანი სრულყოფილებით განიხილავს გახმაურებულ საქმეებს. შეიძლება ითქვას, რომ მედია და ქართული სამართალი პარალელურად დგამენ პირველ ნაბიჯებს ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ.

ასეთ საინტერესო სასამართლო პროცესებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ბასილ მკალავიშვილისა და გაზეთ „რეზონანსის“ საქმე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ახალი თაობის“ საქმე, ონისე უგრეხელიძის, თინათინ დვალიშვილისა და გაზეთ „ .შ.“-ის საქმე, გაზეთ „ბათუმელებისა“ და ემზარ

დიასამიძის საქმე, თემურ შაშიაშვილის, დავით კუპრეიშვილისა და გაზეთ „ახალი ვერსიის“ საქმე, კონსტანტინე კემულარიასა და გაზეთ „რეზონანსის“ საქმე, დავით გურგენიძისა და გაზეთ „ახალი თაობის“ საქმე, კონსტანტინე ნურალოვისა და გაზეთ „ანარეკლის“ საქმე, გოგი ბიჭაშვილისა და გაზეთ „ალიას საქმე“, გურამ ჭუმბურიძისა და „დილის გაზეთის“ საქმე, ნუგზარ ერაგიასა და გაზეთ „ქუთაისის“ საქმე, ჯემალ ენჯიბაძისა და გაზეთ „კრიმინალის“ საქმე, მერაბ ტყეშელაშვილისა და გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ საქმე, ს.წ. -ისა (იდენტიფიცირებული პირის) და გაზეთ „ალიას“ საქმე, მამუკა ნოზაძისა და საბა წიწიკაშვილის საქმე, შ.შ. -ისა და გაზეთ „კვირის პალიტრის“ საქმე, გიორგი დოლიძისა და „7 დღის“ საქმე და ა.შ.

ამრიგად, მიხეილ გორბაჩოვის მიერ საჯაროობის გამოცხადებასთან ერთად დაიწყო მედიის დემოკრატიზაციის პროცესი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოებთან ერთად მედიამაც მოიპოვა სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ახალ, დემოკრატიულ პრესას თვითგამოხატვის საკუთარი რეგულაციები გაუჩნდა. ეს მთლიანად შეეხო პუბლიცისტიკის სპეციფიკურ ჟანრებსაც. მაგალითად, პრესის ფურცლებიდან მთლიანად ამოვარდა ნარკვევი, ასევე იშვიათად გამოიყენებოდა ანგარიში. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იშვიათდება ანალიტიკური სტატიები, წამყვანი ჟანრები გახდა ინტერვიუ (ინტერვიუ-დიალოგი, ინტერვიუ-ჩანახატი) და ნიუსი (ნეწს - ახალი, ცინცხალი ამბავი). განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ავტორს, რომელსაც შეეძლო საკუთარი, სუბიექტური მოსაზრებების გამოქვეყნება ყოველგვარი ცენზურისა და წნეხის გარეშე. პრესაში მოღვაწე ავტორებს თავისუფლად შეეძლოთ ეწერათ ისეთ თემებზე, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ, ეწერათ ისე როგორც სურდათ.

დემოკრატიული ქართული პრესის თანმდევი გახდა რედაქტორის გვერდი (ედიტორიალი) ან რედაქტორის სვეტი, ასევე საავტორო სვეტი.

თუ 90-იან წლებამდე რედაქტორის სვეტი იშვიათად ჩნდებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და მაშინაც კი მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური შინაარსი და ოფიციალური პოზიცია ჰქონდა, დემოკრატიულმა პრესამ სრული

უფლება მიანიჭა რედაქტორებს - ეწერათ იმის შესახებ, რაც თავად სურდათ; გულწრფელად გამოეხატათ საკუთარი პოზიციები, პიროვნული შეხედულებები და მისწრაფებები, ინდივიდუალური „მე“.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა საავტორო სვეტები, რომელთა ავტორები არიან არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ - მწერლები, მუსიკისმცოდნეები, ხელოვნებისა და სპორტის ექსპერტები, რიგითი ადამიანებიც კი. ეს საავტორო სვეტები ჟურნალ-გაზეთების შინაარსსაც ამრავალფეროვნებენ და რეიტინგულ სკალასაც მაღლა სწევენ. მათ შესახებ მოგვიანებით ვიმსჯელებთ.

IV. შესწავლილი პერიოდული გამოცემების სვეტთა რაოდენობრივი ანალიზი

ჟურნალი „გზა“. ყოველკვირეული ჟურნალი **„გზა“** 1996 წლიდან იწყებს გამოსვლას. შევისწავლე მისი ყველა ეგზემპლარი, ჯამში 1103 ნომერი. 2000 წლამდე ჟურნალში არც რედაქტორის და არც საავტორო სვეტი არ დაბეჭდილა. 2000 წლიდან მის ფურცლებზე ჩნდება „პროვოკატორის სვეტი“ და ამის შემდეგ ყოველ ნომერში იბეჭდება. პროვოკატორმა, იგივე ზვიად დოლიძემ, 2000 წლის იანვრიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით, ჟურნალში ჯამში 815 სვეტი გამოაქვეყნა, სახელწოდებით - „მინიატურები“ (იხ. გრაფიკი 2). ეს სვეტის საერთო სახელწოდებაა, თითოეულ სვეტს აქვს ასევე საკუთრივ თავისი სათაურიც.

ჟურნალი „ლიბერალი“. ჟურნალი „ლიბერალი“ 2009 წლიდან გამოდის, თვეში ერთხელ. მასში ძირითადად რედაქტორის სვეტი იბეჭდება. 2009 წელს ჟურნალში არც ერთი რედაქტორის სვეტი არ გვხვდება. 2010 წელს რედაქტორის მხოლოდ 6 სვეტი დაიბეჭდა. 2011 და 2012 წლებში მისი ფურცლებიდან ისევ ქრება სვეტი. 2013 წელს ჟურნალი „ლიბერალი“ ყოველკვირეული გამოცემა ხდება და მთელი წლის განმავლობაში 48 ნომერი გამოდის. თითოეული ნომერი იხსნება რედაქტორის სვეტით. 2014 წლიდან ჟურნალი ისევ ყოველთვიური ხდება, შესაბამისად, 2014-2016

წლებში სულ რედაქტორის 29 სვეტი იბეჭდება. 2017 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით კი, ჟურნალში რედაქტორის 4 სვეტი დაიბეჭდა (იხ. გრაფიკი 3).

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“. ყოველთვიური გამოცემა „ცხელი შოკოლადი“ 2005-2013 წლებში იბეჭდებოდა. იგი სრულიად განსხვავებული, ორიგინალური, საინტერესო გამოცემა იყო - შინაარსით და ვიზუალურადაც მრავალფეროვანი, საკმაოდ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის ჟურნალი.

ჟურნალმა რედაქტორის სვეტის ბეჭდვა 2012 წლიდან დაიწყო. მანამდე იბეჭდებოდა რუბრიკები: „რედაქტორისგან“ ან „რედაქტორის წერილი“. ამავე წლიდან ჩნდება „საავტორო სვეტიც“, რაც ძირითადად ავტორების მთავარი სტატიების მოკლე ანოტაციებს წარმოადგენს და მიუხედავად სახელისა, „საავტორო სვეტთან“, როგორც ჟანრთან კავშირი არ აქვს. შესაბამისად, მათ ვერ განვიხილავდი ამ კატეგორიაში. რაც შეეხება რედაქტორის სვეტს, 2012 -2013 წლებში ჟურნალში მისი 42 ნიმუში დაიბეჭდა (იხ. გრაფიკი 4).

ჟურნალი „ტაბულა“. ყოველკვირეული ჟურნალი „ტაბულა“ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ 2010 - 2013 წლებში გამოიცემოდა. ჟურნალის კონტენტი მემარჯვენე-ლიბერტარიანულ მსოფლმხედველობას ეფუძნებოდა. 2010 წლიდანვე ჟურნალი ინტენსიურად ბეჭდავდა სხვადასხვა თემატიკისა და სპეციფიკის საავტორო სვეტებს. ავტორები წერდნენ იმ თემებზე, რომლებიც მათ განათლებას, სამუშაო გამოცდილებას შეესაბამებოდა და რაშიც მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულები იყვნენ. სვეტების თემატიკა მრავალფეროვანი იყო - პოლიტიკა, განათლება, კულტურა, სპორტი... თუმცა, ჟურნალის მემარჯვენე-ლიბერტარიანული იდეოლოგია ყველა სვეტში იჩენდა თავს. ამასთან, თითოეული მესვეტე ამათუიმ საკითხში მკითხველის თვალსაწიერის გაფართოვებას, ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას ცდილობდა. ჟურნალი „ტაბულა“, სხვა ჟურნალ-გაზეთებისგან განსხვავებით, მესვეტეთა მრავალრიცხოვნებითაც გამოირჩეოდა. ოთხი წლის განმავლობაში აქ 45 ავტორის 381 სვეტი გამოქვეყნდა (იხ. გრაფიკი 5). ყველა სვეტს ჰქონდა ავტორის მაიდენტიფიცირებელი სათაური - მაგ.: „დავით

კოვზირიძის სვეტი“, „კახა ბენდუქიძის სვეტი“, „კახა ლომაიას სვეტი“ და ა. შ. თუმცა, ჟურნალის რედაქცია ბოლომდე ვერ ითავისებდა ჟანრის სპეციფიკას, კერძოდ, საავტორო სვეტის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს, რომ იგი ერთი და იმავე, მუდმივი ავტორის მიერ იქმნება, გარკვეული რეგულარობით ქვეყნდება და წინასწარ განსაზღვრულ, უცვლელ ადგილას იბეჭდება. ჟურნალში გვხვდებიან ავტორები, რომლებმაც მხოლოდ ერთი სვეტი გამოაქვეყნეს. მაგ., სანდრო ნავერიანის სულ ერთი სვეტი დაიბეჭდა ოთხი წლის განმავლობაში.

ამ წლების განმავლობაში, ჟურნალის 45 მესვეტიდან მხოლოდ 18 იყო ისეთი, რომელმაც 12 და მეტი სვეტი დაწერა. დანარჩენი 27 ავტორი რამდენიმე სვეტით, ხოლო ზოგიერთი მხოლოდ ერთი სვეტის ავტორობით შემოიფარგლა.

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე ნათლად ჩანს ჟურნალში მესვეტეობის განვითარების ეტაპები. 2010 წელს გამოცემაში 182 საავტორო სვეტი დაიბეჭდა, შემდეგ წლებში კი მათი რაოდენობა თანდათან შემცირდა: 2011 წელს გამოქვეყნდა 120, 2012-ში - 65, ხოლო 2013 წელს სულ 14 სვეტი. 2014 წელს ჟურნალმა გამოსვლა შეწყვიტა.

გაზეთი „კვირის პალიტრა“. ყოველკვირეული გაზეთის, „კვირის პალიტრის“ ნომრები 1995 წლიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით, მიჯრით შევისწავლე და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის შედეგები დიაგრამაში გამოვსახე. 2010 წლამდე გაზეთში არცერთი სვეტი არ დაბეჭდილა, მხოლოდ 2010 წლიდან იწყებს მერაბ მეტრეველი გაზეთთან თანამშრომლობას და ჩნდება მისი სვეტი - „კვირის ფიქრები“. ხათუნა ლაგაზიძის „პოლიტიკური მიკროსკოპი“ კი - 2012 წლიდან გამოჩნდა გაზეთის ფურცლებზე. 2010 - 2012 წლებში ამ ავტორთა სვეტების რაოდენობა მცირდებოდა - სულ 67 სვეტი დაისტამბა, ხოლო 2013 წელს ორივე ავტორის 92 სვეტი გამოქვეყნდა; 2014 წელს - 74, ხოლო 2015-ში - 66. ჯამში, 2010 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, 299 სვეტი დაიბეჭდა. 2016 წლიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით, მას შემდეგ, რაც ორივე ავტორმა პოლიტიკაში გადაინაცვლა, გაზეთში მათი სვეტები აღარ გამოქვეყნებულა (იხ. გრაფიკი 6.).

გაზეთი „24 საათი“. ყოველდღიური გაზეთი „24 საათი“ 2002 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 1 იანვრამდე გამოდიოდა. ამ წლების განმავლობაში სულ 3441 ნომერი გამოვიდა და ჯამში, 1046 საავტორო სვეტი დაიბეჭდა (იხ. გრაფიკი 7). ჩემს მიერ შესწავლილი გამოცემებიდან, გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე ყველაზე მეტი საავტორო სვეტი დაიბეჭდა. ცხადია, ეს განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ გაზეთი ყოველდღიური იყო.

სხვადასხვა დროს გაზეთ „24 საათის“ მესვეტეები იყვნენ: აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე, ბასა ჯანიკაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ეკა კვესიტაძე, დავით კოვზირიძე, გიორგი გვახარია, ნინია კაკაბაძე, მალხაზ ხარბედია, არჩილ მელიქიშვილი, ზაზა ფაჩუაშვილი, მაკა ჯაიანი, ლადო ბურდული, ვერა ნეფარიძე, ანა კორძაია, ბიძინა მაყაშვილი, დავით ანდრიაძე, დავით ქართველიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ნოდარ ლანდარია, გიორგი ასანიშვილი, კაჭკაჭი, მადი სერებრიაკოვა, შოთა იათაშვილი, მაია ჭალაგანიძე, ჯუნა მიქატაძე, ბორის ცოცხალაშვილი, სოფიკო ჩხაიძე, კოტე ყუბანეიშვილი, დეფი გოგიბედაშვილი, სანდრო ნავერიანი, მარი მაჩხაანელი, ნიკა რურუა, სამსონ ლეჟავა, პაულო კოელიო, ნესტან კვინიკაძე, მაია ურუშაძე, თამარ ხორბალაძე, ნინო გომართელი, თამარ მჭედლიშვილი, ნინო ცინცაძე, ირაკლი კორძაია, სიმონ აფაქიძე, გიორგი კალატოზიშვილი, იოჰან კრუიფი, დიმიტრი ავალიანი, გურამ ოდიშარია, რუსუდან ამირეჯიბი, ვერიკო თევზაძე, ნანა ნიჟარაძე, სოფო ბუკია, გიგა გურასაშვილი, ნინო ცინცაძე, რეზო თაბუკაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის რედაქცია კარგად იცნობს სვეტის სპეციფიკას, ხშირად, ისევე როგორც ჟურნალ „ტაბულას“ რედაქცია, უგულებელყოფს ამ ჟანრის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს, მის პერიოდულობას. მუდმივი მესვეტეების გვერდით, ხშირად შეხვდებით ერთჯერადი სვეტის ნიმუშებსაც. მაგალითად, „სოფო თოდუას სვეტი“ - ამ სათაურით ეცნობი პუბლიკაციას და მოლოდინი გიჩნდება, შემდეგ ნომერში თუ არა, მომდევნო

კვირის იმავე დღის ნომერში მაინც იხილავ ამ ავტორის სვეტს, მაგრამ იგი არცერთ ნომერში აღარ გვხვდება.

გაზეთ „24 საათის“ მესვეტეებიდან მეტ-ნაკლები რეგულარულობით ისტამბებოდნენ შემდეგი ავტორები: დავით კოვზირიძე, რომელმაც 185 სპორტული თემატიკის სვეტი გამოაქვეყნა, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ნინია კაკაბაძე, ზაალ სამადაშვილი, ეკა კვესიტაძე, ნესტან კვინიკაძე. მათი უმეტესობა სოციალურ-პოლიტიკურ თემატიკას ანიჭებდა უპირატესობას. მესვეტე, ფსევდონიმით „კაჭკაჭი“ სპორტულ სვეტებს წერდა; სამსონ ლეჟავა - სახელოვნებო თემატიკის, მალხაზ ხარბედია კი - ლიტერატურულ სვეტებს (იხ. გრაფიკი 8).

გაზეთში სვეტის გამოქვეყნების ტენდენციას თუ დავაკვირდებით, 2002 წლიდან 2005 წლის ჩათვლით სვეტების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. მაგალითად, 2002 წელს 77 საავტორო სვეტი დაიბეჭდა, 2003-ში - 119, 2004-ში - 185, ხოლო 2005 წელს - 265 სვეტი. შემდგომ, 2006- 2008 წლებში სვეტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, 2009 წელს კი ისევ გაიზარდა მათი რიცხვი და 156 სვეტს მიაღწია. თუმცა, 2010 - 2012 წლებში კვლავ კლების ტენდენციამ იჩინა თავი და ჯამში მხოლოდ 36 სვეტი გამოქვეყნდა. გაზეთის გამოცემის ბოლო, 2013 წელს კი არც ერთი სვეტი აღარ დაბეჭდილა. აქვე შევნიშნავთ, რომ 2010 წლიდან გაზეთში ჩნდება ბლოგები. გაზეთის დამატებაში - „წეეკენდ“- ვხვდებით სხვადასხვა ავტორის ბლოგს, სახელწოდებით - „წეეკბლოგი“. როგორც ვხედავთ, სვეტმა, როგორც პუბლიცისტურმა ჟანრმა, რაღაც ეტაპზე აქტუალობა დაკარგა, სახე იცვალა და ბლოგის ფორმით მოევლინა მკითხველს. ქართულ სოციალურ მედიაში, და ზოგჯერ ბეჭდვით მედიაშიც, ბლოგის ასე აქტიურად გამოყენება განაპირობა სოციალური მედიის განვითარებამ. სიახლე არაა ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბეჭდვითი მედიის მიმართ ინტერესი სულ უფრო მცირდება. გამოწვევების კვალად, სვეტების ავტორებმა ბლოგების წერა დაიწყეს და ციფრულ ველზე გადაინაცვლეს.

გაზეთები: „ახალი ვერსია“ და „ვერსია“. გაზეთი „ახალი ვერსია“ 2001-2007 წლებში გამოდიოდა და სისტემატურად ბეჭდავდა რედაქტორისა და საავტორო

სვეტებს. 2001 წლიდან 2004 წლის ჩათვლით გაზეთი ყოველკვირეული იყო, ხოლო 2005 წლიდან კვირაში სამჯერ გამოიცემოდა. გაზეთში 7 წლის განმავლობაში სულ 567 სვეტი დაიბეჭდა. 2002 - 2005 წლები ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ამ კუთხით. 2006 წლიდან კი სვეტების რაოდენობა შემცირდა, მთელი წლის განმავლობაში 35 სვეტი დაიბეჭდა, ხოლო გაზეთის გამოსვლის ბოლო, 2007 წელს - მხოლოდ 13 სვეტი (იხ. გრაფიკი 10).

მიჯრით შევისწავლე ასევე გაზეთ „ვერსიის“ 11 წლის ყველა ნომერი - 2007 წლიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით. 2007 წლის ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით გაზეთი კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა, ხოლო 2007 წლის ოქტომბრიდან - კვირაში სამჯერ. გაზეთის რედაქციის დამოკიდებულება სვეტის მიმართ სხვადასხვა წელს სხვადასხვაგვარი იყო. 2007, 2008 და 2009 წლებში საავტორო და რედაქტორის სვეტები გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა, 2010 წელს კი მხოლოდ 2 სვეტი გამოქვეყნდა. ამის შემდეგ, 2015 წლამდე არც ერთი სვეტი არ დაბეჭდილა. 2015 წლიდან „ვერსიაში“ ისევ ჩნდება საავტორო სვეტები. 2015 წელს 47 სვეტი გამოქვეყნდა, 2016-ში - 37, ხოლო 2017 წლის აპრილის ჩათვლით - 10 (იხ. გრაფიკი 11).

ჩემი საკვლევი თემა ჟურნალისტური ფორმის - სვეტის გენეზისს დემოკრატიზაციის პროცესში წარმოაჩენს, რაც თავისთავად გულისხმობს საკითხის შესწავლას ამ პროცესის თავისებურებათა გათვალისწინებით. იმისთვის, რომ მეტად თვალსაჩინო ყოფილიყო, რა ფაქტორებზე აქცენტირებას მივიჩნევ საჭიროდ აღნიშნული ურთიერთმიმართების ჩვენებისას და რამდენად მართებულია გამოტანილი დასკვნები, რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით შევისწავლე ასევე ორი პერიოდული გამოცემის: ჟურნალ „გზისა“ და გაზეთ „ვერსიის“ მუდმივი მესვეტეების: „პროვოკატორის“ - ზვიად დოლიძისა („მინიატურები“) და ლევან სეფისკვერაძის („შავი სათვალით“) სვეტები.

ამ შემთხვევაში შევიმუშავე კატეგორიათა ჯგუფი, ოთხი ე.წ. „საზრისისეული ერთეული“, რომელთა არსებობა ან არარსებობა უნდა დამედასტურებინა ამ ორი

მესვეტის ტექსტებში. კატეგორიები, ცხადია, დემოკრატიზაციის პროცესის თანმდევი და ამ პერიოდის მედიატექსტებისთვის ნიშნეული მახასიათებლების გათვალისწინებით შევარჩიე. ეს ერთეულებია: 1. ჟარგონის გამოყენება (აღრიცხვის ერთეული - სიტყვა); 2. ეკლესიის კრიტიკა/გაშარჟება (აღრიცხვის ერთეული - წინადადება); 3. პოლიტიკოსების კრიტიკა/გაშარჟება (აღრიცხვის ერთეული - წინადადება); 4. ქართული ადათ-წესების, ტრადიციების კრიტიკა/გაშარჟება (აღრიცხვის ერთეული - წინადადება).

კვლევის ამ მონაკვეთისთვის მქონდა ერთი ჰიპოთეზა: მას შემდეგ, რაც აქტიურ ფაზაში შევიდა ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესი, ჟურნალ-გაზეთებში იმატა პოლიტიკოსების, ეკლესიის, ქართული ადათ-წესების კრიტიკამ/გაშარჟებამ და ჟარგონების გამოყენებამ. ალბათური შერჩევის პრინციპის მარტივი შემთხვევითი შერჩევიდან გამოვიყენე სისტემური შერჩევის მეთოდი, რომელიც მარტივი შემთხვევითი შერჩევის ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ფიქსირებული, ანუ შერჩევის ინტერვალი არის ყოველი მეხუთე სვეტი. ჟურნალი „გზა“ გამოდის 2000 წლიდან, კვირაში ერთხელ, „პროვოკატორის“ სვეტი იბეჭდება ყოველ ნომერში. კვლევისთვის ავიღე ყოველი მეხუთე სვეტი (სულ 208 სვეტი). ამავე პრინციპით შევისწავლე გაზეთ „ვერსიის“ მესვეტის, ლევან სეფისკვერაძის სვეტები - „შავი სათვალით“. გაზეთი „ვერსია“ გამოდის კვირაში სამჯერ, ლევან სეფისკვერაძის სვეტი იბეჭდება კვირაში ერთხელ. ამ შემთხვევაშიც ავიღე ყოველი მეხუთე სვეტი (სულ 96 სვეტი). შერჩეულ სვეტებში დავითვალე ზემოთ ჩამოთვლილი „საზრისისეული ერთეულები“, რის შედეგადაც მივიღე შემდეგი განსაზღვრული რაოდენობრივი მონაცემები:

ჟურნალი „გზა“, „პროვოკატორის“ სვეტი

	ჟარგონი	ეკლესიის კრიტიკა	პოლიტიკოსების კრიტიკა/გაშარჟება	ქართული ადათ-წესების/ტრადიციების კრიტიკა/გაშარჟება
წელი	სიტყვა	წინადადება	წინადადება	წინადადება

2000	20	0	32	1
2001	13	0	53	4
2002	23	0	57	10
2003	43	0	72	4
2004	10	0	61	0
2005	10	0	62	8
2006	8	0	41	12
2007	8	0	56	2
2008	4	0	47	1
2009	19	0	52	1
2010	27	0	75	0
2011	38	2	46	0
2012	31	5	66	18
2013	25	0	82	0
2014	19	0	65	0
2015	24	0	53	3
2016	15	0	117	0

გაზეთები: „ვერსია“ და „ახალი ვერსია“, ლევან სეფისკვერაძის სვეტი -„შავი სათვალით“

	ჟარგონი	ეკლესიის კრიტიკა	პოლიტიკოსების კრიტიკა/გაშარჟება	ქართული ადათ-წესების/ტრადიციების კრიტიკა/გაშარჟება
წელი	სიტყვა	წინადადება	წინადადება	წინადადება
2004	13	1	1	14
2005	48	0	3	19
2006	30	0	27	31
2007	14	0	0	8
2008	36	2	19	44

2009	12	0	17	21
2015	7	0	60	4
2016	18	2	39	20

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზისთვის შერჩეული კატეგორიებიდან ორივე მესვეტე აქტიურად იყენებს ჟარგონს. მათ სვეტებში ძალზე იშვიათად, თითქმის არ გვხვდება ეკლესიის კრიტიკა. რაც შეეხება პოლიტიკოსების კრიტიკა/გაშარჟებას, „პროვოკატორისა“ და ლევან სეფისკვერაძის სვეტებში უხვადაა წარმოდგენილი მსგავსი ნიმუშები. განსაკუთრებით მრავლადაა აღნიშნული კატეგორიის შემთხვევები ზვიად დოლიძის - „პროვოკატორის“ სვეტებში. ამ მესვეტისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის ხელისუფლებაში - შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ივანიშვილი და მისი გუნდი. ობიექტური მესვეტე - „პროვოკატორისთვის“ „საპროვოკატორო“ თემები თითოეულ შემთხვევისთვის მრავლად მოიძებნება.

ზვიად დოლიძე თავის სვეტებში უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე ამახვილებს ყურადღებას. შესაბამისად, მისი თვალთახედვის არეში ექცევა ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მუდმივად რთული ვითარება, რასაც ავტორი ყოველთვის მწვავე კრიტიკით ეხმაურება. „პროვოკატორის“ სვეტებში ჭარბადაა პოლიტიკური სატირა, თუმცა ნაკლებად გვხვდება ქართული ადათ-წესების კრიტიკა/გაშარჟება. სამაგიეროდ, ეს თემა, სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკასთან ერთად, ერთობ აქტუალურია ლევან სეფისკვერაძის სვეტებში - „შავი სათვალით“.

აღსანიშნავია, რომ ორივე ავტორმა სვეტების წერა იმ პერიოდში დაიწყო, როდესაც ქვეყნაში არსებულმა რთულმა, მაგრამ დემოკრატიული განვითარებისთვის მაინც ხელსაყრელმა პირობებმა ბიძგი მისცა პრესის დემოკრატიზაციის პროცესს, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მედიატექსტების ფორმისა და შინაარსის ცვლილებას. შესაბამისად, მათ თავისუფალი პრესისთვის

დამახასიათებელი ყველა ნიშანი შეითვისეს და ეფექტურად გამოიყენეს საკუთარი სუბიექტური მოსაზრებების გამოსახატავად.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ჩემ მიერ საკვლევად შერჩეულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სვეტების რაოდენობრივმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, წლებისა და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების კვალდაკვალ, ნათლად დაგვენახა ბეჭდურ მედიაში სვეტის დამკვიდრებისა და მისი შინაარსობრივი ცვლილებების პროცესი. როგორც თანდართული გრაფიკებიდან ჩანს, ამ ჟურნალისტურმა ფორმამ თანდათანობით მოიპოვა მყარი ადგილი ე.წ. „გადასვლის“ პერიოდის ქართულ პრესაში. პირველ ეტაპზე სვეტებისადმი ინტერესი მცირე იყო, შემდეგ ეტაპობრივად იმატა და გარკვეულ პერიოდში მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია, მერე კი უკუსვლა იწყო და თითქმის გაქრა ბეჭდური მედიის თვალსაწიერიდან. უფრო სწორად, სახე იცვალა და ბლოგის სახით გამოჩნდა ინტერნეტმედიაში. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ციფრული კომუნიკაციების ფორსირებული განვითარება გახდა, რამაც ბეჭდურ მედიას აქტუალურობა დააკარგვინა. ნათქვამის დასტურია ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი გამოცემებიდან რამდენიმემ საერთოდ შეწყვიტა არსებობა, ზოგიერთი კი ონლაინ ვერსიით მოევლინა მკითხველ აუდიტორიას.

დღეს ჟურნალ-გაზეთებს რთული პერიოდი აქვს - მკითხველს თანდათან კარგავს. საყოველთაო ინტერესი ახლა ონლაინ სივრცისკენაა მიპყრობილი, რომელშიც სოციალური ქსელები და ინტერნეტმასმედია ბატონობს. ბევრმა პერიოდულმა გამოცემამ სწორედ ამ სივრცეში განაგრძო არსებობა. შესაბამისად, გაჩნდა სვეტის მსგავსი მედიატექსტი, რომელსაც ბლოგი ეწოდება. მესვეტე შეცვალა ბლოგერმა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც რთულია პროგნოზირება, რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება ეს მედიაჟანრი, ან საერთოდ გაქრება თუ არა ბეჭდურ მედიასთან ერთად, მაგრამ ის რომ ძალზე ეფექტური, მოქნილი და პრეზენტაბელური ფორმაა თვითგამოხატვისთვის, ეჭვს ნამდვილად არ იწვევს.

ამასვე მოწმობს ჩემი კვლევაც, რომელმაც მკაფიოდ გვიჩვენა სვეტის ტრანსფორმაციის პროცესის დინამიკა და მისი განვითარების საფეხურები წლების მიხედვით.

V. თანამედროვე ქართველი მესვეტეების შემოქმედებითი თავისებურებები

საკვალიფიკაციო ნაშრომის ამ ნაწილში ვისაუბრებ ქართველ მესვეტეთა შემოქმედებით თავისებურებებზე. ყურადღებას გავამახვილებ მნიშვნელოვან ტექსტებზე, რომელთა ანალიზიც გვეხმარება იმ სპეციფიკის წარმოჩენაში, რომლითაც ხასიათდება კონკრეტული ავტორის ხელწერა. საძიებო თემატიკა ორ მსხვილ ჯგუფად დავყავი და ცალცალკე განვიხილე რედაქტორისა და საავტორო სვეტების ნიმუშები, მათი ავტორების სტილური თავისებურებები, მათ მიერ აქცენტირებული პრობლემატიკა.

საგულისხმოა, რომ მედიატექსტების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები და მსჯელობა გავამყარე თავად ავტორების შეხედულებებითა და წარმოდგენებით. ეს თვალსაზრისები მათ ინტერვიუირებისას გამოთქვეს. ნარატიული ქსოვილის ამ პრინციპით შესწავლამ მეტი დამაჯერებლობა შესძინა მსჯელობას, გამოკვეთა მესვეტის მოღვაწეობის ახალი შემოქმედებითი აქცენტები და გაამდიდრა საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებული მოსაზრებები.

V.1. რედაქტორის სვეტის ქართველ ავტორთა ხელწერის სპეციფიკა

რედაქტორის სვეტში ავტორის როლი განსხვავდება ჟურნალისტის როლისაგან, რომელიც (როგორც წესი) მიუკერძოებლობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. რედაქტორის სვეტის ავტორს აქვს უფლება, ნათლად გადასცეს მკითხველს საკუთარი პოზიცია, გამოხატოს თავისი აზრი და შექმნას ამა თუ იმ მოვლენაში ჩართულობის შთაბეჭდილება. ყველაზე ხშირად, რედაქტორის სვეტები გამოირჩევა განსაკუთრებულად სანდო და დამაჯერებელი ტონით, რის შედეგადაც იქმნება მკითხველთან ახლო ურთიერთობის განცდა. ამგვარ სვეტს აქვს უნარი, ღიად მოუწოდოს მკითხველს გარკვეული ქმედებისკენ.

ჩემ მიერ შესწავლილი ქართული პერიოდული გამოცემებიდან რედაქტორის სვეტს უთმობს ადგილს ჟურნალები: „ლიბერალი“ და „ცხელი შოკოლადი“, ხოლო გაზეთებიდან - „ახალი ვერსია“ და „ვერსია“. დანარჩენი გამოცემები უპირატესობას სხვადასხვა თემატიკის საავტორო სვეტებს ანიჭებენ.

შორენა შავერდაშვილის ავტორობით წარმოდგენილი რედაქტორის სვეტი ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“, მოგვიანებით კი ჟურნალ „ლიბერალში“, თემათა მრავალგვარობით, ორიგინალური სტილით გამოირჩევა. თითოეულ სვეტში იგრძნობა მისი კომპეტენტურობა, თვალსაზრისის ეფექტურად მიწოდებისა და პრობლემის არსში წვდომის უნარი.

„ლიბერალის“ 2009 წლის მაისის ნომერში (რომელიც, ამავდროულად, ჟურნალის პირველ ნომერს წარმოადგენს) გამოქვეყნებულ რედაქტორის სვეტში ავტორი, შორენა შავერდაშვილი, ჟურნალის კონცეფციას გვაცნობს. იგი სახელწოდებაზე მიანიშნებს და აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ამან გარკვეული გაუგებრობები წარმოქმნას. ვინაიდან, მრავალი ადამიანის თვალსაზრისით, ლიბერალიზმის ცნება უკვე ისტორიულ-პოლიტიკურ წარსულს ჩაბარდა. თუმცა, რედაქტორის თქმით, „პიროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი სხვა, უფრო ეფექტიანი ღირებულებითი პლატფორმა კაცობრიობას ჯერ არ მოუფიქრებია. საქართველოში კი, სადაც მუდმივ მტრულ ბანაკებად ვართ დაყოფილი, სადაც განსხვავებულის გვეშინია და ვდევნით, მასას კი ყოველთვის უფრო მეტი ძალა

აქვს, ვიდრე ინდივიდს, ლიბერალიზმი ჰაერივით საჭირო მგონია. გვინდა ეს სიტყვა პოლიტიკური ნანგრევებიდან ამოვიტანოთ და ადამიანურ მანიფესტად ვაქციოთ, მრავალფეროვანი რეალობის ამსახველ მანიფესტად“ (შ. შავერდაშვილი, 2009). მოტანილ ფრაგმენტში კარგად ჩანს, თუ რა დამაჯერებლად იყენებს ავტორი არგუმენტებს მკითხველის დასარწმუნებლად, რომ ლიბერალიზმზე დაფუძნებული ღირებულებები სწორედ ისაა, რაც ქვეყანას ჰაერივით სჭირდება და ამით სრულად ამართლებს ჟურნალის სახელწოდებას. ამასთან, რედაქტორი აცნობს მკითხველს გამოცემის მიზანდასახულობას, ცდილობს მისი ნდობისა და კეთილგანწყობის მოპოვებას (შ.შავერდაშვილი, 2009).

„ლიბერალის“ 2013 წლის 4-10 მარტის ნომერში რედაქტორი ისეთ პრობლემას ეხება, რისთვისაც ქართულ პრესაში, სამწუხაროდ, მხოლოდ იშვიათად თუ მოიძებნება ადგილი. ეს არის სასკოლო განათლების პრობლემა. შ. შავერდაშვილი სვეტის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მისი ამ თემით დაინტერესება გარკვეულწილად პირადულია და განპირობებულია სასკოლო ასაკის შვილის პრობლემებით, რასაც განათლების სისტემის უთავბოლობა ქმნის. ავტორი რამდენიმე არსებით კითხვას სვამს სასკოლო განათლების მოჩვენებით სიკეთესთან და ფარულ საფრთხეებთან დაკავშირებით: „სინამდვილეში, რას აძლევს დღევანდელი სკოლა ჩვენს შვილებს? მათ შორის, კერძო და ძვირადღირებული სკოლები? როგორ გეგმავენ მათ განათლებას? უვითარებენ თუ არა ადამიანურ ინტერესებს და სასიცოცხლო უნარებს? რამდენად ოპტიმალურად განკარგავენ მათ დროს? რა დროს გვიტოვებენ მშობლებს ბავშვებთან საურთიერთობოდ?“... მოცემულ ფრაგმენტითაც ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია, მისი სუბიექტური „მე“, რომელიც არც ობიექტურობასაა მოკლებული, რადგან სწორედ იმ რეალურ პრობლემებზე საუბრობს, რაც მისი თანადროული სასკოლო განათლების სისტემისთვის ყველაზე აქტუალურია (შ. შავერდაშვილი, 2013).

შორენა შავერდაშვილთან საუბრისას გამოიკვეთა მისი, როგორც სვეტის ავტორის პოზიციაც. იგი მიიჩნევს, რომ რედაქტორის სვეტი სადღეისოდაც

ნებისმიერი ჟურნალის ხერხემლის ნაწილია. იგი რედაქტორს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, მიმოიხილოს ნომერი, აქცენტები დასვას, მიმდინარე ნომრის კონცეფციაზე გაამახვილოს ყურადღება, თან თავისი სუბიექტური დამოკიდებულება ჩადოს ამ ყველაფერში: „რედაქტორის სვეტი გაძლევს უზარმაზარ თავისუფლებას, არ არის აუცილებელი, სარედაქციო ჯგუფთან შეჯერებული პოზიცია გამოხატო, და ეს რაღაც ძალიან საინტერესოა.“ ამბობს, რომ სრულიად გულწრფელი იყო ყველა სვეტში. მესვეტის როლში თვალსაზრისის გამოხატვისას საკუთარ თავში მომხდარ ცვლილებებს, ერთგვარ შინაგან ტრანსფორმაციას ასე აღწერს: „თავიდან ბევრად უფრო მორიდებული ვიყავი, ჩემი სვეტები უფრო მიმდინარე ნომრის მიმოხილვა იყო და მერე ნელ-ნელა სრულფასოვან სვეტად გადაიქცა, სადაც შემეძლო მტკიცებითი წინადადებების წერა, პირადი დამოკიდებულების, პოზიციის ჩვენება, ნომერთან სრულიად არადაკავშირებული ამბების მიმოხილვა და შემეძლო ვყოფილიყავი სრულიად სუბიექტური. ჩემი საყვარელი ჟანრია, ამ ჟანრში ვიპოვე ჩემი თავიც და ჩემი ხმაც.“

შორენა შავერდაშვილის აზრით, სვეტების ტექსტები საინტერესო უნდა იყოს. მესვეტე დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს და ყოველთვის უნდა ჰქონდეს გააზრებული, რატომაა საინტერესო ის, რაზეც წერს, რატომ უნდა იყოს მისი სუბიექტური დამოკიდებულება სხვისთვის ყურადსაღები. ამ კითხვებზე პასუხები მესვეტეს აუცილებლად უნდა გააჩნდეს.

ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორის სვეტები საინტერესო რაკურსით, ობიექტურობის მაღალი ხარისხით, თემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა; კონკრეტულ დროში მიმდინარე მოვლენების სუბიექტურ ხედვას გვთავაზობს და ხშირად მკითხველისთვის საჭირბოროტო და აქტუალურ კითხვებზე იძლევა პასუხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შ. შავერდაშვილის თითქმის ყოველ სვეტში იგრძნობა მისი კომპეტენტურობა, საკითხის არსში წვდომისა და სიღრმისეული ანალიზის უნარი.

„ლიბერალის“ 2012 წლის 3-9 სექტემბრის ნომერში დასტამბულ რედაქტორის სვეტში შ. შავერდაშვილი იმ პერიოდში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურება და არჩევნებში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ შანსებს მიმოიხილავს. ავტორი საკმაოდ ობიექტურად განიხილავს ორივე პარტიის შანსებს და აქცენტს მათ სუსტ მხარეებზე აკეთებს, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმაოდ მრავლად არის და ყველას „თვალში ეჩხირება“. შავერდაშვილი საუბრობს იმის თაობაზეც, რომ „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ კრიტიკას არასერიოზულს უწოდებენ და აღნიშნავს, რომ „ოპონენტის კრიტიკა ბევრი რამისთვის შეიძლება - როგორც მისი საკადრო პოლიტიკისთვის, ისე ჯერ კიდევ დაუკონკრეტებელი სამომავლო ხედვების გამო. „რუსეთი, რუსეთის“ ძახილი კი, მარიკა ვერულაშვილის მიერ ყვარელში გამართული შეხვედრის დარად, უკვე ძალიან არასერიოზულია“ (შ. შავერდაშვილი, 2012).

მოყვანილ ფრაგმენტში ავტორი ღიად გადმოსცემს საკუთარ სუბიექტურ შეხედულებებს, რაც დღევანდელ ჟურნალისტურ სივრცეში, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათია, ეს გულწრფელობა კი მისი, როგორც მესვეტის ხელწერას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ შ. შავერდაშვილის სტილი ფაქტობრიობისა და კრიტიკის საგნის მიმართ მგრძნობელობის ნაზავია. ტექსტებში ნათლად ჩანს ავტორის დიდი პასუხისმგებლობა საკუთარი ნაწერის მიმართ, მისი კომპეტენტურობა.

„ლიბერალის“ 2012 წლის 15-21 ოქტომბრის ნომერში, რომელიც ამავე წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოვიდა, რედაქტორი პოლიტიკურ ძალთა მიერ მედიაზე ზეგავლენის მოპოვების მტკივნეულ საკითხებზე საუბრობს. მიუხედავად ამ მხრივ არასახარბიელო ვითარებისა, იგი იმედს მაინც არ კარგავს და უკეთესის მოლოდინს უტოვებს მკითხველს: „მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მხარეები მედიაზე გავლენას ვერ თმობენ, პირიქით, მაქსიმალურად ცდილობენ მედია-რესურსების კონცენტრაციას, გაჩნდა შანსი, რომ დაიწყოს ბრძოლა მედიის რეალური თავისუფლებისათვის“ (შ. შავერდაშვილი, 2012). ამ მოსაზრებას ავტორი

ხელშესახები არგუმენტებით ამყარებს, რისი მეშვეობითაც მისი ხელწერა უფრო დამაჯერებელი, ხოლო თვითგამოხატვის მანერა უფრო მკაფიო ხდება. ამავე სვეტში ავტორი საუბრობს სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბების შანსზეც, თუმცა იგი აქ ირონიასაც იშველიებს, რასაც ავტორში ამ თემაზე იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის სუსტი არგუმენტები იწვევს.

„ლიბერალის“ 2013 წლის 1-7 აპრილის რედაქტორის სვეტში, შორენა შავერდაშვილი იმ დროისათვის საკმაოდ მწვავე და აქტუალურ პრობლემას - ავღანეთში, ერაყსა და მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში სამშვიდობო მისიის ეგიდით ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას ეხმაურება. ამ სვეტში, ალბათ, ყველაზე ცხადად არის გამოხატული ავტორის ინდივიდუალურობა, როდესაც მას მოჰყავს იმ ჟურნალისტის ციტატა, რომელიც დიდი გულისტკივილით საუბრობს ავღანეთში მიმავალ ქართველ სამხედროებზე: „ამ ბიჭებთან გამომშვიდობებისას, როდესაც თავისი ახლობლების ტელეფონები ჩამაწერინეს, ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. ჩამოხვედი და ერთი ამბავია ატეხილი აქ თუ სახლში - „აუ, რა მაგარია, ავღანეთში წავიდნენ“, - აქ კი ეს ბიჭები ექვსი თვე და მეტი მსახურობენ, ყოველდღე სიკვდილს ჩაჰყურებენ თვალებში და ვითომ არაფერი, ვითომ ასეც უნდა იყოს, სრული სიჩუმე! ეს უსამართლობაც აღარ არის, გაცილებით უფრო უარესია. მართლა ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. აფხაზეთის ომის დროს ასეთებს გასტროლიორებს ეძახდნენ!...“ - გვთავაზობს ავტორი ამონარიდს სტატიიდან „ავღანური დღიურები“ (შ. შავერდაშვილი, 2013).

2013 წლის მაისის ნომერში კი რედაქტორი მკითხველს საქართველოში პოლიტიკური კულტურის სავალალო მდგომარეობის შესახებ ესაუბრება და აქცენტს ტოტალიტარიზმის ინერციაზე აკეთებს, რომლითაც ესოდენ სცოდავს ქართული პოლიტიკური სივრცე. ავტორი საკუთარი სუბიექტური შეგრძნებების აღწერის გზით ცდილობს მკითხველზე ზემოქმედებას, რაც მხოლოდ დიდი გამოცდილებისა და პროფესიული უნარის მქონე ჟურნალისტებს ძალუძთ. შ. შავერდაშვილი საუბრობს იმ ტრაგიკულ განცდაზე, რაც მას დაეუფლა, „როცა მოსამართლეთა

კონფერენცია, მოსამართლეთა მთელი კორპუსი იუსტიციის საბჭოს დელეგატებს ირჩევდა.“ ავტორი აქვე დასძენს, რომ „ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება და კულტურა, უკვე ბევრი წლის განმავლობაში, იმდენად განიმსჭვალა ტოტალიტარული სულით, რომ მან თითქმის გაანადგურა ადამიანის სამოქალაქო და ფასეულობითი ცნობიერება.“ (შ. შავერდაშვილი, 2013). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, როგორც ამ, ასევე სხვა სვეტებშიც შთამბეჭდავად ახდენს სუბიექტური გამოცდილებისა და ობიექტური რეალობის შეჯერებას, რისი მეშვეობითაც შედარებით მარტივად ზემოქმედებს მკითხველის განწყობაზე.

ჟურნალ „ლიბერალში“, გარდა შ. შავერდაშვილის რედაქტორის სვეტებისა, ვხვდებით აგრეთვე სხვა რედაქტორთა სვეტებსაც, რომელთაგანაც აღსანიშნავია ჟურნალის აღმასრულებელი რედაქტორის, ნინო ბექიშვილის, ასევე ირაკლი აბსნაძის, ზურაბ ვარდიაშვილის რედაქტორის სვეტები.

„ლიბერალის“ 2013 წლის 27 მაისი - 2 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ რედაქტორის სვეტში ნინო ბექიშვილი მკითხველს სთავაზობს აღნიშნული ნომრის ძირითადი საკითხების მოკლე მიმოხილვას, თუმცა ეს სვეტი არც მის სუბიექტურ თვალთახედვას არის მოკლებული, როდესაც იგი მკითხველს განათლების პრობლემაზე ესაუბრება, ხოლო მისი ხელწერა მკაფიო და ობიექტურია: „უკანასკნელმა მოვლენებმა ყველაზე ცხადად ერთი რამ დაგვანახა - ჩვენი საზოგადოების განათლების ძალიან დაბალი დონე. განათლება გვაკლია ყველას - სასულიერო პირებს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მასწავლებლებსა და სკოლის მოსწავლეებს.“ (ნ.ბექიშვილი, 2013). რედაქტორი ამავე სვეტში მოუწოდებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მეტად დაინტერესდნენ განათლების, უფრო სწორედ კი - ქვეყანაში არსებული გაუნათლებლობის მწვავე პრობლემატიკით, რადგანაც, როგორც იგი აღნიშნავს, „პოპულისტურმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ის შედეგი მოიტანა, რაც დღეს გვაქვს - სასულიერო პირები მშვიდობიანი მოქალაქეების დარბევაში მონაწილეობენ, ზოგიერთი პოლიტიკოსი ამართლებს და

სხვა რაღა ვთქვათ - ბოლო კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის შემაშფოთებლად დიდი ნაწილი მისტირის სტალინს.“ (ნ.ბექიშვილი, 2013).

„ლიბერალის“ 2013 წლის 1-7 ივლისის რედაქტორის სვეტში, ნინო ბექიშვილი აქცენტს აკეთებს ადამიანთა უფლების დაცვის აუცილებლობაზე და მკაცრად გმობს როგორც პატიმართა წამების ფაქტებს, ასევე იმასაც, რომ ამ დამნაშავეთა დანაშაულის უკიდურესი შემსუბუქება მოხდა სახელმწიფოს მიერ. ავტორი დამაჯერებლად იყენებს ფაქტების კონსტატაციის ტექნიკას, რისი მეშვეობითაც საინტერესოდ ახდენს არსებული რეალობის იდენტიფიცირებას და მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს იგი.

ირაკლი აბსნაძე „ლიბერალის“ 2013 წლის 25 თებერვლის რედაქტორის სვეტში განიხილავს საქართველოში არსებულ ფსევდო-ევროპულ ტენდენციებს და აღნიშნავს, რომ ის აქცია, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2 თვით ადრე დააანონსა და რომელიც „ანტი-რუსული“ კამპანიის სახეს ატარებდა, სრულიად ზედმეტი იყო მოცემულ პირობებში, რის გამოც „ქართული ოცნების“ წევრებს საჯაროდ თავის მართლება მოუწიათ. ავტორი აღნიშნავს, რომ „მსოფლიოსთვის იმის დანახება, რომ ჩვენ პრო-ევროპული სახელმწიფო ვართ, უკვე ყველასთვის მოსაბეზრებელი და უინტერესოა.“ (ი. აბსნაძე, 2013). ამასთან მიმართებით აღნიშნავს: „რაც თავი მახსოვს, მსოფლიოსთვის სულ რაღაცეების დანახებას ვცდილობთ. წესით, უნდა დაენახა აქამდე. ან, იქნებ არ აინტერესებს მსოფლიოს იმის ნახვა, რასაც ქართველი ხალხი ასეთი სიხშირით სთავაზობს“. ამ ფრაზებით ავტორი ცდილობს მკითხველის გამოფხიზლებას და მათ იმ მოსაზრებამდე მიყვანას, რომ უმჯობესია, ხალხმა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოს და არა - „საგარეო იმიჯის ხელოვნურად შეთითხნაზე“ (ი. აბსნაძე, 2013).

„ლიბერალის“ 11 მარტის ნომერში კი, რედაქტორი ირაკლი აბსნაძე მკითხველს „ქალთა დღისა“ და 23 თებერვლის „დღესასწაულების“ საკამათოობაზე ესაუბრება და აღნიშნავს, რომ ეს დღესასწაულები, რომლებიც, რბილად რომ

ვთქვათ, საბჭოთა გადმონაშთს წარმოადგენს, ყოველგვარ აქტუალობას მოკლებულია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამაზე პირდაპირ არ საუბრობს, მის ტექსტში კარგად იკითხება მისი ინდივიდუალური დამოკიდებულება ამ საკითხთა მიმართ, რაც ჟურნალისტისაგან ერთგვარ ოსტატობას მოითხოვს. ავტორი აღნიშნავს, რომ 8 მარტთან დაკავშირებით, „მემარჯვენეების ფეისბუქ-კედლები თავწაკრული სლავი ქალების კარიკატურებით და ცინიკური მინაწერებითაა მოფენილი, მემარცხენეები კი როზა ლუქსემბურგისა და სხვა ემანსიპარებული ქალების სახასიათო ფოტოებს აზიარებენ.“ სვეტში ავტორი იუმორსა და სარკაზმს მიმართავს, რომლის მეშვეობითაც არწმუნებს მკითხველს, რომ ამგვარი დღესასწაულები უკვე „დრომოჭმულია”.

ზურაბ ვარდიაშვილი ბოლო წლებამდე რჩება ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორად და ყოველ ნომერში გვთავაზობს რედაქტორის სვეტს. მის სვეტებს, და ზოგადად, „ლიბერალის“ რედაქტორების სვეტებს, ვერ განვიხილავთ ისე, როგორც მხოლოდ ჟურნალის შეჯამებას, რადგან გარდა შეჯამებისა, რედაქტორის სვეტი სრულიად თავისუფალი ჟანრია. ხშირ შემთხვევაში რედაქტორები წერენ საავტორო სვეტებს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე, იმაზე, რაც მათ აწუხებთ, აფიქრებთ და ამ სვეტებს პირველ გვერდზე, რედაქტორის სვეტად წარმოგვიდგენენ. რედაქტორი თავის სვეტში ჟურნალის მიმდინარე ნომრის რომელიმე კონკრეტულ თემას, ან რამდენიმე თემას გამოჰყოფს და უპირატესობას ანიჭებს, აქცენტებს სვამს. იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „ლიბერალის“ რედაქტორები ნომერს აჯამებენ რედაქტორის სვეტში, ერთგვარ „ედიტორ ჩოისს“ აკეთებენ, რომელი თემა უფრო ყურადღება გასამახვილებელია. 2017 წლის თებერვლის ნომერში ზურაბ ვარდიაშვილის რედაქტორის სვეტი აგებული იყო სტუდენტებისა და მუშების მოძრაობაზე, მათ პრობლემატიკაზე, რადგან იმ თვეში აბობოქრდა საპროტესტო ტალღა დამსაქმებლების წინააღმდეგ. ეს იყო თემა, რომელსაც რედაქტორი წესით ვერ უნდა გასცდენოდა თავის სვეტში, ეს იყო იმ პერიოდის გამოძახილი, რა პერიოდშიც ჟურნალი გამოდიოდა.

სვეტში, რედაქტორის იქნება ის, თუ საავტორო, მთავარი ავტორია. ჟურნალისტი, როდესაც საგაზეთო პროდუქტს ქმნის, ყველა საკითხში ექსპერტი ვერ იქნება. პროფესიონალიზმი იმაში მდგომარეობს რომ მონახო სწორი ადამიანი, სწორი წყარო და მათთან მუშაობის შედაგად დადო პროდუქტი, ეს არის ჟურნალისტიკა. საავტორო სვეტების ერთ-ერთი ნაირსახეობა - მოსაზრების სვეტი, ე.წ. პინიონ ჩოლუმნ, განსხვავებული შემთხვევაა. რაზეც მესვეტე წერს, რაზეც მოსაზრებას გამოთქვამს, ამაში ექსპერტი უნდა იყოს, სიტყვა ექსპერტი ცოტა გაცვეთილია ქართულ მედიასივრცეში, მაგრამ იგულისხმება საკითხის მაქსიმალურად სირღმისეული ცოდნა. მაგალითად, როდესაც გია ეძგვერაძე წერს არტისტიზმის პრობლემატიკაზე, უნდა დავუჯეროთ, როდესაც დავით ბუხრიკიძე წერს თეატრზე უნდა წავიკითხოთ. ავტორს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მკითხველი ფიქრობს, რომ ამ ავტორმა ეს კონკრეტული საკითხი იცის და ამიტომ, როდესაც გრიგოლ გეგელია, რომელიც პოლიტიკური მეცნიერებების ისტორიკოსია, ოპერაზე დაწერს, მკითხველისთვის მისი მოსაზრებები დამარწმუნებელი ვერ იქნება.

ობიექტურობის ცნება მედიაში გადაჭარბებულია, მითუმეტეს თანამედროვე მედიაში, არსებობს რამდენიმე წითელი პრინციპი რომელიც არ უნდა დაირღვეს, ფაქტი არ უნდა დამახინჯდეს, შავზე თეთრიაო არ უნდა ითქვას, და მოპოვებული, გადამუშავებული ინფორმაცია მკითხველს სწორად უნდა მიეწოდოს.

ჟურნალ „ლიბერალის“ მკითხველმა იცის, რომ ჟურნალში რეაქციული კონსერვატიზმის ადგილი არ არის. თუმცა ვინაიდან ლიბერალია შესაძლებელია ერთად თანაიარსებოს სრულიად განსხვავებულმა, ერთმანეთის მიმართ შოკისმომგვრელმა იდებმა. ჟურნალის ფურცლებზე სრულიად დაპირისპირებული და სრულიად განსხვავებული მოსაზრებები შეგიძლიათ იხილოთ.

ზურაბ ვარდიაშვილის სვეტებში სუბიექტური მოსაზრებები, ხედვა, განწყობაა ასახული. უმცირესობების საკითხი, გარემოს დაცვა, განათლება, ადამიანის

უფლებები არის ჟურნალისთვის და, შესაბამისად, რედაქტორებისთვის პრიორიტეტული თემები.

2014 წლის ივნისის თვის რედაქტორის სვეტს „ზოგადად უკულტურო კაცი“, ზურაბ ვარდიაშვილი, ნომერში გამოქვეყნებული პაატა ქურდაძის სტატიის შესახებ საუბრით იწყებს, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებს და ამ არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატების ზოგად კულტურას, თუ უკულტურობას ეხება: „თუ რას გულისხმობს მწერალი (პაატა ქურდაძე) „ზოგადი კულტურის დეფიციტში“, სტატიის კითხვისას თავად გაარკვევთ, ჩემთვის კი, „ზოგადად უკულტურო კაცი“ - ასეთი შეფასება, ზედმიწევნით ხატავს არამხოლოდ დედაქალაქის მერობისთვის მებრძოლ კანდიდატებს, არამედ საქართველოს ფორმალურად მესამე, პრაქტიკულად კი პირველ პირს... მოუსმინეთ მის ინტერვიუებს, უყურეთ მისი მონაწილეობით გამართულ თოქ-შოუებს, მის ურთიერთობას ჟურნალისტებთან, დააკვირდით მისი საუბრის, გნებავთ, მოძრაობის მანერას... დეფინიცია ზედგამოჭრილია...“ ამის შემდეგ ავტორი ასახელებს იმას თუ რა არის სამარცხვინო საქციელი, რომელსაც „ზოგადად უკულტურო კაცები“ სჩადიან ჩვენს ქვეყანაში... სვეტის შუა ნაწილი მთლიანად ავტორის სუბიექტური შეხედულებების დემონსტრირებაა. ბოლო აბზაცში კი ისევ ნომერს უბრუნდება : „თუმცა ამ ნომრის თემა პრემიერ-მინისტრი არ არის. „ლიბერალის“ ფოკუსში „მეორე სქესზე" - ქალებზე - ძალადობის, მათი უკიდურესი დისკრიმინაციის, დროის უმოკლეს მონაკვეთში საგანგაშო რაოდენობის მკვლელობების მოტივების ანალიზი მოექცა. „ლიბერალის“ ჟურნალისტები ცდილობენ შიშველი ფაქტების დემონსტრირებით ინსპირირება გაუკეთონ კითხვას - „პასუხისმგებლობის რა წილი მეკისრება მე?“... (ზ. ვარდიაშვილი, 2014).

ნომრის შეჯამებისა და კონკრეტული პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სუბიექტური დამოკიდებულების ნაზავია ზურაბ ვარდიაშვილის თითქმის ყველა სვეტი.

2014 წლის ოქტომბრის სვეტი, ენას ეძღვნება, „ენას, რომელშიც ვარსებობთ“. რედაქტორი სვეტს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის პროექტით იწყებს, რომელიც თვის საინფორმაციო საშუალებების თემად იქცა და რომელიც მთავრობამ იმ საბაბით დაიწუნა, რომ საგანგებო დეპარტამენტის დასაფინანსებელი მილიონი ლარის გამოყოფა არ ისურვა. „საკამათო არაა, რომ ხელისუფლებებს პრობლემების მოგვარება უფრო ქაღალდზე ურჩევნიათ, ვიდრე პრაქტიკაში. ისინი შეიტანენ ცვლილებებს კანონებში, შექმნიან უამრავ კომისიას, გამართავენ კონსულტაციებს და ა.შ. თუმცა, როდის მიიღებენ ხელშესახებ ეფექტს. ისმაილი, მე-12 კლასელი მარნეულელი მოსწავლე და მისი მეგობრები, როგორც წესი, დიდად არ ანაღვლებთ. ისმაილის და ზოგადად ეთნიკური უმცირესობების ენობრივ გასაჭირზე თათია ხალიანი და სოფო აფციაური მოგიყვებიან. ეს ნომერი ენას ეძღვნება, ენას, რომელშიც ვაზროვნებთ, შესაბამისად, ვარსებობთ... მთავარი თემის გარდა, წინამდებარე ნომრის ფურცლებზე სხვა, არაერთი სოციალ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული მოვლენის ანალიზს შეხვდებით...“ უმოკლეს სვეტში, სულ რამდენიმე აბზაცში ახერხებენ რედაქტორები მრავალგვერდიანი ნომრის მთავარი თემების ანონსირებას და ამასთან, საკუთარი შეხედულებების, დამოკიდებულებების გადმოცემას ამ მთავარი თემებისადმი.

2015 წლის ივნისის რედაქტორის სვეტში - „ნამდვილი ამბავი“ - ზურაბ ვარდიაშვილი იმ ამბავზე მოგვითხრობს, რომელიც 14 წლის ასაკში სკოლის ბიბლიოთეკიდან გამოსულს შეემთხვა: „შენ წიგნებს თავიდან ბოლომდე კითხულობ? - სრული სერიოზულობით მკითხა ერთ-ერთმა მასწავლებელმა... - აბა? - დავიბენი მე... - დასაწყისში ორი გვერდი, შუაში - სამი, ბოლოსკენ ისევ ორი და ეგაა, წიგნის შინაარსი დაახლოებით უკვე იცი... არ ხუმრობდა. გავიდა წლები. დღეს უკვე აღარ მაოცებს ამგვარ მკითხველთა არსებობის დამადასტურებელი ბევრი ნიშანი, ასე მჭიდროდ კონცენტრირებული ჩემს თვალსაწიერში. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ რთული ბავშვობა მქონდა. არა, ასე არ არის, სხვა მხრივ გამიმართლა და ჩემი მასწავლებლის კითხვის მანერა არ ამითვისებია. მაგრამ საკითხავია, რამდენს არ გაუმართლა? თანაც მხოლოდ სკოლაზე ხომ არ ვსაუბრობთ (თუმცა ის ყველაზე

მნიშვნელოვანია)? წიგნი - როგორც ბიზნესი და მისი კრახი საქართველოში, გამომცემლობების გასაჭირი, ბიბლიოთეკების სერვისი, და სხვა საკითხები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის საფუძველს რომ წიგნის მოყვარულებმა, მკითხველებმა და არა გადამკითხველებმა თავი ჯოჯოხეთში არ იგრძნონ - მიმდინარე ნომერი ძირითადად ამ თემას ეძღვნება...“ (ზ. ვარდიაშვილი, 2015).

2015 წლის თებერვლის რედაქტორის სვეტი - „ადამიანების და მგლების შესახებ“ - სიღარიბეს, იმ მუდმივ გასაჭირს ეძღვნება, რომელიც უამრავ ჩვენს მოქალაქეს თან სდევს, ახშობს მის პოტენციურ შესაძლებლობებს, უკარგავს შანსებს... „იმ ჟურნალის ერთი ეგზემპლარის შესაძენი ფულით, რომელიც ახლა თქვენ ხელში გიჭირავთ, საქართველოში ათასობით ადამიანს თითქმის სამი დღის განმავლობაში უწევს თავის გატანა. ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეში მხოლოდ ორ ლარს მოიხმარს. ეს ფული ადამიანმა საკვებისთვის, ტანსაცმლისთვის, მედიკამენტებისთვის, განათლებისა და უამრავი სხვა საჭიროებისთვის უნდა იმყოფინოს... ჩვენი მიზანი არ არის სევდიანი ისტორიებით თქვენთვის გულის აჩუყება... ჩვენ გვინდა ფაქტების კონსტანტაციით, პრობლემის ადრესატების მითითებით, ხაზგასმული აქცენტებით გავცეთ პასუხი შეკითხვას - „ვინ არის პასუხისმგებელი“?...“

საკმაოდ მწვავეა ზურაბ ვარდიაშვილის 2016 წლის დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი რედაქტორის სვეტი - „საახალწლოდ“: „გილოცავთ თოვლის პირველ ფანტელებს, რომელსაც მოაქვს სიცივე და გაყინულ ადამიანთა ცხედრები ქუჩებში, ვინაიდან სახელმწიფოს არ სურს დაინახოს ისინი... გისურვებთ ხვავს და ბარაქას საზეიმო სუფრებზე, რომელსაც უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი გაშლის 31 დეკემბრის ღამეს, რადგან პროდუქტებს ისეთი სისწრაფით ეკიდება ცეცხლის ფასი, როგორც ჩინურ მაშხალას... “

რედაქტორის სვეტი შეიძლება ორგვარი იყოს - პირველ შემთხვევაში იგი შესაძლოა ეხებოდეს მხოლოდ ჟურნალში მოცემულ კონკრეტულ სტატიათა მიმოხილვას - ამ შემთხვევაში რედაქტორის სვეტი მშრალი და მკითხველისთვის

უინტერესო რჩება. ხოლო მეორე შემთხვევაში კი, რედაქტორის სვეტში შესაძლოა მოცემული იყოს რედაქტორისავე შეხედულებები, პოზიცია და ის გზავნილი, რომლის მიტანაც მას მკითხველამდე სურს. ამ შემთხვევაში, რედაქტორის სვეტიც, თვისებრივად, დაახლოებით იმავე დატვირთვას ატარებს, რასაც საავტორო სვეტი. ჟურნალ „ცხელი შოკოლადი"-ს შემთხვევაში, რედაქტორის სვეტის სწორედ ამ უკანასკნელ ვარიანტს ვხვდებით.

„ცხელი შოკოლადი"-ს რედაქტორთა სვეტების ანალიზის დასაწყისშივე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ ჟურნალის რედაქტორები საკმაოდ ხშირი პერიოდულობით იცვლებოდნენ და ეს როტაციული სისტემა, სავარაუდოდ, სასიკეთოდ აისახებოდა ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობაზე, რაც მკითხველსაც არ აძლევდა მოწყენისა და მოდუნების საშუალებას.

ჟურნალ „ცხელი შოკოლადის" რედაქტორის სვეტები ისევე გამორჩეულია, როგორც თავად ჟურნალი. შორენა შავერდაშვილმა, რომელიც ჟურნალის დამფუძნებელი და რედაქტორი იყო, დაამკვიდრა რედაქტორის სვეტი ჯერ „ცხელ შოკოლადში", ხოლო შემდეგ უკვე ჟურნალ „ლიბერალში".

„ცხელი შოკოლადის" ფურცლებზე მისი დაარსებიდან გამოსვლის შეწყვეტამდე ყოველ ნომერში იბეჭდებოდა რედაქტორის მიმართვა მკითხველისადმი, თუმცა თავდაპირველად ეს იყო რედაქტორისგან და რედაქტორის წერილი. მხოლოდ 2012 წლიდან დაიწყეს ჟურნალის რედაქტორებმა რედაქტორის სვეტის წერა. შორენა შავერდაშვილის გარდა, ჟურნალში რედაქტორის სვეტს თამარ ბაბუაძე, ნინო ჯაფიაშვილი და მალხაზ ხარბედიაც წერდნენ.

„ცხელი შოკოლადი"-ს 2013 წლის თებერვლის ნომერში ვხვდებით რედაქტორ თამარ ბაბუაძის სვეტს, სათაურით „ხელის მცეცებელთა" თაობა, რომელშიც ავტორი საუბრობს 1980-იანი წლების დასაწყისში დაბადებულ ადამიანთა ბედზე თუ უიღბლობაზე, რომელმაც, გარკვეული თვალსაზრისით, მთელი ამ თაობის მიმართულება განსაზღვრა. ავტორი თვლის, რომ მახასიათებლები თაობისა, რომელსაც თავადაც მიეკუთვნება, განპირობებული გახდა იმ პერიოდში მსოფლიოსა

თუ საქართველოში მიმდინარე საომარი, რევოლუციური და ტრაგიკული მოვლენებით, რამაც ამ თაობის ადამიანთაგან მრავალს წარუშლელი ხინჯი დაუტოვა: „თაობა განისაზღვრება იმით, თუ რომელ წელს ვაღწევთ სრულწლოვანების ასაკს. გამოდის, ჩემი თაობა 90-იანების შუახნიდან „იწყება“, ანუ უფლება მაქვს, საკუთარ თავს 2000-იანიც დავარქვა. ვიყო 2000-იანი, შანსია, ჩემი შეშლილი მოზარდობის მიუხედავად, ახალი საუკუნის ენერგეტიკა მაინც ხარბად ვისუნთქო. დავრჩე 90-იანელად - ნიშნავს ჩავიკარგო იქაურობაში. მაგრამ იმისთვის, რომ ამ წლებს გადავაბიჯო, მგონი, ჯერ ერთი ერთზე უნდა დავრჩე მათთან, აღვადგინო და მხოლოდ მერე გადავაბიჯო, მოჩვენებებისგან თავისუფალმა“ (თ. ბაბუაძე, 2013).

„ცხელი შოკოლადის“ 2013 წლის მარტის ნომერში რედაქტორი თამარ ბაბუაძე სვეტში სათაურით - „ქართული კინო პოპკორნის გარეშე“ - საუბრობს ქართული კინოს ფსევდოაღმავლობაზე, რომელიც მას, თავის მხრივ, ქართული კინოს აღორძინების დასაწყისად მიაჩნია. მართალია, რომ გემოვნებაზე არ დაობენ; და მართალია ისიც, რომ ავტორი გარკვეულ პოზიტიურ ძვრებს ხედავს ქართულ კინოინდუსტრიაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში, ფაქტობრივად, უძრავ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ თამარ ბაბუაძე მაინც გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს იმ ორიოდე, საუკეთესო შემთხვევაში - საშუალო დონის კინოფილმს, რომლებიც ქართველმა რეჟისორებმა გადაიღეს და საერთაშორისო არენაზეც წარადგინეს. ავტორს საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ინგლისური გამოცემებიდან ციტატა მოჰყავს, თუმცა წყაროს მითითების გარეშე: „საქართველოს რეპუტაცია, რომ ის ახალბედა კინოტალანტების საბადოა, კიდევ უფრო გაამყარა ფილმმა “Iნ ლოომ” ეს ფილმი ამძაფრებს შეხედულებას, რომ საქართველო, შესაძლოა, იყოს კიდევ ერთი ექსსაბჭოთა რესპუბლიკა ახალი კინოტალღით“ (თ. ბაბუაძე, 2013).

საინტერესოა მალხაზ ხარბედიას რედაქტორის სვეტი „ცხელი შოკოლადის“ 2013 წლის მაისის ნომერში. აღნიშნულ სვეტში, სათაურით „სიცილის უფლება“,

ავტორი პირველად მიმართავს მკითხველს, როგორც ამ ჟურნალის რედაქტორი და საკუთარ ხედვას სთავაზობს მას.

ხარბედიას სტილი მკვეთრად სახასიათოა, ხოლო ხელწერა - ეფექტურად წარმოაჩენს თემის აქტუალობას. როდესაც აღნიშნულ სვეტში ავტორი საუბრობს დღევანდელ საქართველოში არსებულ უფლებებსა თუ უუფლებობაზე, იგი იშველიებს ცნობილი ამერიკელი რომანისტის, რალფ ელისონის სიტყვებს, რომლებიც მან ფერადკანიანთა უფლებებისთვის ბრძოლის კამპანიასთან დაკავშირებით წარმოთქვა 1950-იან წლებში. როდესაც მას ჰკითხეს, თუ რატომ გამოაქვეყნა ამავე პერიოდში რომანი, რომელშიც ოჯახში მომხდარი ინცესტი აღწერა, განაცხადა: „მე სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის მექანიზმის ჭანჭიკი არა ვარო“. ეს ციტირება მალხაზ ხარბედიას ეხმარება, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ყოველ ინდივიდს აქვს უფლება, იყოს თავისუფალი და საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ არ მიიღოს არავითარი პოლიტიკური, ფსევდო-რელიგიური შეხედულებები.

ავტორის სტილი და პოზიცია კარგად ჩანს შემდეგ სტრიქონებშიც, სადაც იგი ზემოთ მოყვანილი ციტატის ქართულ რეალობაზე მორგებულ ინტერპრეტაციას სთავაზობს მკითხველს: „ეს ისტორია ძალიან აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, სადაც პატრიოტული ვნებები დუღან და გადმოდუღან, სადაც მთავარი მტერი რუსეთი გვყავს, უფრო მაგარი მტერი კი, როგორც წესი, განსხვავებული აზრის ადამიანები არიან. აქტუალურია ქვეყნისთვის, სადაც ძალიან ბევრი იბრძვის საკუთარი პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის გასავარჯიშებლად, ვიღაცეებს უბრალოდ სძულთ, ვიღაცა ზევით მიცოცავს და ყველა ხერხს მიმართავს ამისათვის, არიან გულმხურვალე იდეალისტებიც და სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდებიც“ (მ. ხარბედია, 2013).

2013 წლის ივნისის რედაქტორის სვეტში სათაურით - „მომავლის განათლება“ მალხაზ ხარბედია საუბრობს ტერმინის - „განათლება“- არაადეკვატურ გააზრებაზე ქართულ რეალობაში. ავტორი საუბრობს საქართველოში განათლების

დაკნინების პრობლემაზე: „დღეს ხშირად მხოლოდ წარმატებისთვის, სტატუსის ამაღლებისა და შემსრულებელთა რიგების შესავსებად იყენებენ განათლებას, არსებობისათვის, და არა სიცოცხლისთვის, ფლობისათვის, და არა სინათლის გასავრცობად, გასაყოფად და არა შესაკავშირებლად“. სვეტის ბოლოს, ავტორი მკითხველს პრინციპულობისკენ, საყვარელი საქმის უანგაროდ კეთებისკენ და უცხოეთში გაქცევისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს, რითაც მკვეთრად გამოხატავს საკუთარ სუბიექტურ პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით.

რედაქტორის სვეტი ქმნის იმ ნომრის განწყობას, ამბობს რა იყო, რაზე ფიქრობდა, რაზე მუშაობდა მთელი რედაქცია მთელი თვე, მთელი კვირა, რა კრავს ამ გაფანტულ მასალებს. რედაქტორის სვეტი ქმნის განწყობას და გარდა ამისა, ეხმიანება გარემოს და იმ თემებს, რაც აღელვებს იმ პერიოდში საზოგადოებას. რედაქტორის სვეტს ერთმანეთთან რეზონანსში მოჰყავს ჟურნალის მთელი კონტენტი, აკავშირებს ამ მასალებს ერთმანეთთან და, გარდა ამისა, იმასთან, რაც ხდება გარშემო და, ასევე, აკეთებს აქცენტებს - ამ ასოცი გვერდიდან რა არის ლიდერი, რა არის საკვანძო საკითხი, რაზეც დგას ჟურნალი, რამე უნიკალური თუა - ან ავტორი, ან მასალა, ან თემა.

რედაქტორის სვეტი მოკლე, სხარტი უნდა იყოს, სწრაფად და იოლად იკითხებოდეს, ფილოსოფიური განზომილება აბსტრაქტული არ უნდა იყოს. რაღაც კონკრეტული, მესვეტის გამოცდილება უნდა ჩანდეს, რაღაც ძალიან ცხელს და მიმდინარეს უნდა ეხებოდეს. როცა ნომრიდან ნომრამდე შუალედი ერთი თვე, ან ერთი კვირაა, გამოწვევა არის როგორ დარჩე აქტუალური, დროის შესაბამისი. რედაქტორის სვეტი იოლი დასაწერი არ არის, მაშინ როდესაც ჟურნალის გამოსვლის დროს ყველაფერი უკვე ჩავლილია, მითუმეტეს დღეს, როდესაც ყველაფერი ძალიან დაჩქარებულია და ელექტრონული მედიის საშუალებით ინფორმაცია უსწრაფესად ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია რომ რედაქტორის სვეტი იყოს ორიგინალური. შეიძლება რაღაც

გაცვეთილ თემაზე წერდე, მაგრამ ისეთი ორიგინალური შეიძლება იყოს ეს ხედვა ან მიდგომა, ან საკითხი რომ მაინც საინტერესო წასაკითხი იყოს.

მკითხველს ცნობილი ავტორები მოსწონს და ეს წონას მატებს სვეტებს, ფაქტობრივად, მკითხველი ელოდება ხოლმე ესა თუ ის მესვეტე, ამა თუ იმ თემაზე, კონკრეტულად რას იტყვის, მაგრამ ამავე დროს ჟურნალისთვის გამოწვევაა ისიც, რომ ყოველ ჯერზე ახალი ავტორი იპოვოს. ახალი ავტორებიც საინტერესოა და ნებისმიერ რედაქციას აქვს სურვილი პერიოდულად რაღაც ახალი შესთავაზოს მკითხველს.

ნინო ჯაფიაშვილის რედაქტორის სვეტები არის მოკლე, სხარტი, იოლად წასაკითხი, კავშირშია მიმდინარე მოვლენებთან, ნომრის კონტენტთან. იგი ორიგინალურად აზროვნებს და ფლობს არგუმენტირებული ესეს წერის უნარებს, რაც მისი სვეტების დამაჯერებლობის გარანტიაა.

2012 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ რედაქტორის სვეტში, სათაურით “ აბყ ნივერსე”, ნინო ჯაფიაშვილი მიმოიხილავს ნომერს, ერთმანეთს ადარებს საკუთარი 5 წლის შვილისა და ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის შემოქმედებით პროცესებს: „ყოველ ჯერზე გაოცებული ვაკვირდები, როგორ იწყებს ჩემი ხუთი წლის შვილი, სპონტანურად, ხელში მოხვედრილი შემთხვევითი ნივთებისგან სამყაროების შექმნას... ეს პატარა „დემიურგი“ ისეთი გატაცებით აკეთებს ხოლმე ამ ყველაფერს, იმ მომენტში სრულიად მიუწვდომელი ხდება გარე სამყაროსთვის... მთელი იანვარი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს „ცხელი შოკოლადის“ ავტორებიც ამ თამაშში ვიყავით ჩართული. ისევე, როგორც ბავშვობაში, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თვალი მოვწყვიტეთ, ცაში ავიხედეთ და ხელახლა გავიზიარეთ „რა საოცრებაა, როდესაც სამყარო - მთელი ეს უსასრულობა და წარსული ჩვენს ცნობიერებაში აირეკლება... „გია დვალი პირველ მიახლოებაში“, „ჯონ და ჰოლი ბასები - მოგზაურები საქართველოში“, „ალექსანდრ მაკქუინი - სილამაზის ბნელი მხარე“, კახა თოლორდავას ინტერვიუ ჩარლზ ლოიდთან - „ცხელი შოკოლადის“ ყველა ეს ისტორია, სხვადასხვა შეჯახებების შედეგად

შექმნილ უნიკალურ რეალობებს აღწერს, რომელთა გააზრებაც საკუთარი თავის უფრო შეცნობის საშუალებას გვაძლევს...“ (ნ. ჯაფიაშვილი, 2012).

ალეკო ცქიტიშვილმა ჯერ გაზეთ „ახალი ვერსიის“, შემდეგ გაზეთ „ვერსიის“ ფურცლებზე რედაქტორის ასამდე სვეტი გამოაქვეყნა. მისი სვეტები განსხვავდება ჟურნალ „ლიბერალისა“ და „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორის სვეტებისგან. ალეკო ცქიტიშვილი არ მიმართავს ნომრის შინაარსის პრეზენტირებას. მის სვეტებს რედაქტორის სვეტი აწერია, მაგრამ მოსაზრების სვეტი უფროა, რადგან მათში რედაქტორი წერს მკითხველისთვის აქტუალურ, პრობლემურ საკითხებზე და თან კვირის მთავარ თემებსაც აჯამებს.

რედაქტორის სვეტში აშკარად იგრძნობა ავტორის სუბიექტური განწყობები პოლიტიკური ძალის, პოლიტიკური ლიდერის, ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ. 2001 წლის 17-24 სექტემბრის „ახალი ვერსიის“ მეათე ნომერში გამოქვეყნებულ რედაქტორის სვეტში - „კატაკლიზმა შევარდნაძისთვის“, ალეკო ცქიტიშვილი საერთოდ არ ცდილობს შეფარვით გამოხატოს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების მიმართ. წერს იმ კატაკლიზმებზე, რაც საქართველოში ხდება და რაც შევარდნაძესა და მის ხელისუფლებას გამუდმებით უნდა აწუხებდეს... „მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ძვირფასო მკითხველო. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც კორუფციაში წევს, თავი კორუფციაზე უდევს (თავშიც კორუფცია აქვს) და საბნადაც კორუფცია ახურავს...“. მესვეტე აცნობს მკითხველს პოლიტოლოგ ზურაბ ჭიაბერაშვილის წინასწარმეტყველებას, რომ ამიერიდან აშშ-ის ხელისუფლება შევარდნაძეს აღარ აპატიებს საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევებსა და თარგამაძისეულ ფსევდოსტაბილურობას, რომელიც კორუფციაზეა დაფუძნებული. რედაქტორის აზრით, შევარდნაძის ხელისუფლებას ვერაფერი უშველის, თუმცა ვერც იმას ეტყვის ნაცნობს - ავთო ძიძიგურს, ეშველება თუ არა რამე საქართველოს. „საქმე ისე მიდის, რომ, თუ საქართველოს რაიმე დაემუქრა, მხოლოდ შევარდნაძე და მისი

ნათესავები გადარჩებიან. ამაში მათ „სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ კანონიც დაეხმარებათ...“ (ა. ცქიტიშვილი, 2001).

„ახალი ვერსიის“ 2003 წლის 3-9 მარტის რედაქტორის სვეტში - „საიდან ჩნდება უარყოფითი ინფორმაცია“ - ავტორი განიხილავს პრობლემას, რომელიც მუდმივად დგას ჟურნალისტთა წინაშე - როდესაც საზოგადოება მათ მუდმივად უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ალეკო ცქიტიშვილი აღნიშნავს, რომ უარყოფითი ინფორმაცია ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მომდინარეობს ნეგატიური მოვლენების უმთავრესი კატალიზატორიდან - ხელისუფლებიდან. სწორედ ხელისუფლების სათავეში არსებული, „ქურდული“ მენტალობის ადამიანები განაპირობებენ იმას, რომ სახელმწიფო არ ზრუნავს არც უნარშეზღუდულ ბავშვებსა და მათ მშობლებზე, არც სამარცხვინო ხელფასების გაზრდაზე - პირიქით, იგი იგნორირებას უკეთებს ყველა პრობლემას, რაც იწვევს ნეგატიური ინფორმაციის კასკადის გარდაუვალობას ქვეყანაში. ავტორის პოზიცია კარგადაა გამოხატული ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტში: „კიდევ რა არის დადებითი ინფორმაცია დღევანდელ ნომერში. პირველი ივლისიდან შეიძლება ხელფასები გაიზარდოს. ეს საკითხი მძიმე პოლიტიკურ ბატალიებში გადაწყდა. ხელისუფლებას არ უნდა, ოპოზიციამ ქულები დაიწეროს და პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პირიქით, ხალხისთვის საზიანოდ აცხადებს. ორშაბათს, როცა „ახალი ვერსიის“ ეს ნომერი გამოვა, პრეზიდენტმა შეიძლება „ვეტოს“ უფლება გამოიყენოს და ხალხს ისევ არაფრისთვის სამყოფი ხელფასები შეუნარჩუნოს. ვინა თქვა, კარგი დიასახლისი 7 ლარადაც შეინახავს ოჯახსო?! ვინც თქვა, კიდევ გაიმეორებს და პრეზიდენტიც მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ ეს ასე მოხდა, სამწუხაროდ, მომავალ ნომერში უარყოფითი ინფორმაციის გამოქვეყნება მოგვიწევს. აი, სადაა უარყოფითი ინფორმაციის სათავე“ (ა. ცქიტიშვილი, 2003).

2004 წლის 15 მარტის ნომერში ალეკო ცქიტიშვილის რედაქტორის სვეტი, „სინანულის დრო“, მკითხველს იმჟამად არსებული მახინჯი რელიგიური იდეოლოგიის პრობლემაზე ესაუბრება. ავტორი ლოგიკურ ჯაჭვს აბამს იმ

ემპირიულ ფაქტებს შორის, რომელთაც იმხნად ცნობილ აქტივისტთან, ბასილ მკალავიშვილთან აქვს კავშირი. ავტორი მკალავიშვილის საკითხის გაშუქების ჟურნალისტურ პრობლემებზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ მისგან კულტის შექმნას სწორედ მასმედიის გარვეული სეგმენტი უწყობს ხელს. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მხრივ „ცოტაოდენი პროგრესი იგრძნობა და ეს, რათქმაუნდა, მისასალმებელია. მაგალითად, გაზეთი „ალია“ აღარაფერს წერს „მამა ბასილის“ სიზმრებზე, რომელთა დახმარებითაც თავის დროზე თბილისის მიწისძვრაც კი უწინასწარმეტყველია. დიდი პროგრესია, რომ ამ გაზეთის სათაურებში მკალავიშვილს „მამად“ აღარ მოიხსენიებენ, თუმცა, ჟურნალისტი მარიტა დამენია თავის სტატიაში მაინც აღნიშნავს: „მკალავიშვილის სახსრებით აგებული ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის ჩაკეტილი კარები „ურალის“ მანქანით შეამტვრიეს და ეპარქიის წინამძღვარი - მამა ბასილი და მოძღვარი მამა გაბრიელი ცემით გამოათრიეს და მანქანით წაიყვანეს“ (ა. ცქიტიშვილი, 2004).

ალეკო ცქიტიშვილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მარიტა დამენიას სტატიაში მოყვანილი ფაქტები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს და ამით ჟურნალისტი „უვიც“ და „პატრიოტ“ მკითხველს აბნევს, რადგანაც ბასილ მკალავიშვილი უკვე 2004 წლისთვის დიდი ხნის განკვეთილი იყო ეკლესიიდან საქართველოს საპატრიარქოს მიერ. მართალია, ამ სვეტში ავტორი აშკარად არ გამოხატავს კრიტიკულ დამოკიდებულებას მკალავლიშვილის ქმედებებისა და მისი ფანატიკოსი მიმდევრების მიმართ, მაგრამ მკითხველი გრძნობს ამ განწყობას, რომელიც გამჭვირვალე ქვეტექსტებით მჟღავნდება.

„ახალი ვერსიის“ 2004 წლის 1 მარტის ნომერში, რედაქტორის სვეტით, „როგორ მოვარჩინოთ ავადმყოფი ქვეყანა“ - ალეკო ცქიტიშვილი ეხება სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს და მკითხველს კორუფციაზე ესაუბრება. მსგავსად სხვა სვეტებისა, ეს სვეტიც გამოირჩევა პრობლემებათა სიღრმისეული გააზრებით. ავტორი საუბრობს იმაზე, რომ ე.წ. და ესოდენ ნანატრი „რკინის ხელი“, რომელშიც იგი ნაციონალური მოძრაობის მთავრობას მოიაზრებს, არასწორი მიმართულებით

ახდენს ბიზნესის რეპრესიებს, ეს, მისი აზრით, ქვეყანაში არსებულ კორუფციის პრობლემას ვერ გამოასწორებს. მოკლედ თუ შევაჯამებთ, იმის გამო, რომ საქართველოში სუფთა ბიზნესი პრაქტიკულად არ არსებობს, ყველა ბიზნესმენის დაპატიმრებაა საჭირო, რასაც მთელს საქართველოში არსებული ციხეები არ ეყოფა. ავტორი კორუფციის პრობლემას უფრო ფართო ჭრილშიც განიხილავს.

ავტორის სუბიექტური „მე“, ალბათ, ყველაზე მკაფიოდ ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ვლინდება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით: „წარმოუდგენელია, რა თქმა უნდა, მაგრამ, აი, ნიღბიანები ბიზნესმენების შემდეგ ექიმებს მიადგნენ. ცხადია, სახელმწიფო საავადმყოფოებში მომუშავე ექიმები, ოფიციალურად დანიშნული ხელფასის გარდა, პაციენტებისგან გასამრჯელოს (ან ქრთამს) მოითხოვენ. ეს ხომ ყველამ იცის, მაგრამ ვისი ბრალია ეს? რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ბრალია და არა ექიმის. ამიტომ თუ დაჭერაზე მიდგა საქმე, უნდა დავიჭიროთ ის კანონმდებელი თუ ჩინოვნიკი, ვინც ბოლო წლებში ეს დანაშაულებრივი სისტემა შექმნა და რომელთა დიდი ნაწილი დღესაც პარლამენტში თუ მთავრობაშია.“ ავტორი აღნიშნავს, რომ თუ ეს ასე არ მოხდება, დაპატიმრებები შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რაც მართლაც სწორი პროგნოზი გამოდგა, იმის გათვალისწინებით, რომ 2004 წლიდან მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ამა თუ იმ პროფესიის ადამიანთა ქრთამის აღების ფაქტზე მასობრივი დაპატიმრება.

2007 წლის ივნისიდან გაზეთ „ახალი ვერსიის“ ნაცვლად, გამოსვლას იწყებს გაზეთი „ვერსია“, რომელიც დღემდე გამოიცემა. ალეკო ცქიტიშვილის რედაქტორის სვეტი „ვერსიაშიც“ ინაცვლებს და 2014 წლამდე იბეჭდება.

V.2. საავტორო სვეტების სტილისტიკა და პრობლემატიკა

ძალზე საინტერესოა საავტორო სვეტები, რომელთა ავტორები არა მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტები, არამედ სხვადასხვა სფეროს ცნობილი წარმომადგენლები - მწერლები, მუსიკისმცოდნეები, ხელოვნებისა და სპორტის ექსპერტები არიან. ეს საავტორო სვეტები ჟურნალ-გაზეთების შინაარსსაც ამრავალფეროვნებენ და მათ რეიტინგულ სკალასაც მაღლა სწევენ.

სვეტი, უპირველეს ყოვლისა, ავტორის პოზიციას გადმოგვცემს კონკრეტულ მოვლენასთან, საკითხთან, თემასთან მიმართებით. მოიცავს პრობლემის ავტორისეულ, სუბიექტურ ხედვას და არა მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას. მესვეტეთა უმთავრესი მიზანი არის არა მხოლოდ აუდიტორიის ინფორმირება, არამედ მკითხველის დაინტერესება და ორიგინალური ხელწერით მათი ყურადღების მიპყრობა აქტუალურ პრობლემებზე.

საავტორო სვეტებისთვის დამახასიათებელია ლაკონურობა, კომპაქტური მოცულობა, მასალის გადმოცემის ემოციურად დატვირთული სტილი და მოვლენათა მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფასებები. საავტორო სვეტში უმთავრესი ავტორის პოზიციაა, სიტუაციისა თუ პრობლემის მისეული ხედვა.

საავტორო სვეტი ერთი და იგივე, მუდმივი ავტორის მიერ იქმნება, გარკვეული რეგულარობით ქვეყნდება ერთსა და იმავე გამოცემაში და წინასწარ განსაზღვრულ, უცვლელ ადგილას იბეჭდება.

სვეტების ავტორები, რომლებიც გლობალურ საკითხებსა და მოვლენებზე წერენ, საკუთარ კომენტარებში, გარკვეულწილად, ამ მოვლენათა ლოკალიზებას ახდენენ, რაც ხელს უწყობს მკითხველს, უფრო მარტივად გაიაზროს ეს მოვლენები.

კვლევისთვის შერჩეული მესვეტეების უმრავლესობა სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე წერს, ასევე მრავლად გვხვდება სპორტული სვეტები, შედარებით ნაკლებია სვეტები განათლებაზე, ეკონომიკაზე, მეცნიერებაზე (იხ. გრაფიკი 12).

გაზეთ „კვირის პალიტრის“ საავტორო სვეტები პრობლემურ თემათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს - იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური,

კულტურული და ეკონომიკური საკითხები, თუ კონკრეტულ დროში არსებული, საზოგადოებისათვის ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი თემები.

ცნობილი ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი 2009 წლის დასაწყისში, პროტესტის ნიშნად წამოვიდა საზოგადოებრივი მაუწყებლიდან და გაზეთ „კვირის პალიტრაში“ განაგრძო საქმიანობა. აქ დაიწყო სვეტების წერა. ყოველთვის ემხრობოდა აზრს, რომ სვეტი საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. გაზეთის მუდმივი რუბრიკა „კვირის ფიქრები“, რომლის ქუდქვეშაც იყო განთავსებული სვეტები, ისეთ თემებს სთავაზობდა მკითხველს, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო კვირის განმავლობაში. მ. მეტრეველი, ძირითადად, პოლიტიკურ თემებზე წერდა, თუმცა კონკრეტული ერთი მიმართულებით არც თავს იზღუდავდა და არც რედაქტორი ზღუდავდა: „მთავარია, საინტერესოდ წერდე, გქონდეს საინტერესო აზრები, მკითხველს უნდა აინტერესებდეს შენი ნააზრევის, შეფასების კითხვა. ბევრისგან მსმენია, გაზეთის კითხვას შენი სვეტით ვიწყებდიო. ეს კი ნიშნავს, რომ მცდელობამ გაამართლა.“

მეტრეველის „კვირის ფიქრების“ ხელწერა, რომელიც კვირის აქტუალურ სოციო-პოლიტიკურ მოვლენათა შეჯამებას წარმოადგენდა, გადმოცემის ლაკონურობითა და გამომსახველობითი ხერხების ეფექტურობით ხასიათდება. ამასთან, ავტორი საკუთარ სვეტში არა მეორეხარისხოვან პრობლემებსა და თემებს, არამედ - დროის მიმდინარე მონაკვეთში არსებულ ყველაზე მწვავე და აქტუალურ საკითხებს განიხილავდა.

ამ მხრივ, საინტერესოა სვეტი სათაურით - „პრეზიდენტობის ციებ-ცხელება“, რომელიც 2013 წლის 19 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა. აქ იგრძნობა ავტორის მკვეთრი ინდივიდუალურობა და პირდაპირობა. სვეტის ქვემოთ წარმოდგენილ მონაკვეთში ავტორი იყენებს არა მხატვრულ ან ემპირიულ შედარებებს, არამედ - რეალობის უხეშ აღწერას, რისი მეშვეობითაც აღწევს კიდეც მიზანს, რაც მკითხველისათვის შიშველი სიმართლის ჩვენებაში მდგომარეობს: „თუ ამერიკაში ხალხს ოქროს მოპოვება ეგონა გამდიდრების ყველაზე მარტივი საშუალება, აქ ასეთ

საშუალებად, ეტყობა, პრეზიდენტობა მიაჩნიათ. ან არადა, ერთობიან უბრალოდ. აქაოდა, პრეზიდენტს კონსტიტუციით ბევრი არაფერი საქმე ექნებაო, ყველას მოუნდა. არა, ადრეც კი უნდოდათ, მაგრამ ამდენს - არა. ახლა კი... ვის არ ნახავთ კანდიდატთა შორის: პოლიტიკოსებს, მომღერალს და მრავალშვილიან დედასაც კი...“ (მ. მეტრეველი, 2013). უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ირონიის მოშველიებით ცდილობს დაეხმაროს მკითხველს პრობლემის არსში გასარკვევად და იმის გასაცნობიერებლად, რომ პრეზიდენტობა არ წარმოადგენს გამდიდრების გზას, ამ გზის გავლა ყველას არ შეუძლია და რომ უმჯობესია, ყველამ საკუთარი საქმე აკეთოს.

2015 წლის 9 მარტის ნომერში დაბეჭდილ საავტორო სვეტში მერაბ მეტრეველი მკითხველს სთავაზობს მთავრობის მიერ გაცხადებული „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის კრიტიკულ ანალიზს. მიუთითებს ხელისუფლების უუნარობაზე, უთანაგრძნოს და ყოფა შეუმსუბუქოს საკუთარ მოსახლეობას. ჟურნალისტი მკითხველს კონკრეტული ფაქტებით ესაუბრება, მოიხმობს ციფრებს, რაც სარწმუნოობის ეფექტს ზრდის და პრობლემის სიმწვავეს უსვამს ხაზს. დასძენს, რომ როდესაც მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაშია, მთავრობა ვალდებულია, სოლიდარობის ნიშნად, სულ ცოტა, საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მაინც არ იზრუნოს.

ზემოთ დამოწმებული რამდენიმე ფრაგმენტითაც ნათელი ხდება, რომ ავტორი ღიად აცხადებს თავის კრიტიკულ, მწვავე პოზიციას საჭირბოროტო მოვლენებთან დაკავშირებით, რითაც იგი მკითხველის ნდობის მაღალ ხარისხსაც ადვილად მოიპოვებს და ამასთან, საკუთარ სუბიექტურ ხედვასა და ობიექტურ რეალობას ოსტატურად უთავსებს ერთმანეთს, რაც მხოლოდ პროფესიონალ ჟურნალისტთათვის არის დამახასიათებელი.

აქტუალური თემატიკის შემცველია აგრეთვე მ. მეტრეველის შემდეგი საავტორო სვეტები - „შიშების ქვეყანა“, „ტრადიცია უნდა გაგრძელდეს“, „ვისი წერილი ვის ფოსტაშია“, „რისთვის იცლის პრემიერი“ და სხვა, რომლებშიც ავტორი

ინდივიდუალურ ხელწერას ეფექტურად იყენებს საკუთარი კრიტიკული თვალსაზრისის მკითხველამდე მისატანად.

გაზეთის 2013 წლის 26 აგვისტოს საავტორო სვეტში, სათაურით „ქარვასლა“, ავტორი ივანიშვილის „მეცხრე არხის“ არასტაბილურობასა და პრობლემატიკაზე საუბრობს და აღნიშნავს რომ ეს არხი ივანიშვილისთვის მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დამხმარე საშუალებას წარმოადგენს და იგი არც დაქირავებულ ჟურნალისტთათვის და არც საზოგადოებისათვის - საიმედი საყრდენს არ წარმოადგენს. ეფექტურად გადმოსცემს საკუთარ პოზიციას ავტორი სვეტის საწყის აბზაცში: „გახსენი, დახურე... გახსენი, დახურე... რა, ქარვასლაა?! ასეთი იყო ჩემი პირველი ემოცია, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ივანიშვილი „მე-9 არხს“ მეორედ დახურავს, თუ მყიდველი არ გამოუჩნდა. პირველად ეს 2004 წელს მოხდა, როდესაც პირველ აპრილს სამსახურში მისულ თანამშრომლებს კარზე დახვდათ გაკრული განცხადება ტელევიზიის დახურვის შესახებ“.... შემდეგ ავტორი განაგრძობს, რომ ჟურნალისტებს რომ წინასწარ სცოდნოდათ არხის დახურვის გეგმის შესახებ 2013 წელს, არც ერთი მათგანი არ მივიდოდა იქ სამუშაოდ. აღნიშნულ სვეტში, ავტორი გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებას, რომ ივანიშვილის მიერ ამ არხის გახსნა-დახურვის ცერემონიალები სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო კამპანიის ხელისშემწყობი ნაბიჯები, რაც, ავტორის აზრით, სრულიად მიუღებელია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული ტელევიზია ბიძინა ივანიშვილის მფლობელობაში. საყურადღებოა, რომ ამ სვეტში მერაბ მეტრეველი საკუთარი, როგორც ჟურნალისტის, ინდივიდუალობას მკვეთრად წარმოაჩენს მკითხველის წინაშე, რითიც იპყრობს კიდეც მის ყურადღებას.

2013 წლის 16 დეკემბრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა მერაბ მეტრეველის სვეტი სათაურით „ტრადიცია უნდა გაგრძელდეს“. ავტორი ზუსტად აღწერს საქართველოს პარლამენტში მიმდინარე შეტაკებათა კასკადს, რომლებიც, ჩვენდა საუბედუროდ, ფიზიკური დაპირისპირების ხასიათს ატარებს. ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ ქართული პარლამენტისათვის ჩხუბი და

ორთაბრძოლები ჩვეული და ტრადიციული მოვლენაა: „ჩვენ ხომ ტრადიციების მოყვარული ხალხი ვართ. „ოცნების“ რიგებში ტრადიციის პატივისმცემელი და კუნთმაგარი იმდენი დეპუტატია, რომ მიკვირდა, აქამდე რომ არ მივიდა საქმე გაწევ-გამოწევამდე. და აჰა, ეს მომენტიც დადგა! მსახიობი და მკლავჭიდელი სოსო ჯაჭვლიანი, ჯერ სიტყვით შეეჭიდა შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ევროინტეგრაციის ყოფილ მინისტრ გია ბარამიძეს, შემდეგ კი წიხლით, თუმცა წიხლამდე იყო უკვე ლეგენდად ქცეული სიტყვები: „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო!...“

კვირის პალიტრის 2014 წლის 22 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ საავტორო სვეტში, სათაურით „ვისი წერილი ვის ფოსტაშია“, მერაბ მეტრეველი ირიბად მიანიშნებს იმ გაურკვევლობებსა და არეულობაზე, რომელიც ახალი კანონმდებლობის შემოღების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტს დაუკავშირდა. აღნიშნულ სვეტში ავტორი ლაკონურად და მარტივი ფაქტების დემონსტრირებით საუბრობს იმაზე, რომ მარგველაშვილის კანდიდატურამ, რომელიც ყველას მარტივად სამართავი ეგონა, არ გაამართლა ხელისუფლების იმედები. ავტორი ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ თავი მეტად აღარ შეირცხვინონ მარგველაშვილთან ღია დაპირისპირებით.

კარიკატურული ხასიათისაა 2014 წლის 18 აგვისტოს ნომერში მერაბ მეტრეველის საავტორო სვეტი - „ბატონი, მეფე სულთანი, ჰაშინშაჰი“, რომელშიც ავტორი მიხეილ სააკაშვილის კორუმპირებულობაზე, ამორალურობასა და ტყუილზე აკეთებს აქცენტს. ავტორი საკუთარ მოსაზრებათა დასაბუთებისათვის იყენებს ემპირიულ მიდგომას, მოჰყავს რა არაადეკვატური ქმედებების კონკრეტული ფაქტები სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდიდან, რითიც განამტკიცებს საკუთარ პოზიციას. აღნიშნული სვეტი იმ დროს დაიწერა, როდესაც პროკურატურამ სააკაშვილს მთელი რიგი ბრალდებები წაუყენა. ავტორის ურყევი პოზიცია კარგად ჩანს შემდეგ სტრიქონებში: „ორი დღე იფიქრა მიშამ და ბოლოს მოიფიქრა, რომ პროკურატურის ბოლო ბრალდებაზე საუკეთესო პასუხი გაუგონარი დემაგოგია და თვალში ნაცრის შეყრა იქნებოდა. ნაცარი, იცოცხლე, მიშას ბევრი აქვს, სულ თან

დააქვს. ჰოდა, ხუთშაბათს საღამოს გვაყარა და გვაყარა ეკრანიდან. რისი „გაპრავებაც“ დემაგოგიითა და ტყუილებით შეიძლებოდა, „აპრავა“. რასაც ესეც ვერ უშველიდა, იმაზე განაცხადა, არ მომხდარა, ივანიშვილმა მოიგონა და საკუთარი ხელით ჩაასწორა პროკურატურის ბრალდებაშიო...“.

2015 წლის 27 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ საავტორო სვეტში, სათაურით „ვისწავლით ჭკუას?!“ - მერაბ მეტრეველი საუბრობს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის პრობლემებზე, უფრო ზუსტად - ამ სიის სრულ შეუსაბამობაზე სახელმწიფო პარლამენტის წევრობასთან. ამ აქტუალურ თემაზე საუბრისას, ავტორი იყენებს ირონიას, რათა რეალობა უფრო თვალსაჩინოდ დაანახოს მკითხველს: „უკვე უცხოურმა საინფორმაციო საშუალებებმაც გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქართველ პარლამენტარს EBRD-ი ბორდელში აერია. როგორ ფიქრობთ, ახლა ეს სასაცილოა?! და განა ეს იყო ყველაზე სამარცხვინო ჯაჭვლიანის გამოსვლაში?! გაცილებით დიდი პრობლემა მისი გამოსვლის პირველი ნაწილი იყო. პარლამენტის ტრიბუნიდან იმის ჩამოთვლა დაიწყო, სად რამდენ ქალთან „მუშაობდა“. თან ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა პარლამენტარები სამარცხვინოდ იქცევიან.” ავტორი სუბიექტურ ხედვას და ობიექტურ რეალობას კარგად უთავსებს ერთმანეთს, რაც კარგი მესვეტისთვის არის დამახასიათებელი.

გაზეთ კვირის პალიტრის მეორე მესვეტის - ხათუნა ლაგაზიძის სვეტები - „პოლიტიკური მიკროსკოპი“ - მერაბ მეტრეველის „კვირის ფიქრების“ პარალელურად იბეჭდებოდა.

გაზეთში სვეტს ის ადამიანები წერენ, ვინც მეტ-ნაკლებად შედგნენ თავიანთ პროფესიაში. სვეტის წერას არ იწყებს და ვერ იწყებს დამწყები ჟურნალისტი. გაზეთისთვის სვეტი მომგებიანია, რადგან მესვეტე ის ადამიანია, რომლის სახელსაც მკითხველის მოზიდვა შეუძლია.

ხათუნა ლაგაზიძე, როგორც დამოუკიდებელი ანალიტიკოსი საგარეო და საშინაო უსაფრთხოების საკითხებში, საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა და, შესაბამისად, მისი საავტორო სვეტიც გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ბევრ მკითხველს

იზიდავს. მისი სვეტები არ არის მხოლოდ შეფასებები კონკრეტული მოვლენების, არამედ მათში არის რეკომენდაციები, პრობლემისა თუ საკითხის გადაჭრის გზები. შესაბამისად მესვეტის მიერ არჩეული ყველა თემა აქტუალურიც იყო და ამასთან ავტორს შეეძლო გარკვეული რეკომენდაციის შეთავაზება.

ხათუნა ლაგაზიძის სვეტები, თემატიკიდან გამომდინარე, არ არის მსუბუქი, არ არის იუმორისტული, ნაკლებია სარკაზმი და გროტესკი. არის საქმიანი, მეცნიერული, როგორც ჩვენთან საუბრის დროს აღნიშნა, „არახალხოსნური“ ენით დაწერილი. თუმცა ამის გამო მის სვეტს მკითხველი არ დაუკარგავს.

2013 წლის 19-25 აგვისტო, „სახელმწიფო თანამდებობა პოლიტიკური ნადავლი თუ პროფესიონალთა ნიშა“

„ურეფორმობის პირობებში ხელისუფლება სახელმწიფო ანუ საჯარო სამსახურის რეფორმის ინიციატივით გამოდის. ბევრმა შეიძლება იფიქროს: ეკონომიკური და სოციალური სტაგნაციის, მოუწესრიგებელი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის პირობებში რითი აღმოჩნდა პრიორიტეტული მაინცდამაინც საჯარო სამსახურის რეფორმის თემა. თუმცა, რეალურად, არაკვალიფიციური საჯარო მოხელეები და სახელმწიფო თანამდებობის დანაწილება პოლიტიკური ნადავლის პრინციპით ბევრი პრობლემის სათავეა...

საუბარია იმაზე რომ უნდა შეიქმნას მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალ სახელმწიფო მოხელეთა კლასი, რომელთა მოხსნა-დანიშვნა არ იქნება გამოყენებული პოლიტიკური ანგარიშწორების იარაღად...

დღემდე თანამდებობები სახელმწიფო სამსახურებში იყო ის პოლიტიკური ნადავლი, რომლის გასანაწილებლადაც მოდიოდა ხელისუფლებაში ესა თუ ის პარტია, მასზე მიწებებული ათასი ჯურის ავანტიურისტით თუ ნულოვანი კვალიფიკაციის მხარდამჭერით... ასე ხდებოდა კომუნისტებიდან ზვიადის, ზვიადიდან - შევარდნაძის, შევარდნაძიდან - სააკაშვილის და სააკაშვილიდან „მეოცნებეების“ ხელში ხელისუფლების მიტაცებისა თუ გადასვლის დროს:

იცვლებოდა ხელისუფლება და მასთან ერთად დაბალი, საშუალო თუ მაღალი თანამდებობის ათიათასობით საჯარო მოხელე...

თანამდებობებზე შემთხვევით მოხვედრილი საჯარო მოხელეები კი იმ საკითხს, რაზეც უნდა იმუშაონ, სწავლობენ სკამზე მოსვლის შემდეგ... მოდის ახალი ხელისუფლება დამშეული და თანამდებობას დახარბებული მომხრეებით, ანაცვლებს ძველს და ექსპერიმენტების მორიგ წრეზე მივდივართ... თუ გვინდა საჯარო მოხელეების გათავისუფლება პოლიტიკური ზეწოლისგან და თუ გვსურს, ისინი არა პარტიულ, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდნენ, ჯერ საზოგადოებამ უნდა დაიცვას მათი ინტერესი - შეიმუშაოს იმგვარი კანონმდებლობა, რომ სახელმწიფო მოხელის ინტერესს და ამა თუ იმ საჯარო პოზიციაზე მათ ყოფნა-არყოფნას არა თავქეიფა პარტიული ბოსი, არამედ კანონი იცავდეს...“

2014 5-11მაისი, „საინფორმაციო ომები“

„როგორ მოხდა, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლიდან წელიწად-ნახევარში საქართველოს საზოგადოების დიდ ნაწილში რუსეთი, როგორც მტრის ხატი, „დასავლურმა“ ჩაანაცვლა და ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სახელწიფოებრიობის მთავარი საფრთხე - რუსეთი - დღეს ქართული ტრადიციების „დასავლური გახრწნილებისგან“ დამცველად მოგვევლინა? როგორ აქცია 20 წელი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა და დასავლეთთან ინტეგრაციის მსურველმა ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა დასავლურ ფასეულობებს ზურგი?! ფაქტია, რომ რუსეთმა მთლიანად დაიპყრო საქართველოს საინფორმაციო სივრცე...“

ამის შემდეგ ავტორი იმ სავარაუდო მიზეზებზე საუბრობს, რამაც საზოგადოებრივი აზრის ცვლილება გამოიწვია. არის ეს საქართველოს ახლი ხელისუფლების, რუსეთის, თუ დასავლეთის ბრალი...

„საქართველოს საზოგადოების ასეთი ტრანსფორმაცია მხოლოდ განვლილ წელიწად-ნახევარს უნდა დავაბრალოთ, თუ დასავლეთით იმედგაცრუებისა და უკმაყოფილების ეს ტალღა სულ მცირე, ბოლო ათი წელი გროვდებოდა და ახლა ნახა სადინარი?!“

მესვეტე საზოგადოებისთვის საინტერესო რამდენიმე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, თუ სად წავიდა ის ასეულობით მილიონი, რომელსაც დასავლეთი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საზოგადოებაში დასავლური ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის დებდა; რას მოხმარდა ეს უზარმაზარი თანხები; რატომ არაფერს აკეთებდა ამ წლების განმავლობაში დასავლეთი საქართველოს ეკონომიკის ასაღორძინებლად მაშინ, როცა მისგან სხვადასხვა სახის დახმარების სახით შემოსული თანხები ამ ხელისგულისოდენა ქვეყანას ერთ-ერთ სანიმუშო ეკონომიკას შეუქმნიდა; რატომ არაფერს აკეთებს ხელისუფლება მიმდინარე თავსმოხვეული საინფორმაციო ნაკადების გასანეიტრალებლად;...

„გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ რუსეთის საინფორმაციო ნაკადებს ალტერნატიული საინფორმაციო ნაკადები შეაგებო... იბრძოლო საქართველოს სახელმწიფოდ არსებობისთვის... შეიძლება ამ საინფორმაციო პოლიტიკის წარმოება ისე, რომ რუსეთს სადგისივით კი არ გაერჭო, არამედ ამ საინფორმაციო პოლიტიკას ჰქონდეს სხვა რაკურსი - მე ვიბრძვი დასავლური სამყაროს წევრობისთვის არა რუსეთის გადავლით...“

საინტერესოა ჟურნალ „გზაში“ მოღვაწე მესვეტის, ზვიად დოლიძის, „პროვოკატორის“ სვეტები - „მინიატურები“. „პროვოკატორის“ სვეტი ყოველკვირეული ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი რუბრიკაა, რომელიც 2002 წლიდან არსებობს. იგი ჟურნალის უკლებლივ ყველა ნომერში, ერთსა და იმავე გვერდზე (თავიდან მე-3, ამჟამად კი - მე-5 გვერდზე) იბეჭდება. მას დამახასიათებელი ტექნიკური გაფორმებაც აქვს: შავ ფონზე გამოკვეთილი ლიდი - სათაურით „შესავლის მაგიერ“ და ბოლოს, მინაწერი „ .Შ.“ ტექსტი ილუსტრირებულია თემის

შესაბამისი ფოტოებით. სათაურის მარჯვნივ გამოსახულია კეპიანი, პირღია კაცის კარიკატურა. თითოეული სვეტი პუბლიცისტიკის საინტერესო, მცირე ნიმუშია და ოპერატიულად ეხმიანება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებს, თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ თემებს. ავტორი უხვად იყენებს გროტესკისა და იუმორის ელემენტებს, ანალიტიკას, ცოცხალი სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელ მეტყველებას, ამიტომ თითოეული ტექსტი ლაღად და მსუბუქად იკითხება.

2003 წლის 23-29 იანვარის ნომერში დაბეჭდილ სვეტში - „ძირს ხორცმეტები! ანუ ქომაგი“, „პროვოკატორი“ ქვეყნის რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე აღწერს შევარდნაძის მთავრობისა და პარლამენტის წევრების გალაღებულ ყოფას. შედარებითი ანალიზის დროს შთამბეჭდავად იყენებს იუმორისტულ პასაჟებს, გროტესკულად წარმოაჩენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას: „...ცნობილი ნათქვამი გამახსენდა: ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეზე კარგად დაინახო, მას, ქანდაკებასავით, ყველა მხრიდან უნდა დააკვირდეო. „მაშინ ჩვენი პრეზიდენტი სფერო ყოფილა: 30 წელია ვაკვირდები და ყველა მხრიდან ერთნაირია...“ ეს ჩემი ნათქვამი არ გეგონოთ! პროვოკატორი კი ვარ, მაგრამ ასეთ რამეს როგორ ვიკადრებდი? სხვა პროვოკატორის ნათქვამია და მისთანების წინააღმდეგ ვილაშქრებ. ჰოდა, აი, რას გეტყვით: 30 წელიწადი განა საკმარისია დაკვირვებისთვის? თუ კარგის დანახვა გინდა, ახალი კუთხიდან ვერ შეხედავ?! ან კი, რა დანახვა უნდა, თუ შარზე არ ხარ კაცი? რომელი ერთი დაგისახელოთ? ავიღოთ თუნდაც აფხაზეთის პრობლემა. დავკარგეთო, რომ ამბობ, - აბა, გაიხსენე: გუდაუთა, გაგრა, სოხუმი, „მედიცინსკი პლაჟი“, „მაიაკი“... ხომ გადაჭედილი იყო ყველაფერი ეროვნებით არაქართველი და ყოფაქცევით მსუბუქი ქალებით! მთელი საქართველოდან ჩავდიოდით ბიჭები და მოჭიხვინე კვიცებივით გაქაფულები დავდევდით უკან და რაც „გულავში“ გვეხარჯებოდა, ორი იმდენი მერე, მკურნალობაზე გვჭირდებოდა. ძლივს არ მოვისვენეთ? - მოგვეხსნა ერთი პრობლემა! და მეორეც: რაც უფრო ნაკლები ტერიტორია დაგვრჩება, მით უფრო მეტი არ გამოვჩნდებით? მოვა დრო და ამისთვის მადლობასაც ვეტყვით ჩვენს

პრეზიდენტს...“ ასეთია ავტორის მიერ იუმორისტულად გადმოცემული მწარე სიმართლე, სწორედ ისეთი, რომ იტყვიან, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო..

2013 წლის 19 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი სვეტი, სათაურით „ნაგავი“, კვლავაც პოლიტიკურ თემას ეხება. ავტორი აქაც არ ღალატობს შარჟულ ხელწერას და მწვავე პრობლემებს იუმორის მომარჯვებით განიხილავს. ყველასთვის კარგად ნაცნობი მაგალითების მოხმობით, ზ. დოლიძე გვესაუბრება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ამბობს, რომ გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი ძალიან ჰგავს თამაშს, რომლითაც ხელისუფლება იმიტომ იქცევს თავს, რომ „რევოლუციამდელი“ ბავშვივით არ დაჩლუნგდეს. სუბიექტური თვალსაზრისის დემონსტრირების მკაფიო მაგალითია ავტორის მიერ ნიმუშად მოხმობილი ფაქტი, რომელიც იმ დროს მავნე ჩვევად ქცეული ბავშვური თამაშის „სკოლაში ბომბია“-ს გამო პარლამენტის გადაწყვეტილებაზე ამახვილებს ყურადღებას და პარლამენტის მიერ დაწესებული უმკაცრესი რეგულაციის არამართლზომიერებაზე საუბრობს: „შსს-ს მობეზრდა ყალბ გამოძახებებზე სიარული და პარლამენტს მოსთხოვა, კანონმდებლობა გაამკაცროს: ახლა შეიძლება ისინი ბავშვთა სპეცსაპატიმროში გაამსწესონ და მის მშობლებსაც აზღვევინონ მატერიალური ზარალი... თქვე დალოცვილებო, იდიოტური ავტოჯარიმებისა და მათი კიდევ უფრო იდიოტური საურავების შემცირებას, რომელიც წელში წყვეტს უამრავი ჩვენი თანამოქალაქის ისედაც მწირ ბიუჯეტს, ლამისაა კონსტიტუციური ცვლილება და რამდენიმე წელი უნდაო, და ბავშვები ისევ გართობის გარეშე დავტოვოთ, ეს ორ დღეში შეიძლება გადავწყვიტოთ, ხომ?!” - მოცემულ ნაწყვეტში კარგად ჩანს, მიმართვის ფორმით, თანამოაზრეობის, გულშემატკივრობის გამოხატვით, რა დამარწმუნებლად იყენებს ავტორი კომუნიკაციის ელემენტებს მკითხველის გამოსაფხიზლებლად.

„პროვოკატორის“ საავტორო სვეტები მრავალ თემას ფარავს, რომელთა უდიდესი ნაწილიც სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს ეხება, იმ პრობლემებს, რაც დღესდღეობით საქართველოში ყველაზე აქტუალურია.

მართალია, „პროვოკატორის“ ხელწერა აკადემიური სტილით არ გამოირჩევა, მაგრამ საკმაოდ ორიგინალურია. ავტორი მკითხველს ე.წ. „სლენგის“ ენაზე ესაუბრება. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ ამგვარი ხელწერით იპყრობს მკითხველის ყურადღებას და რის გამოც, ფსევდონიმი „პროვოკატორი“ მასზე ზუსტადაც რომ ზედგამოჭრილია! მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი სტილური თავისებურების გარეშე, აღნიშნული რუბრიკა არ იქნებოდა რაიმე მხრივ აღსანიშნავი. იგი მკითხველთა იმ სეგმენტზეა გათვლილი, ვისაც „სლენგის“ ენაზე საუბარი უფრო იზიდავს, ვიდრე ლიტერატურული ქართული.

2013 წლის 10 ივნისის ნომერში დაბეჭდილია პროვოკატორის სვეტი სათაურით - „შალვა, მოგვენატრე, გამოჩნდი!“, რომელშიც ავტორი მიხეილ სააკაშვილის არაადეკვატურობასა და ახალი ხელისუფლების მიერ დაანონსებულ სოციალურ კამპანიაზე საუბრობს. ავტორის აზრით „უფასო მშრობიარობის შეთავაზება“ მოსახლეობისათვის სხვა არაფერია, თუ არა მათი ირიბი დაცინვა, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობის წევრები ჯერ კიდევ გაურკვევლობაში არიან ფინანსური კუთხით: „სამაგიეროდ, ახალმა მთავრობამ, კერძოდ კი, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ხუნდაძემ (ივანიშვილის ოჯახის ექიმია, სხვათა შორის) განაცხადა, 1-ლი ივლისიდან საქართველოში მშობიარობა უფასო იქნებაო! ნიჭიერმა ქართველებმა უცებ გადათვალეს, რომ ივლისამდე ცხრა თვეზე ნაკლები იყო დარჩენილი და ბევრი მაშინვე შეუდგა საქმეს. მეორე დღეს კი სერგეენკომ „დააზუსტა“: ცუდი არ იქნება, რაც ხუნდაძემ თქვა, მთვრობას ჯერ ამ ღონისძიებისთვის საჭირო თანხები დათვლილი არ აქვსო(?). მერე კი დააყოლა, რადგან ითქვა, გავაკეთებთ, აბა რას ვიზამთო, მაგრამ იმ „საქმედაწყებულებიდან“ ბევრმა მაინც თავში ხელი შემოიკრა.“

2013 წლის 21 თებერვლის ნომერში „პროვოკატორი“ შიდა-სამთავრობო კონფლიქტების კომიკურობაზე მისთვის დამახასიათებელი სარკასტული ტონით საუბრობს. მისი ხელწერა აღნიშნულ სვეტშიც არ კარგავს ჟარგონულ ხასიათს. ავტორი საკმაოდ მწვავე პრობლემას განიხილავს, როგორიცაა პოლიტიკურ ძალთა

მიერ პროფესიონალ კადრთა შენარჩუნების უუნარობა: „ისე, „ნაციონალური მოძრაობა“ თუ ასეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, მართლა არ მეგონა - ამჯერად არ ვხუმრობ, ნამდვილად ვამბობ. ხანდახან „იდეინი ნაცები“ მეცოდებიან კიდეც, როდესაც ისეთ ტიპებსაც ვერ ინარჩუნებენ თავიანთ რიგებში, მანამდე „ფეისებად“ რომ ითვლებოდნენ. მაგალითად, გოგა ხაჩიძეს, იმის მიუხედავად, რომ არც მისი ტაშტზე დაკრული სოლო მომწონს, არც მისი კბილისპროთეზიანი ხუმრობები და არც მისი მინისტრული მოღვაწეობა ჩვენი ტყეების მდგომარეობის შემხედვარეს, მაინც თანავუგრძნობ, რადგან გულწრფელია და წარმომიდგენია, როგორ სკდება გულზე, როდესაც ვერულაშვილის ან ხაჩირიშვილისნაირი ტიპები ტოვებენ მშობლიურ პარტიას...“.

„პროვოკატორის“ 2014 წლის 3 ივლისის სვეტში კი, ავტორი “ ეორგიან ჭატერ ანდ ოწერ”-ის მიერ გატანჯულ მოსახლეობაზე საუბრობს, რომელთაც აღნიშნული კომპანია არათუ ადეკვატურად ემსახურება, არამედ მათ, ხშირ შემთხვევაში, დასცინის კიდეც წყლის 24 და 36 საათიანი შეწყვეტითა და სხვა ანალოგიური ქმედებებით. აღნიშნულ სვეტში, რომლის სათაურიცაა „წყალი გამოუშვით, ფარჩაკებო!“ - იგრძნობა ავტორის მწვავედ ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული კომპანიის მიმართ, რაშიც იგი მკითხველსაც არწმუნებს იმ ყოველდღიური მაგალითების გამოყენებით, რომლებიც თბილისში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობისათვის კარგადაა ნაცნობი. დეტალიზების გზით, ავტორი დამაჯერებლად შლის აღნიშნული კომპანიის მომსახურების პრობლემებს: „თავხედობა ვახსენე და აქ ყველას ვგულისხმობ: ქოლ-ცენტრის თანამშრომლებით დაწყებული, ოფიციალური ვებ-გვერდის უფროსით გაგრძელებული და მთლად მთავარი გველეშაპით დასრულებული: თურმე ნუ იტყვით და სადაც წყალი წყდება, ყოველთვის ცისტერნებს აგზავნიან და მოსახლეობას ასე ამარაგებენ. დღესაც მე დავბრმავებულვარ, თორემ მთელი დღე დადიოდნენ დიდ დიღომში ავტოცისტერნები! ააა, ჟურნალისტი ხართ და ამ თემაზე გინდათ დაწეროთ? სად, რომელ ქუჩაზე იდგნენ, რომ იქ მცხოვრებლებს

ჰკითხოთ და დაადასტურებინოთ? ააა... ეეე... ისაა... ნუ, თუ ჟურნალისტი ხართ, მაშინ მისამართი გვითხარით და თქვენთან გამოვგზავნით(!!!)“.

„გზის“ 2014 წლის 30 ოქტომბრის ნომერში, „პროვოკატორი“ მკითხველს დისკრიმინაციის პრობლემაზე ესაუბრება. საავტორო სვეტში სათაურით - „ქართველები შავკანიანებს ჭამენ!“- ავტორი გახმაურებულ ამბავს - ავტობუსიდან ფერადკანიანი ადამიანის მისი რასის გამო გაძევებას ეხმაურება და თვლის, რომ ეს ამბავი, შესაძლოა, სულაც იმ ე.წ. „მწერლის“ ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდეს. მესვეტე ერთ ლოგიკურ ჯაჭვში აქცევს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან ტოლერანტობისა და თანასწორობის საკითხების სრულ იგნორირებაზე მიუთითებს.

ვინც ჟურნალ „გზას" კითხულობს, „პროვოკატორსაც" იცნობს. ვინც ამბები.ჯი-ს სტუმრობს ხოლმე, არც მისთვის არის იგი უცხო. თორმეტი წელიწადია, „გზაში" „პროვოკატორობს" და ნერვებს უშლის ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. მისთვის არ არსებობს: მემარჯვენე და მემარცხენე, მომხრე და მოწინააღმდეგე, ნაციონალი და ლეიბორისტი. „მამაძაღლი - მამაძაღლია და ზუსტად უნდა მიუთითო ის ადგილი, რომელიც მზის ქვეშ უჭირავს! ვფიქრობ, საჭიროა ის, რასაც ვაკეთებ - წინააღმდეგ შემთხვევაში ამდენ ხანს ვერ გავძლებდი. გავძელი კი არა, ყველაფერს „მოვედე" - ბლოგი, „გზა", რადიო „პალიტრა" (103.9) და ინტერნეტტელევიზია (წწწ.პალიტრატვ.გე)...”- წერს მესვეტე.

აქვე შევნიშნავთ ერთი ტენდენციის გამო. ჩვენ მიერ განხილულმა მრავალრიცხოვანმა მასალამ გვიჩვენა, რომ სვეტების თემა უმეტესად შეეხება პოლიტიკას, სოციალურ, ეკონომიკურ პრობლემებს, სპორტს... იშვიათად, მაგრამ მაინც იბეჭდება სვეტები სახელოვნებო სფეროზე - მუსიკაზე, კინოსა და შოუ-ბიზნესზე.

გაზეთ „ახალი ვერსიის“ მესვეტის, ლაშა გაბუნიას საავტორო სვეტებში ძირითადად სწორედ ქართული შოუ-ბიზნესია წარმოჩენილი. ავტორი სათქმელს

პირდაპირ, შეულამაზებლად, ზოგჯერ ხატოვნად და იუმორის მოშველიებით გადმოსცემს. მაგალითად, გაზეთის 2001 წლის 24 სექტემბრის ნომერში იგი აქვეყნებს სვეტს, სათაურით - „პირის დაღების ოსტატები“ და მკითხველს იმ პერიოდის „შოუ-ბიზნესის“ პრობლემებზე ესაუბრება. სვეტში იგრძნობა ავტორის კომპეტენცია შოუ-ბიზბესის სფეროში, რაც ხელს უწყობს მკითხელის მიერ მისი სუბიექტური ხედვის ნათლად და მკაფიოდ აღქმას და დამარწმუნებელი კომუნიკაციის ეფექტს ქმნის.

„პირის დაღების ოსტატებში“ ავტორი რეალური ვითარების გადმოცემით, მაგალითების ჩვენებით ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებასა და დაკავშირებას, რასაც პირობითად, საქართველოში არსებული შოუ-ბიზნესის კატასტროფული ვითარება შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს კი, როგორც ავტორი ამტკიცებს, დიდწილადაა განპირობებული ფონოგრამის არსებობით: „თავად ფონოგრამა ორნაირია. არსებობს ე.წ. „მინუს“ და „პლუს“ ფონოგრამა. თუ „მინუს“ ფონოგრამა უვოკალო არანჟირებაა (ზოგჯერ „ბექ“, ანუ უკანა ხმებით) და ამ ფონოგრამის გამოყენებისას შემსრულებელი მართლაც მღერის, „პლუსი“ გამზადებული სიმღერაა თავისი ვოკალით და ინსტრუმენტებით. „პლუსის“ სცენაზე გამოტანისას, შემსრულებელი პირწმინდად გვატყუებს, შეცდომაში შევყავართ და ის ესტრადაზე არაფერს აკეთებს, მხოლოდ პირს აღებს, დახტის და „ზრდილობისთვის ჩართულ“ მიკროფონში შიგადაშიგ გაჰყვირის: „აბაა ერთააად!“ და ა.შ. მინდა გულახდილად გითხრათ, რომ ე.წ. მექორწილე და რესტორნის მუსიკოსები უფრო გულწრფელად მღერიან, ვიდრე ესტრადის ფონოგრამისტი ე.წ. „ვარსკვლავები.““

მსგავსი თემატიკის მეორე საავტორო სვეტში სათაურით - „მიმართულების ადამიანები“ - რომელიც 2001 წლის 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა, კვლავაც პოპ-მუსიკის პრობლემატიკაზეა საუბარი: „აგერ ოთხი გამხდარი, ნანეტზე თმაშეჭრილი, ბაზრობაზე ნაყიდი იაფფასიან ოდეკოლონპკურებული, ვითომ მეოცნებეთვალებიანი ბიჭუნები აცხადებენ: „ჩვენ სოულს ვმღერით“ (აბა, იმას როგორ გაამხელენ, რომ ყმუიან, ოღონდ შუაღამით ოპერის წინ კი არა, საღამოს,

თანაც ფილარმონიაში). აგერ რამდენიმე ბეისბოლის (რა ვქნა, ვერა და ვერ მივეჩვიე ამ „კეტბურთის“ წარმოთქმას) მაისურიანი, ჩაჩაჩულშარვლიანი, „ნაგლი“ გამომეტყველების მქონე ყმაწვილი ამტიცებს, რომ რეპს მღერის.“

ლაშა გაბუნიამ სვეტების წერა გაზეთ „რეზონანსში“ დაიწყო. ხოლო როდესაც 2001 წელს გაზეთი „ახალი ვერსია“ დაარსდა, გამოჩნდა მისი „ლონგოს სვეტიც“. ერთ-ერთი პირველი იყო ქართველ მესვეტეთა შორის. ლაშა გაბუნიას თქმით, სვეტების წერა უცხოური პრესის გავლენით დაიწყო. ძალიან უყვარს მუსიკა და ძირითადად მუსიკაზე წერდა, თუმცა აქვს სვეტები რეკლამაზე, ტელევიზიასა და ზოგადად, კულტურაზე. „ეს ფორმა ძალიან მომწონდა, სუბიექტური აზრის გადმოცემის საშუალებას გაძლევს. წერ ლაკონურად, სათქმელს მოკლედ აყალიბებ. არ არის სავალდებულო ყველა სტატია ობიექტური იყოს და არც არის ასე. სვეტი სუბიექტური აზრის გადმოცემის საშუალებას გაძლევს. ვთვლი, რომ მესვეტე გულწრფელი უნდა იყოს, კარგად უნდა იცნობდეს თემას, რაზეც სვეტში წერს. არ უნდა იყოს ზედაპირული“ - ასეთია მესვეტის შეხედულება ჟურნალისტური მოღვაწეობის ამ სახესხვაობის შესახებ.

კარგი მესვეტის მთავარ ღირსებად გულწრფელობას მიიჩნევს გიგი მესვეტე, ერთ-ერთი პირველი, ვინც სვეტების წერა გაზეთ „რეზონანსში“ ჯერ კიდევ 1999 წლიდან დაიწყო. მიიჩნევს, რომ მესვეტემ კარგად უნდა იცოდეს ის თემა, რაზეც წერს: „კარგად ცოდნა მხოლოდ ლიტერატურის კითხვას არ მოაქვს, კარგად ცოდნა მოაქვს ბევრჯერ ამ თემაში ყოფნას ცხოვრებაში და მერე ამაზე ბევრ ფიქრს. როცა რაიმე თემა ძალიან გაინტრესებს, ბევრს ფიქრობ, აანალიზებ და შემდეგ შენი ნააზრევი ფურცელზე გადმოგაქვს. ყველაზე მთავარი სვეტებში მაინც გულწრფელობაა. შეკვეთილი სვეტებიც მინახავს, ეს საზიზღრობაა! სვეტი იმდენად შენია, რომ თუ შეკვეთას ასრულებ, თავიდან ბოლომდე გაყიდული ხარ და მეორე უძველესი პროფესიის კი არა, პირველი უძველესის წარმომადგენელი ხდები! მთავარი არის გულწრფელობა“ - ასეთია გიგი მესვეტის, გია იაკობაშვილის, აზრი

მესვეტეობის მნიშვნელობასა და მის მთავარ მახასიათებელზე - გულწრფელობაზე, რაც ასე ხარბადაა მის სვეტებში.

„ახალი ვერსიის“ 2009 წლის 5-6 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული გიგი მესვეტის სვეტი „დახავსებული 2008“ გასული წლის ერთგვარი შეფასებაცაა, ახალი წლის მოლოცვაც, სწორი არჩევნისკენ მოწოდებაც და უკეთესი მომავლის რწმენაც: „...არ მიყვარს ახალი წელი. დეკემბრის ბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ მიმავალი წლის ამბებს ვიხსენებდეთ, დასკვნები გამოგვქონდეს და ვფიქრობდეთ (აბა, წელს ჩვენ ვის რა ვარგეთ), ვფიქრობთ - ინდაურებზე, გოჭებზე, ქათმებზე, ბურვაკებზე, ნიგვზის ფასზე და ა.შ. ... ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენთვის ერთხელ მაინც რომ მომელოცა ნორმალურად ჩატარებული არჩევნები, დაფიქრებით გაკეთებული არჩევანი, ნორმალური მთავრობა და ლოგიკის ერთ პაწაწკინტელა მარცვალზე დაფუძნებული ხვალინდელი დღის იმედი. აბსტრაქციონისტები ვართ, იმპრესიონისტობას ვიბრალებთ და მხოლოდ ერთადერთი, მართალია გენიალური, მაგრამ მაინც პრიმიტივისტი მხატვრით ვამაყობთ... მაგარი ბიჭები დავკარგეთ, დავკარგეთ ტერიტორიები, სახლები, ეზო-კარი, ბაღ-ვენახი... მართალია, იმედი არასოდეს კვდება, მაგრამ დამბლადაცემული და გონებაწართმეული ადამიანის სიცოცხლე სიცოცხლეა?... ახალი წელი მოდის, მე კიდევ არჩევანსა და არჩევნებზე გელაპარაკებით. უბრალოდ, ასე მგონია, რომ ეს არის მთავარი და გადამწყვეტი... სანამ ავირჩევდეთ, კარგად დავფიქრდეთ და ისე ავირჩიოთ. ამის შემდეგ კი, 2009 წლის 31 დეკემბერს მართლაც მოსალოცად გვექნება საქმე...“

ჟურნალისტ ლევან სეფისკვერაძის მოსაზრების სვეტები - „შავი სათვალით“ - გაზეთ „ვერსიაში“ უწყვეტად იბეჭდება. წლების განმავლობაში მან სოცილურ-პოლიტიკური თემატიკის ორასზე მეტი სვეტი გამოაქვეყნა.

ლევან სეფისკვერაძის სვეტები სოციალური თემატიკის იყო. წერდა ყველა მისთვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხზე, ძირითადად ქართულ ტრადიციებზე, თანამედროვე ახალგაზრდების ყოფიერებაზე, ადამიანების ქცევებზე, აზროვნებაზე... მაგალითად, 2004 წლის 15-21 მარტის ნომერში (№145) სვეტში,

რომლის სათაურია „მიტევების თაობაზე“, ვკითხულობთ: „არა მხოლოდ მართლმადიდებლურ ქვეყნებში, მთელ მსოფლიოშიც არ არსებობს ისეთი საოცარი და ამაღლებული დღესასწაული, რომელსაც ჩვენში მიტევების დღეს ეძახიან... მე ეს დღე წელს აღმოვაჩინე, როცა 3 თებერვალი ერთი ჩვეულებრივი დღე მეგონა და ამ დროს დილაადრიან ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. აღმოჩნდა, რომ ერთი ისეთი კაცი მირეკავდა, მხოლოდ ძალიან ზოგადი ნაცნობობა რომ მაკავშირებდა ... „ძალიან გთხოვ ყველაფერი მაპატიე, თუკი შენთან რაიმე დანაშაული მიმიძღვის. ხომ მაპატიებ?“ მოდი და ნუ გაგიკვირდება, როცა ამას გეუბნება კაცი, რომელსაც ნორმალურად არც კი იცნობ. „რა უნდა გაპატიო, ის მაინც მითხარი?“ „ყველაფერი, ყველაფერი, დღეს ხომ მიტევების დღეა?!“... „... შენზე იმდენი ცუდი მაქვს გაფიქრებული რომ უნდა მაპატიო.“... შემდეგ ავტორი გვიამბობს ქართლში გავრცელებულ მიტევებასთან დაკავშირებულ ერთ ხალხურ ზღაპარს, შემთხვევით შვილის მკვლელ მამაზე და ქმრის მნათე დედაბრებზე, რომლებსაც ქმრებმა შვილები მოუკლეს და მიუხედავად იმისა რომ მოკლულმა შვილებმა მამებს აპატიეს, დედებისთვის სულ ერთია შვილის პატიება, მათგან მამებს - მკვლელებს მიტევება არასდროს ექნებათ... „სწორედ ამ ამბის მოსმენის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენ, „ქმრის მნათე დედაბრებივით“ ხშირად გვიკვირს და ვერ გაგვირკვევია, გვაოცებს დიდბუნებოვანი მიტევების არსი...“ - ასე ასრულებს სვეტს ავტორი.

2009 წლის 4-5 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სვეტში - „მასწავლებლის ძალა“, მესვეტე გვიამბობს ერთ მოხალისე პედაგოგზე, რომელიც ჯავახეთში 5 თვის წინ ჩავიდა და სომეხ ბავშვებს თვეში 400 თუ 300 ლარის საფასურად ისტორიას ასწავლის. მეათე კლასელმა მოსწავლემ საახალწლო სუფრაზე სხვა პედაგოგებთან, კლასელებთან და მშობლებთან ერთად ეს მასწავლებელიც მიიწვია. თამადამ სამშობლოს დალოცვისას, დედასომხეთთან ერთად ამჟამინდელი სამშობლო - საქართველოც მოიხსენია. ამან პედაგოგი ძალიან გაახარა და იკითხა, სხვაგანაც თუ ასე ერთად დალოცავთ ორ სამშობლოსო.... პასუხად უარი მიიღო. სვეტის დასასრულს მესვეტე შენიშნავს: „ერთი ქართველი მასწავლებლის თანდასწრებამ იმდენი შეძლო, რომ სომხებმა თავიანთ სუფრაზე საქართველო გაიხსენეს...

წარმოიდგინეთ რა იქნება იმავე სკოლაში 2-3 და მეტი ქართველი რომ იყოს?!... ჩემი აზრით, ქვეყნის ერთიანობის ფუნდამენტი სწორედ ამგვარი კერძო ურთიერთობებით ყალიბდება. და მე იმედი მაქვს, რომ ასეთი კარგი საგანმანათლებლო წამოწყება ჩვენი ქვეყნისთვის უკვალოდ არ ჩაივლის... სხვა შემთხვევაში, საქართველოს ნაცვლად მივიღებთ ქვეყანას, რომლის სახელმწიფოებრიობა მუდმივად ეჭვის ქვეშ იქნება დამდგარი და მუდამ გვექნება იმის ილუზია, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის გარეშეც შესაძლებელი იქნება ჩვენი ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის დანარჩენ საზოგადოებასთან ინტეგრაცია...“

2015 წლის იანვარიდან რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, გაზეთ „ვერსიაში“ სვეტი „შავი სათვალით“ ისევ ბრუნდება და მესვეტის სვეტები უკვე პოლიტიკური თემატიკისაა. „დაგიბრუნდით მომატებული წონით, მომატებული წლებით, მოძალებული ბრაზით, დამსხვრეული ოცნებებით და ოდნავ მანიაკალური ქართული ოპტიმიზმით, რადგან მიუხედავად ყველაფრისა მაინც გვჯერა, რომ ხვალ ყველაფერი უკეთ იქნება. აი, რატომ გვჯერა, კაცმა არ იცის...

დაგიბრუნდით შეცვლილი მთავრობითა და ახალ-ახალი „უსაქმურობის ღმერთებით“, რომლებიც მსუყე პრემიებს ისე ოსტატურად იწერენ, მრავალპრემიაგამოვლილთაც კი ნერწყვი მოუვათ.

დაგიბრუნდით კიდევ უფრო მეტად დაბეჩავებული და მრავალიმედგაცრუებული მოსახლეობის ხილვით გაბრაზებული...

დაგიბრუნდით გათავხედებული, უმაქნისი მთავრობით და სრულიად მარგინალიზებული...

დაგიბრუნდით გაფიცული რკინიგზელების დარდით... დაგიბრუნდით აფეთქებული საყდრისით... დაგიბრუნდით ათეულობით ათასი სტატუსშეჩერებული სტუდენტით... დაგიბრუნდით ერთმანეთზე „ძაღლი-კატასავით“ გადაკიდებული

პარლამენტარებით და ოლიმპიური ჩემპიონის საქვეყნოდ გაშიშვლებული არცთუ საამოდ სანახავი ალაგით...

პირობას გაძლევთ, რომ „შავი სათვალით“ იქნება კიდევ უფრო მეტად კრიტიკული. ჩვენ და ჩვენს საზოგადოებას დასაკარგი აღარაფერი გვაქვს... ჩვენ შიშში და საგიჟეთში გამობრძმედილი ხალხი ვართ და ჩვენი აქეთ უნდა ეშინოდეთ მათ, ვისაც რატომღაც ჰგონიათ, რომ მათი გაზულუქება და დიდპრემიანობა სამარადჟამოდ გაგრძელდება...“

2015 წლიდან დღემდე, ლევან სეფისკვერაძის სვეტები, დაპირებისამებრ, გაცილებით უფრო კრიტიკული და მწვავეა. ეხმიანება ყველა იმ აქტუალურ და საზოგადოებისთვის ძალიან მტკივნეულ საკითხს, რომელიც კარგ მესვეტეს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

2015 წლის 8-9 აპრილის ნომრის სვეტში - „ხავსი“ ვკითხულობთ: „საოცარი მცენარეა ხავსი. ლამაზია, მწვანედ ხასხასებს, ათასგვარ მწერს კვებავს და, თუ საქმეს დასჭირდა, პოზიტივის მაძიებელთაც აძლევს მოჭიდების საშუალებას. „ხავსად“ შეიძლება გამოდგეს გახსნილი სათბური, ქუჩაზე ამოვსებული რამდენიმე ორმო, ღიმილიანი მინისტრი და ჯიბრიანი სახით გაკეთებული განცხადებები, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება. ... ადრე თუ გვიან ყველანი დავინახავთ, რომ ხავსი მარადმწვანე მცენარე არ არის, ბოლოს აუცილებლად დაჭკნება, გახმება და ზამთრის თოვლით დაიფარება.“

ლევან სეფისკვერაძის წერის სტილი სახალისო, მარტივი და გასაგებია. მსუბუქი იუმორით გაჯერებულ სვეტებში კარგად იგრძნობა ყველა იმ პრობლემის სიმწვავე, რაც ქართველ ხალხს აწუხებს და რაზეც მესვეტე თავადაც ძალიან წუხს, წუხილიდან გამომდინარე კი ბრაზობს და წერს და წერს არა მხოლოდ იმისთვის, რომ მისი ხმა დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

საინტერესო და დასამახსოვრებელია სვეტი „პოლიტიკური სიზმრების ახსნა“, რომელშიც მესვეტე რამდენიმე სიზმრის ახსნის მისეულ ვარიანტს გვთავაზობს.

მაგალითად: „სიზმარში ბიძინა ივანიშვილი ნახო - ფული გქონდეს, ნდობა გქონდეს, მაგრამ გულიდან შიში, ეჭვები ვერ მოიცილო - ყველა ჩემს წინააღმდეგაა და ყველას ჩემი ფული უნდაო. მერე ამ შიშმა ყველაფერი მიგატოვებინოს და ნდობა ქარს გაატანო.

მიშა სააკაშვილი ნახო, ვარდის ბიზნესში მეგობრები „გადაგეგდოს", ბიზნესი ჩაგწოლოდეს, უცხოეთში გაქცეულიყავ, მეგობრები შემოგძარცვოდეს, მაგრამ საქმე თავიდან დაგეწყოს და თან უცხოეთიდან მუშტებს იქნევდე, ჩამოვალ და დედას გიტირებთო.

ვლადიმერ პუტინი ნახო, ყველაფერი, რასაც გააკეთებ თუ გააფუჭებ, უპრობლემოდ გაგსვლოდეს, ბევრი ცუდი საქმე გექნას, მაგრამ კაცი არ იყოს შენი მომკითხავი.

ანგელა მერკელი ნახო, ლუდი აგმჟავებოდეს, ახალგაზრდობაში უნიფხვოდ სირბილი გყვარებოდეს და საქმე საქმეზე როცა მიდგება, მეგობრები ფეხებზე დაგეკიდებინოს...

ნოდარ ხადური ნახო, ფერ-ხორცი, სუფრა, ხვავი და ბარაქა არ მოაკლდება შენს ოჯახს...

საპარლამენტო უმცირესობა ნახო, უტიფრობა გესწავლოს. სხვაგან ყველაფერს ცუდსა ხედავდე და შენსაზე თვალებს ხუჭავდე. სულ რომ სიმართლეს იძახდე, მაინც არავინ გისმენდეს და ყველას შენს ერთ ადგილზე ეჭიროს თვალი პანჩურის ამოსაკვრელად.

საპარლამენტო უმრავლესობა ნახო, მაშინაც უტიფრობა გესწავლოს, თან გათავხედებულიყავ, ყელი მოგეღერებინოს, უსაქმურობის სიამე შეგეტკბოს და ძილშიც კი „სისხლიანი 9 წელი" გებურტყუნოს...

ეკა ბესელია ნახო, „ზალაში" ახალი „სტენკა" დაგედგას, ერთი კაცის გარდა ყველანი, ვის სახელსაც ადრე გაჰკიოდი, სულ ფეხებზე დაგეკიდებინოს და სულაც

არ გეფიქროს იმაზე, რომ ადრე თუ გვიან, ყველაზე ლამაზი სიზმარიც კი აუცილებლად დამთავრდება!...“

ლევან სეფისკვერაძე მკითხველს ძირითადად სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ პრობლემატიკაზე ესაუბრება. 2009 წლის 16 თებერვლის ნომერში ვხვდებით სეფისკვერაძის საავტორო სვეტს, სათაურით „კუთხეში მიგდებული საქართველო“, რომელშიც იგი საქართველოს პროვინციების (რეგიონების) დაკნინებასა და დედაქალაქის არაადეკვატურ ზრდაზე საუბრობს. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ვითარება ქვეყანას სასიკეთოს არაფერს მოუტანს, ვინაიდან „საქართველოს, მთელი მისი ისტორიის განმავლობაში, მუდამ პროვინციებით ედგა სული. თუკი რაიმე ღირებული, ფასეული და ეროვნული იქმნებოდა, ესეც რეგიონებში... ესეც არ იყოს, დღეს უზარმაზარ თავკომბალად დამსგავსებულ ჩვენს დედაქალაქს, ბევრ რამეში, ლიტერატურიდან დაწყებული ეკონომიკით დამთავრებული, კრიზისები რომ დახვევია, განა ესეც იმის დასტური არაა, რომ ქართული რეგიონები დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს?“ - ამ ფრაგმენტში ავტორი ცხადად და მკაფიოდ ავლენს თავის სუბიექტურ და ამავდროულად, რეალობასთან ზუსტ თანხვედრაში მყოფ ობიექტურ პოზიციას, რომლის მეშვეობითაც არსებულ პრობლემატიკას ნათლად ხსნის მკითხველის წინაშე.

„ახალი ვერსიის“ 2009 წლის 23 თებერვლის ნომერშიც, ლ. სეფისკვერაძე მკითხველს წინა თემატიკის ერთგვარ გაგრძელებას სთავაზობს სვეტში „ტრადიციების ტყვეობაში“. იგი საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთა მხრიდან ქართული ტრადიციების დამახინჯებასა და ამისგან გამოწვეულ ნეგატიურ დამოკიდებულებას განიხილავს. ავტორის ფართო ჟურნალისტურ კომპეტენციასა და გამორჩეულ ხელწერას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი სწორედ ამ სფეროში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს - ქართული სუფრის მნიშვნელობის დაკარგვას, მემთვრალეობისა და ღვინის კულტურის ტრადიციათა ერთმანეთში აღრევას ეხება. აღნიშნულ სვეტში ავტორი არსებული ფაქტებიდან ქმნის ისეთ ლოგიკურ ჯაჭვს, რომლის წაკითხვის შედეგადაც მხოლოდ ცოტას თუ

დარჩება ამ საკითხში გაუთვითცნობიერების განცდა, რაც, თავისთავად, ავტორის ჟურნალისტურ ოსტატობას უსვამს ხაზს.

გია ჩიტიშვილი სპორტულ სვეტებს გაზეთ „ვერსიაში“ აქვეყნებდა. წლების განმავლობაში მან ასობით სვეტი გამოაქვეყნა.

2003 წლის 3-9 მარტის ნომერში, გია ჩიტიშვილის „მკაცრი სვეტი“ – „გუბერნატორი“- „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის შესახებ, იმდენად საინტერესოდაა დაწერილი, რომ მხოლოდ სპორტის მოყვარულებს კი არა, ნებისმიერ მკითხველს მიიზიდავს. ერთ სვეტში მოქცეული რამდენიმე ფაქტი ლეგენდარული მწვრთნელის მოღვაწეობიდან და აქვე მინიშნება, თუ როგორი უნდა იყოს მწვრთნელი, რომ ქართულ ფეხბურთს ძველი დიდება დაუბრუნოს და როგორ უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ ფეხბურთელები ასეთ მწვრთნელს.

„როცა თავის დროზე ალექს ფერგიუსონმა თავნება და გულზვიადი პოლ ინსი მეტსახელად „გუბერნატორი“ მოედანზე მისი დავალებების შეუსრულებლობისთვის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მიაბრძანა, თქვა: „იუნაიტედში“ მხოლოდ ერთი გუბერნატორია“... ახლახან, სათასო მატჩში „არსენალთან“ დამარცხების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გასახდელში რაც მოხდა, ყველამ შესანიშნავად იცის. ცხადია ფერგიუსონის მიერ ფეხით გატყორცნილი ბუცი პირადად ბექჰემის თავისაკენ არ იყო გამიზნული, სერ ალექსის რისხვა მთელ გუნდს ეკუთვნოდა... თუმცა, ბოდიშის მოხდა, რასაც მისგან ბევრი ითხოვდა, აზრადაც არ მოსვლია... სერ ალექს ფერგიუსონი თავის გუნდში მართლაც რომ გუბერნატორია, თანაც ერთადერთი. ამიტომაც მან ბოლომდე შეძლო თავისი იდეების განხორციელება და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძველი დიდება დაუბრუნა. როგორ ფიქრობთ, განა „იუნაიტედის“ რომელიმე ფეხბურთელს აზრად მოუვა მას გაეჭიმოს, მოედანზე შემიშვიო ან კიდევ მისი დავალება პირნათლად არ შეასრულოს? არა, გუბერნატორი ხომ მთავარი და ერთადერთია...“

ქართული ფეხბურთის უამრავ პრობლემურ საკითხს ეხმაურება გია ჩიტიშვილის სვეტების უმრავლესობა. ეს არის საკითხი, რომელიც ასე აწუხებს მესვეტეს და არა მარტო მას.

მაგალითად, 2003 წლის 27 იანვრის ნომერში, სამაგალითო სვეტში, სახელწოდებით - სომხებიც გაგვისწრებენ, მესვეტე წერს, რომ უკანასკნელ პერიოდში სომხურ ფეხბურთში საკმაოდ საინტერესო მოვლენები ხდება, რაც ჩვენ შესაძლოა ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგეს. კერძოდ, სიტუაციის გამოსასწორებლად, სომხეთის ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებებს ანრი მიშელთან აწარმოებს... „სამწუხაროდ, არასოდეს აზრად არავის მოსვლია, გვეცადა მაინც საქართველოს ნაკრებში მსგავსი მაღალი დონის მწვრთნელის მოწვევა. არადა, თუ ამგვარი პრეტენზიები სომხებს გააჩნიათ, ჩვენ რატომ არ უნდა ვცადოთ?... შეიძლება ვინმემე თქვას, ბედკრულ ქართულ ფეხბურთს მაგეების ფული სად აქვსო. მაგრამ საქმე მთლად ეგრეც არ არი,... მიშელის დონის სპეციალისტის დაქირავება წლიურად 300-500 ათას დოლარამდე ჯდება, და ეს მაშინ, როცა შვეიცარიასთან მატჩის წინ გერმანიაში საქართველოს ნაკრების შეკრების ჩატარება ოფიციალური ინფორმაციით 300 ათას დოლარამდე დაჯდა...“ წერს მესვეტე.

სარკაზმით სავსეა გია ჩიტიშვილის ე.წ. „სამედიცინო სვეტი“ სახელწოდებით - ვარსკვლავური სენი, რომელიც 2004 წლის 1-7 მარტის ნომერში გამოქვეყნდა. მესვეტე საუბრობს იმ სენზე, როემლიც ვარსკვლავად აღიარებულ ფეხბურთელებს შეეყრებათ ხშირად. „ფეხბურთელის კარიერის აღმავლობას უამრავმა, სხვადასხვა სახის ტრავმებმა შეიძლება ხელი შეუშალოს. მაგრამ, როგორც წესი, მათი უმრავლესობა განკურნებადია. გაცილებით რთული კი ე.წ. ვარსკვლავური ავადმყოფობა გახლავთ, რომელიც თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, სწორედ ფსიქოლოგიური ხასიათის დაავადებაა... ალბათ ვინმეს ჩაეცინება, ჩვენს რეალობასთან ყველაფერ ამას რა კავშირი აქვს, ქართულ ფეხბურთს ხომ ჭეშმარიტად სუპერვარსკვლავები არ ჰყავსო. უბედურებაც ეგ არის. ის ფეხბურთელები კი, რომლებიც ქართული საზომებით მოიაზრებიან ვარსკვლავებად,

ხშირად ავადმყოფობენ.... როცა უცხოეთში მოთამაშე ერთ ჩვენს თანამემამულეს ჰკითხეს, თუ რა იყო მისი გუნდის წარუმატებლობის მიზეზი, მან უპასუხა: ტრავმა მაქვს და მოედანზე გამოსვლა არ შემიძლია, აგერ, მილანის „ინტერი“ რონალდოს გარეშე რა დღეშიაო. ერთობ მოკრძალებული პასუხია, არა?.. ამიტომაც ვერ შეძლო საკმაოდ ნიჭიერმა თაობამ ქართული ფეხბურთისათვის წარმატების მოტანა. რას ვიზამთ, ვარსკვლავურმა ავადმყოფობამ დანდობა არ იცის...“

2004 წლის 22-28 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ „კეთილმოსურნე სვეტში“, სახელწოდებით „არ გაოცდე“, გია ჩიტიშვილი ალენ ჟირესს მიმართავს, რომელიც საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ჩამოვიდა და თქვა ყველას მხარდაჭერა და დახმარება დამჭირდებაო, ჰოდა, მესვეტეც ეხმარება რამდენიმე საჭირო რჩევით: „მუსიე ალენ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ შეკრებაზე გამოძახებული რომელიმე ლეგიონერი თვითმფრინავით კი არა, ავტომობილით გამოემგზავრება და რამდენიმე დღეს დააგვიანებს. რა ქნას იმ კაცმა, თუ სამშობლოში ახალი პიპიათი თავის მოწონება სურს? ამავე მიზეზით მან შეიძლება კიდევ ერთი-ორი დღე გააცდინოს და მშობლიურ კუთხეში გაინავარდოს, სადაც დიდებულ დახვედრას მოუწყობენ და ეროვნული კერძებით ერთობ გულუხვად გაუმასპინძლდებიან... არც ის იქნება გასაკვირი, თუ სანაკრებო შეკრებისას რამდენიმე მოთამაშე რეჟიმს დაარღვევს, კარგად დალევს, ხინკლით გასკდება და მატჩის წინა ღამეს საუნაში გაატარებს... თუ ვარჯიშისას თავში ბურთი მოგხვდათ, დაფიქრდით, ზედმეტი სიმკაცრე ხომ არ გამოიჩინეთ... ნუ გაგიკვირდებათ, თუ შეკრებაზე გამოძახებულმა რომელიმე ლეგიონერმა განაცხადა, ტრავმა მაქვსო, ორიოდე დღის შემდეგ კი თავისი კლუბის რიგებში ითამაშა...

კიდევ მეტსაც გირჩევდით, მუსიე ალენ, მაგრამ მეშინია, გული არ გაგიტეხოთ. რას ვიზამთ, ეს ხომ ქართული ფეხბურთია.“ იუმორით დაწერილ სტრიქონებში კარგად იკითხება ის მწარე რეალობა, რომელშიც ქართული ფეხბურთი იმყოფება. სასაცილოა, თითქოს, ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს.

გაზეთი „24 საათი“ სვეტებისა და მათი ავტორების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. 2002-2012 წლებში, გაზეთის გამოსვლიდან, მის დახურვამდე, სამოცდაორი მესვეტის 1046 სვეტი გამოქვეყნდა. გაზეთს 62-დან 23 მუდმივი მესვეტე ჰყავდა. 10 წლის განავლობაში გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა თემატიკის სვეტები ჩნდებოდა. დავით კოვზირიძის 185, კაჭკაჭის 67, მარო მაჩხაანელის 15 სპორტული სვეტი დაიბეჭდა. ასევე, ნინია კაკაბაძის 88, ეკა კვესიტაძის 28 და ნესტან კვინიკაძის 29 სვეტი სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე. „24 საათის“ აქტიური მესვეტეები იყვნენ სამსონ ლეჟავა (42 სვეტი), მალხაზ ხარბედია (35 სვეტი). თანამედროვე ქართველი მწერლების მოსაზრების სვეტებიც სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე. ამ წლების განმავლობაში გაზეთმა ლაშა ბუღაძის - 101, დავით ტურაშვილის - 55, ბასა ჯანიკაშვილის - 43, ზაალ სამადაშვილის - 21, ხოლო აკა მორჩილაძის 12 სვეტი გამოაქვეყნა. გაზეთში პაულო კოელიოს უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან ნათარგმნი 65 სვეტიც გამოქვეყნდა (იხ. გრაფიკი №8).

მუდმივი მესვეტეების გარდა „24 საათი“ არც თუ ისე ხშირად ადგილს უთმობდა ისეთ ავტორებს, რომლებმაც მხოლოდ 8, 7 5, 4, 3 და 2 სვეტი გამოაქვეყნეს. გაზეთს ცხრამეტი ავტორი ჰყავდა, რომელთა მხოლოდ თითო სვეტი დაიბეჭდა. სვეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთ ავტორებს მესვეტეს ვერ ვუწოდებთ, არც მათ ნაწერს შეიძლება ეწოდოს სვეტი, მაგრამ ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი ანალიზის დროს, მათი დათვლაც მოვახდინეთ, რადგან გარკვევით ეწერა, მაგალითად, ჟუჟუნა მიქაუტაძის სვეტი, ან მაკა ჯაიანის სვეტი... (იხ. გრაფიკი №9).

„24 საათის“ ქართველ მწერალ-მესვეტეებზე შემდეგ თავში ვრცლად გვექნება საუბარი. აქ კი, გაზეთის სხვა, შედარებით მუდმივ მესვეტეებს მიმოვიხილავთ.

ნინია კაკაბაძის საავტორო სვეტები, ძირითადად, სოციალურ-პოლიტიკური თემატიკისაა. საავტორო სვეტში, სახელწოდებით - „წლები იწყება“, ნინია კაკაბაძე განიხილავს საქართველოში შობისა და ახალი წლის ორჯერ აღნიშვნის პრობლემას და განმარტავს, რომ ამჟამინდელი ქართული კულტურა კარგად უბამს მხარს

ამგვარ ტრადიციებს, რადგანაც იგი უთავბოლო ქეიფსა და დროსტარებას ეფუძნება. აღნიშნულ სვეტში, კაკაბაძე საუბრობს ქართულ კულტურაში შობა-ახალი წლის ზეიმის უმიზნობაზე, უთავბოლობაზე და მისგან გამოწვეულ არაადეკვატურ ღრეობაზე, რომელიც ქართველებს, რატომღაც, „შობა-ახალ-წლებად“ მიაჩნიათ. ავტორი კარგად ახდენს საკუთარი მოსაზრებების ილუსტრირებას: „კიდევ ერთი უსიამოვნო დეტალი საახალწლო დღეებიდან: სატელევიზიო გადაცემები. ისედაც დაუხვეწავი და უგემოვნო სატელევიზიო სივრცე, რომელიც თავისი უნიჭობის პიკს სწორედ ზემოხსენებულ დღეებში აღწევს... ესტრადის ვარსკვლავების თემატურად შექმნილი ახალი სიმღერები, ბრჭყვიალა ტანსაცმელში გამოწყობილი წამყვანები, კარგად გაიღიმებ, მადლობას გეტყვიან, არა და, გაგიბრაზდებიან. მოგვილოცავენ სხვადასხვა ქვეყნიდან, ძირითადად, ჯერ ისევ რუსეთიდან წამოვა მოლოცვების კასკადი და რაც მთავარია, ყველა რეკლამა და სატელევიზიო ტიხარი „საახალწლო“ მელოდიით იქნება გაფორმებული“.

2004 წლის ბოლო პერიოდისათვის უკიდურესად აქტუალურ საკითხს, საზოგადოებრივი ტელევიზიის საკითხს ეხება ნინია კაკაბაძე ამავე წლის დეკემბრის „24 საათის“ ერთ-ერთ ნომერში, სადაც მის საავტორო სვეტში მრავალმხრივ არის გააზრებული საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემა: „დღეს, ჯერ კიდევ სახელმწიფო ტელევიზიას არავითარი შეზღუდვები არ გააჩნია და მისი თავისუფლება, ვფიქრობ, დღეს ყველაზე ნაკლებად არის შევიწროებული, მაგრამ სურათი ამგვარია; საინფორმაციო გამოშვებების შინაარსისა და ინტონაციის სახით, მგონი, კომუნისტურ ხანას არ ახსოვს ისეთი პათოსი, როგორიც დღეს არის. ყველაზე შემაძრწუნებელი ის არის, რომ ამ სიტყვებს ამ ინტონაციით ისინი გადმოგვცემენ, ვინც ერთი წლის წინ პრაქტიკულად ომის დასაწყისს პროვოცირებდა საკუთარ ქვეყანაში საკუთარი გამოსვლებით“.

ნინია კაკაბაძე წერს, რომ მხოლოდ ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ტელევიზია შეძლებს საზოგადოების სამსახურში ყოფნას, რის გამოც მისი არსებობიდან ძველი და

კორუმპირებული კადრები უნდა გამოირიცხოს. ავტორი პირდაპირ საუბრობს კორუმპირებულ და არაადეკვატურ კადრთა ქმედებებზე და საზოგადოებრივი მაუწყებლის სრულიად ახლებური, მანამდე უპრეცენდენტო სახით ფორმირების აუცილებლობაზე. სვეტის ბოლოს ავტორი იმედს გამოთქვამს საზოგადოებრივი ტელევიზიის ნათელ მომავალთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა დაცვასა თუ დაუცველობას ეხება ნინია კაკაბაძის სვეტი - ვინ არის თავის - უფალი? (10 დეკემბერი, 2004). „საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ადამიანთა უფლებები ყოველდღიურად ირღვევა...“ პატიმართა დარღვეული უფლებების გარდა, ავტორი ქალების უფლებების დარღვევაზეც ამახვილებს ყურადღებას: „გარდა იმისა, რომ გოგონებს თუ ქალბატონებს ე.წ. ძლიერი სქესის წარმომადგენლები ძალისმიერი მეთოდებით უსწორდებიან ოჯახში თუ ოჯახს გარეთ, და ყოველივე ზემოთქმულზე ამ პატარა სვეტში საუბარი ვერ მოხერხდება, მხოლოდ ერთ საკმაოდ საინტერესო და ტრადიციულ პრობლემაზე შევაჩერებ ყურადღებას...“ მესვეტე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დღეს, ოჯახებს, მატერიალური თვალსაზრისით, ქალები უზრუნველყოფენ. ქალებს არ ერიდებათ ბაზრობაზე ვაჭრობა, დამლაგებლად მუშაობა და სხვა, კაცისთვის მიუღებელი სამუშაოს შესრულება. მაშინ როდესაც კაცები საწოლზე წამოწოლას და ლოდინს ამჯობინებენ. მიუხედავად ამისა, ქალს სამყაროს სრულუფლებიან არსებად მაინც არ მოიაზრებენ: „საზოგადოება მათ შვილების აღზრდას სთხოვს, სოციალური მდგომარეობა რთულ პირობებში მუშაობას აიძულებს და ბოლოს, ქალს, რომელსაც ფიზიკური, ინტელექტუალური, თუ პროფესიონალური მოღვაწეობის მოთხოვნილება აქვს, არასერიოზულად აღიქვამენ... ქალთა უფლებები სხვა მრავალ სფეროში სხვადასხვა სახით ილახება, მაგრამ უმთავრესი და პრობლემის საწყისი სწორედ 21-ე საუკუნის დასაწყისშიც არსებული სენტენციაა: „ქალის ერთადერთი ფუნქცია მორჩილი ცოლობა და ღირსეული დედობაა“. ყველა სხვა სტატუსი თუ ფორმა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის მიუღებელია...“ სვეტის ბოლოს ავტორი სათაურად გამოტანილ კითხვამს სვამს თუ ვინ არის დღეს ჭეშმარიტად თავის - უფალი და იქვე პასუხობს, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი

ძლიერი და ქართველი მამაკაცია, რომლის უფლებების დაცვა საქართველოში უზრუნველყოფილია.

განსაკუთრებული ყურადღების საგანს პაულო კოელიოს საავტორო სვეტები წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან არის ნათარგმნი. პაულო კოელიო მსოფლიოში აღიარებული და ყველასთვის ცნობილი ბრაზილიელი მწერალია. მისი საავტორო სვეტები მკვეთრად განსხვავდება ჟურნალისტთა მიერ შექმნილი საავტორო სვეტებისაგან და თითქმის ყველა სვეტი მხატვრული ნაწარმოები უფროა, ვიდრე წმინდა სახის პუბლიცისტიკა. თუმცა, აღსანიშნავია კოელიოს საავტორო სვეტების ჟურნალისტური ხასიათიც, რაც იდეის გადმოცემის ლაკონურობაში გამოიხატება. მწერალი ეფექტურად იყენებს მხატვრულ ხერხებს ინდივიდუალობის წარმოსაჩენად. უნდა აღინიშნოს, რომ კოელიოს საავტორო სვეტები, სავარაუდოდ, ფრაგმენტებია მისი ნაწარმოებებიდან, რომლებიც საკმაოდ ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და ქმნის უწყვეტ ჯაჭვს - სვეტიდან სვეტამდე.

პაულო კოელიოს სვეტები იგავური სტილისაა. ამ გზით მწერალი ეფექტურად გადმოსცემს სათქმელს, რაც მკითხველს თემის აღქმას და გააზრებას უმარტივებს. კოელიო საავტორო სვეტში „საბრძოლო მზადყოფნა ეჭვების თანხლებით“, იმ ფიქრების და განცდების შესახებ გვესაუბრება, რომელიც მას საკუთარ ბაღში, სარეველებთან ბრძოლის დროს გაუჩნდა. მწერალი მჭრელი ხელსაწყოთი ბალახებში სარეველის გამორჩევის დროს შეაუწუხა ფიქრმა, რომ რასაც სარეველას ვეძახით, სინამდვილეში ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის; ორგანიზმი, რომლის შექმნასა და განვითარებას ბუნებამ მილიონობით წელი მოანდომა და რატომ ანადგურებს ადამიანი ბუნების შექმნილს. მწერალს ახალი აღთქმის ის ნაწილი ახსენდება იესო რომ ქადაგებს იფქლისგან ხორბლის გამორჩევას და თვლის, რომ თუ ახლავე არ გაანადგურებს სარეველას, ისე გაიზრდება რომ ბალახს სულ მოახრჩობენ. „ბიბლიით თუ მის გარეშე, ჩემ წინაშე მაინც ერთი კონკრეტული პრობლემა რჩება. პრობლემა, რომელიც მუდამ

იდგა კაცობრიობის წინაშე: რა დონემდე გვაქვს ბუნების საქმეებში ჩარევის უფლება? ასეთი ჩარევა მუდამ უარყოფითი შედეგით მთავრდება, თუ შეიძლება მას რამე დადებითი შედეგიც მოჰყვეს?..“ მწერალი იხსენებს რა უპასუხა კრიშნამ მეომარ არჯუნას, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლის წინ სულიერად დაეცა, მხრები ჩამოყარა და განაცხადა, რომ არასწორია იმ ომში ბრძოლა, რომელიც შეიძლება მისი ძმის სიკვდილით დასრულდეს - „მართლა გგონია, რომ ვინმეს მოკვლა შეგიძლია? შენი ხელი ჩემი ხელია და წინასწარვე იყო დაწერილი, რომ რასაც შენ აკეთებ, უნდა ბოლომდე აღსრულდეს. თავისით არავინ კლავს და არავინ კვდება...“ ნებისმიერ ბრძოლას, საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან თუ გარემოსთან - ყოველთვის თან ახლავს ეჭვი, თუ რამდენად მართებულია ჩვენი ქმედება. ამ ეჭვის პასუხად მოჰყავს სწორედ მწერალს კრიშნას პასუხი.

საავტორო სვეტში „ხანტეს კანონი“, კოელიო საუბრობს იმ უკიდურესად აქტუალურ პრობლემაზე, რომელსაც შეგვიძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისა და მისგან გამოთიშულობის პრობლემა ვუწოდოთ. პრობლემის აქტუალობას ავტორი შედარების ხერხებით ამძაფრებს, არწმუნებს რა მკითხველს, რომ გარკვეულ გარემოებებში, ყოველი მოქალაქე ვალდებულია, ჩაერთოს მიმდინარე აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის უსამართლობა დაჩაგრავს სამართლიანობას. „ხანტეს კანონი ეჭვისა და შურის საბურველშია გახვეული. პრინცესას მწერალმა მეუღლემ არი ბენმა დაარღვია ეს კანონი, აღძრა სხვაში ეჭვი და შური და ამიტომაც აღმოჩნდა პრობლემების წინაშე. ეს კანონის ერთადერთი აღიარებული უარყოფითი მხარეა. მაგრამ სინამდვილეში არის მეორე, გაცილებით უფრო სახიფათო მხარეც. სწორედ ამ კანონის გამოა, რომ უშიშარი, მაგრამ ავი ზნის ადამიანები თავისუფლად მანიპულირებენ სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე. ასეთები არად დაგიდევენ დანარჩენების აზრს და ხშირ შემთხვევაში ახერხებენ კიდეც დამღუპველი მიზნების განხორციელებას“ - აღნიშნავს კოელიო.

კოელიო სვეტში ასევე ცდილობს პასუხისმგებლობის განცდის გამოწვევას მკითხველში, აღნიშნავს რა, რომ „არაფრით გამორჩეულ და უჩინარ ადამიანად ყოფნა“, რასაც „ხანტეს კანონი“ ქადაგებს, გამოსავალი არ არის - მას მხოლოდ ნეგატიური შედეგები მოაქვს საზოგადოებისათვის, რის გამოც, კოელიო ყველას ამ დაუწერელი კანონის გაუქმებისაკენ მოუწოდებს.

სვეტში - „ახალი ტიპის ადამიანი“, პაულო კოელიო ფონდ „შვაბის“ დირექტორის პამელა ჰარტიგანის მიერ ჩამოყალიბებული ათი თვისების შესახებ საუბრობს, რომელიც გაბედულ ადამიანებს ახასიათებთ, ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტიათ: მოუთმენლობა, გაცნობიერება, სიახლე, პრაგმატიზმი, სწავლა, ცდუნება, მოქნილობა, სიჯიუტე, სიხარული და ვირუსი. ათივე თვისებას განმარტებაც ახლავს თან. მაგალითად: „სიხარული: ადამიანს, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევა გადაუწყვეტია, რთული პერიოდების გადალახვა უხდება, მაგრამ ქმედების პროცესი მაინც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. შეცდომებისა და სიძნელეების გამო ის ფარხმალს არ ყრის, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება. ეს იმიტომ, რომ მას იუმორი აქვს და შეუძლია, გაიღიმოს მაშინ, როცა უჭირს. ამ დროს მას არც იმის რწმენა ტოვებს, რომ შეცდომის გამოსწორებას მალე მოახერხებს...“ სვეტის დასასრულს მწერალი შენიშნავს, რომ პამელა ჰარტიგანის კვლევაში მოხვდა ბრაზილიელი ფაბიო როზა, რომელიც გაბედული ადამიანია, რომელმაც ოცნების რეალობად ქცევა გადაწყვიტა და შექმნა სისტემა, რომელიც მხოლოდ მზის ენერგიას გამოიყენებდა: „ფაბიოს შრომას - რომელიც პამელას მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ათივე თვისებით იყო ნაკარნახევი და განხორციელებული, დღეს მთელი მსოფლიო იცნობს და აფასებს. მისი იდეა უკვე აიტაცა რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ და მალე ის მილიონობით ადამიანს მოუტანს მოგებას და თან გარემოს დაცვის მხრივაც სასარგებლო იქნება...“

ეკა კვესიტაძის პოლიტიკური სვეტები გაზეთ „24 საათში“, საკმაოდ მწვავე და კრიტიკულია. 2003 წლის სვეტებში: „საბოტაჟი“, „სიღტაკიდან - საყოველთაო განუკითხაობამდე“, „რითაც ჩავიდა იმით დაბრუნდა შევარდნაძე სოჭიდან“, „ყურის

აწევის მცდელობა თავისუფალი მას-მედიისთვის“, „პატრიარქს შემოდგომის ეშინია“ და ა.შ. არის შევარდნაძის ხელისუფლების მწვავე კრიტიკა. ავტორი კრიტიკული რჩება ხელისუფლების შეცდომების მიმართ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდშიც. მესვეტე სუბიექტურ მოსაზრებებს წერს, მაგრამ ობიექტურობასაც არ კარგავს. მან კარგად იცის რას აშავებს ხელისუფლება ხალხის წინაშე, რა და რატომ არ მოსწონს ხალხს მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, ბევრი რამ ისევ შესაცვლელია და ახალ გუნდსაც ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა. სვეტში - „პრეზიდენტის მთავარი შეცდომა“ - ეკა კვესიტაძე წერს თუ რა არის მიხეილ სააკაშვილის მთავარი შეცდომა: „პოზა, რომელიც ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ გუნდს აქვს აღებული, საშინლად გამაღიზიანებელი გახდა. გიგა ბოკერიას დიდაქტიკურ-აღმზრდელობით-იმპერატიული ტონი, მაია ნადირაძის აბსოლუტური კომპეტენციით სავსე ცინიზმი, არველაძის კომკავშირული თავდაჯერებულობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი არათუ ჭეშმარიტებას ღაღადებენ, არამედ თავად არიან ჭეშმარიტება. ხოლო იქ, სადაც ჭეშმარიტება მხოლოდ მათ უპყრიათ, სხვათა აზრს ძალა არ აქვს. კავშირი ჭეშმარიტების ამ ხელოვნურ პედესტალზე ამხედრებულ სახელისუფლებო გუნდსა და საზოგადოებას შორის თანდათან იკარგება. უკვე ძალიან დიდი ხანია პრეზიდენტი აღარ შეხვედრია სამოქალაქო საზოგადოების წევრებს და პირადად არ მოუსმენია მათი აზრი, რადგან, ალბათ, დარწმუნებულია, რომ მათი „ყიყინის“ მოსმენა არაფერს მოუტანს...“.

ჟურნალ „ტაბულას“ პირველი ნომერი 2010 წლის მარტში გამოვიდა და მასში 13 საავტორო სვეტი იყო გამოქვეყნებული. დაარსების პირველ წელს ჟურნალში 244 საავტორო სვეტი დაიბეჭდა. 2011 წელს - 112, 2012 წელს - 65 ხოლო 2013 წელს მხოლოდ 14. ჟურნალმა არსებობა 2014 წლის მაისის თვეში შეწყვიტა, მაგრამ ბოლო წელს არც ერთი სვეტი არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, რომელშიც ჟურნალი გამოდიოდა, გაზეთ „24 საათის“ მსგავსად, „ტაბულაში“ სვეტებისა და მესვეტეების საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი სპექტრი იყო წარმოდგენილი. ჟურნალს 45 მესვეტე ჰყავდა, რომელთა 435 სვეტი

გამოქვეყნდა, მაგრამ ამ ორმოცდახუთი მესვეტიდან მხოლოდ 18 იყო შედარებით მუდმივი. ჟურნალის სხვადასხვა ნომერში ნახავთ ავტორებს, რომლებმაც მხოლოდ ერთი სვეტი დაწერეს. სვეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძნელია ასეთ ავტორს მესვეტე ეწოდოს, ან ტექსტს - სვეტი, მაგრამ სახელწოდება გარკვევით წერია - სვეტი. ჟურნალის რედაქცია პუბლიცისტურ ჟანრს - სვეტს - დიდ უპირატესობას ანიჭებს, მაგრამ მოსწონს ახალ-ახალი ავტორები, ახალ-ახალი თემებით. ფიქრობს, რომ ეს უფრო საინტერესო და მიმზიდველია მკითხველისთვის, რადგან ერთი და იგივე ავტორი შეიძლება მოსაწყენი გახდეს გარკვეული პერიოდის შემდეგ. სვეტის ავტორებად, ჟურნალისტებთან ერთად, ხშირად, პოლიტიკოსები, სახელმწიფო და საზოგადო მოხელეებიც გვევლინებიან. მაგალითად, ჟურნალთან აქტიურად თანამშრომლობდა კახა ბენდუქიძე, ზურაბ ჯაფარიძე, სიმონ ჯანაშია, გია ნოდია, კახა ლომაიას რამდენიმე სვეტიც დაიბეჭდა. ეს ადამიანები, ძირითადად, წერდნენ იმ თემებზე, რომლებიც მათ პროფესიას თუ თანამდებობას უკავშირდებოდა. მაგალითად, განათლებაზე წერდა სიმონ ჯანაშია. კახა ბენდუქიძის საავტორო სვეტები ეკონომიკას და განათლებას ეხებოდა. გიორგი კეკელიძის სვეტები ლიტერატურის, წიგნების, მწერლების შესახებ იყო.

მაია თოდუას საავტორო სვეტები ჟურნალ „ტაბულაში“ სრულიად განსხვავებული, სამეცნიერო თემატიკისაა. მომავლის ტელესკოპებს და მათ პოტენციალს ეხება სვეტი - „მომავლის ტელესკოპი“ (2012 წლის 6-12 თებერვალი), სადაც ავტორი გიგანტური და ინოვაციური ტელესკოპის, - თ-ს ინიცირებასა და მშენებლობაზე საუბრობს, რომელიც მასშტაბურ ინტერნაციონალურ პროექტს წარმოადგენს და რომლის მშენებლობაც ჩილეში, არმაზონესის მთაზე იგეგმება: „ - თ ტელესკოპის ობიექტივის დიამეტრი 39.3 მეტრია და კოსმოსში დედამიწის უდიდესი „თვალი“ იქნება. ის თითქმის 1000-ჯერ დიდია გალილეო გალილეის მიერ 400 წლის წინ აგებულ ტელესკოპზე, რომლის დიამეტრი 37 მილიმეტრი იყო. გალილეის ტელესკოპი იწონიდა რამდენიმე კილოგრამს, - თ-ის წონა კი 2800 ტონა იქნება, ფართობი კი საფეხბურთო მოედნის ნახევარს დაიკავებს. ის 4-ჯერ აღემატება დღეს არსებულ უდიდეს ტელესკოპებს, რომელთა სარკეების დიამეტრი

10 მეტრია. - ო-ს ჰაბლის კოსმიურ ტელესკოპზე უფრო მეტი შესაძლებლობები ექნება“.

ავტორი მკითხველს სთავაზობს ტექნოლოგიური წინსვლის პერსპექტივას (ხედვას) და მის როლს ადამიანის ცოდნისა და შემეცნების სფეროს განვითარებაში. ამასთან, საკმაოდ დეტალურად და კომპეტენტურად საუბრობს იმ სამომავლო მეცნიერულ მიღწევებზე, რომლებიც აღნიშნული გიგანტური ტელესკოპის დახმარებით იქნება მოპოვებული; ასევე - როლზე, რომელსაც ამგვარი ახალი და რევოლუციური ტექნოლოგიები თამაშობს კაცობრიობის მიერ სამყაროს ცოდნასა და აღქმაში.

დავით კოვზირიძე 2010 წლამდე გაზეთ „24 საათის“ მუდმივი მესვეტე იყო და ყველა მესვეტეზე მეტი, ჯამში 185 სპორტული სვეტი გამოაქვეყნა. ჟურნალ „ტაბულას“ დაარსებიდან დავით კოვზირიძე სვეტების აქტიურად წერას „ტაბულაში“ იწყებს, თუმცა აქ იგი უკვე სპორტულ თემაზე არ წერს. მისი საავტორო სვეტები საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკისაა. მაგალითად, საავტორო სვეტში, სათაურით - „თბილისი - დაკარი“ (2011 წლის 24 იანვარი), ავტორი მკითხველის ყურადღებას თბილისის სატრანსპორტო პრობლემებზე ამახვილებს. სვეტი იუმორისტულ-სატირულ ხასიათს ატარებს, რითაც მკითხველისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება.

სვეტში საუბარია ტაქსების, სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების მიერ მოძრაობის წესებისადმი სრულ თუ ნაწილობრივ დამოურჩილებლობაზე, რასაც ერთვის ისიც, რომ მოძრაობის წესები ფეხით მოსიარულეთა გარკვეული ნაწილის მიერაც სრულიად უგულვებელყოფილია. ავტორი კარგად წარმოაჩენს აღნიშნული პრობლემის სოციო-კულტურულ ხასიათს, ითვალისწინებს რა, რომ ქართველები, სხვა ეროვნებებისგან განსხვავებით, მეტისმეტად „მოწესრიგებული“ ხალხია. ამ სარკასტული გზით იგი ცდილობს, აგრძნობინოს მკითხველს, თუ რამდენად არაადეკვატურ მდგომარეობაში იგდებს ზოგიერთი მათგანი თავს საგზაო მოძრაობის წესების არცოდნით, დარღვევითა თუ გაუთვალისწინებლობით. ავტორი

აღწერს ქუჩებში არსებულ ვითარებას ფეხით მოსიარულეებთან დაკავშირებით: „თუ მძღოლებმა არ იციან, რატომ იხაზება ქუჩები, ფეხით მოსიარულენი ვერ ხვდებიან, რა საჭიროა მიწისქვეშა გადასასვლელი. ცენტრალურ ქუჩებზე შევხვდებით შემდეგ კატაკლიზმებს: დედას უჭირავს შვილი და გადარბის; ტიპს უჭირავს ტელეფონი და გადასვლისას მესიჯს კრეფს; გადამსვლელები მოახლოვებული მანქანის მძღოლს უყურებს თვალებში და ტემპს ანელებს, ან სულაც ჩერდება; ფეხით მოსიარულე საერთოდ სხვა მიმართულებით იყურება...“

სვეტი, უმეტესად, ხარისხიანი მედიისთვის არის დამახასიათებელი. სამწუხაროდ, დღევანდელი გაზეთები თავს აღარ იწუხებენ სვეტების ბეჭდვით. თანამედროვე ბეჭდურ მედიაში აშკარა სიყვითლის ტენდენცია იკვეთება.. მათი შინაარსი ეკლექტურია და ძირითადად, სენსაციაზეა აგებული.. არადა, ქართული პრესის დემოკრატიზაციის საწყისებთან ბევრად მაღალპროფესიონალური, ავტორიტეტული გამოცემები გვხვდება.. მაშინ სიყვითლეზე მეტად, ტექსტის ხარისხზე იყვნენ ორიენტირებულები.

ამ გამოცემათა შორის უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და აკადემიური გაზეთი „7 დღე“. მართალია, მისი მესვეურები სვეტებს გაზეთის აუცილებელ კომპონენტად არ განიხილავდნენ, მაგრამ როცა მკითხველის გამოხმაურებას ეცნობოდნენ, აღმოჩნდებოდა, რომ სვეტი იყო პოპულარული, რაც ყველაზე მეტად ამახსოვრდებოდათ და რასაც წლების შემდეგაც აღნიშნავდნენ. ასე მაგალითად, გაზეთი სისტემატურად ბეჭდავდა დათო ბუხრიკიძის „ვიდეო მიმოხილვას“. ეს იყო თემატური სვეტი კინოს შესახებ. საინტერესო, ინფორმაციული და, რაც მთავარია, გასართობი სვეტი, ახალი და ძველი ფილმების, რეჟისორების, მსახიობების, ყველაფერი იმის შესახებ, რაც კინემატოგრაფიას უკავშირდება.

გაზეთის რედაქტორი, ხათუნა მაისაშვილი, მოსაზრების სვეტებს სისტემატურად არ ბეჭდავდა. როგორც თავად ამბობს, არ იყო ფუნქციით მესვეტე, თუმცა ეს ჟანრი ძალიან მოსწონდა, რადგან ძალიან ახლოს იყო მის ნატურასთან,

წერის იმ სტილთან, რომელიც მისთვის ძვირფასია. მისი შეხედულებით, „სვეტი არ არის უხვსიტყვიანი, არის კონდესირებული და იძლევა შესაძლებლობას, სათქმელი თქვა ისე, როგორც შენ გინდა, როგორც შენ ხედავ, როგორც გინდა რომ შენმა მკითხველმა დაინახოს“. ამიტომ ენობრივ სტილსაც ისეთს იყენებდა, რომ მაქსიმალური ზემოქმედება ჰქონოდა მკითხველზე, იყო ემოციაც, პათოსიც, არგუმენტიც, წინადადებების ისეთი წყობაც, რომელიც ჟურნალისტურისგან განსხვავებულია, უფრო პიარის დისკურსის, ლოგოსის ფუნქციის მატარებელია.

მოსაზრების სვეტის, თუნდაც ხანდახან, გამოჩენა გაზეთის პირველ გვერდზე იყო თავისუფლების რეალიზაცია: „ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ხარისხზე და კიდევ იმაზე, რომ მაქსიმალურად გვესარგებლა ბოძებული თავისუფლებით, რომ შეგვექმნა ისეთი სარედაქციო წერილი, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა საბჭოთა მოწინავე სტატიისაგან. სვეტებს ის ადამიანები ვწერდით, რომლებსაც ამბიცია გვქონდა საბჭოურის ალტერნატიული პროდუქტი შეგვექმნა.“

ხათუნა მაისაშვილის სვეტები დაკავშირებული იყო პოლიტიკასთან და შედარებით არაპოპულარულ თემებთან. მაგალითად: „რაც თქვენ გსურდათ გცოდნოდათ კუპონის შესახებ და გრცხვენოდათ გეკითხათ“, „მე ვერ ვნახე პრესა, ვინ შეჭამა პრესა“, „ღატაკებს მოწყალებაზე უარს არ ეუბნებიან“, „მე მიყვარს თქვენი წმინდა უბრალოება“ და სხვ.

საინტერესო ლიდით იწყებს ავტორი სვეტს - „და თუ ვინმეს აქ მყოფთაგან არ ვუყვარვარ“: „მე ძალიან მომწონს ეროვნული ერთიანობის, თანხმობისა და ურთიერთმიტევების იდეა. ეს უდიდესი ჰარმონიაა, რომელსაც ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი და მთელი საზოგადოების ნება ამწიფებს და არა ნება ერთი კაცისა, თუნდაც იგი თემურ შაშიაშვილი იყოს.“ ამის შემდეგ იხსენებს 1990 წლის 19 მარტის მიტინგს უნივერსიტეტის ეზოში, რომელიც ეროვნული შერიგების დღედ მიიჩნევა უახლეს ისტორიაში, და იხსენებს სიტყვებს, „რომელიც მიტინგის ორატორს კი არა, უფრო ღირს მამას დაამშვენებდა: „... და თუ ვინმეს აქ

მყოფთაგან არ ვუყვარვარ, მე მიყვარს ისინი, მე ყველანი მიყვარხართ!“ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვერ გავმთლიანდით. ვერ შევრიგდით.

... არ მომწონდა, როცა მისტიციზმში ჩაძირული პრეზიდენტი რეფერენდუმს თავის დაბადების დღეს ამთხვევდა, საპრეზიდენტო არჩევნებს - მერაბ კოსტავას დაბადებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ხოლო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას 9 აპრილის მეორე წლისთავზე აცხადებდა...“ ამის შემდეგ ავტორი მოკლედ გადმოგვცემს ღვთისმშობლის მიძინების დღეს, ერის გამთლიანების მიზნით, თემურ შაშიაშვილმა როგორ შეყარა ერი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე, მაგრამ როგორ აღმოჩნდა ეს მცდელობაც უიღბლო, როგორ ვერ გავმთლიანდით, თუმცა მისტიციზმში კი ჩავიძირეთ... „ახალ პრემიერ-მინისტრს იმიტომ კი არ ვირჩევთ რომ მან ჩვენთვის მოსაწონი პროგრამა წარმოადგინა, არამედ იმიტომ, რომ უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით იყო ხელდასხმული...“

და დასასრული: „საუბედუროდ, მე არ ვარ თქვენსავით ღვთისმოსავი, მაგრამ მაინც სასიკვდილო ელვასავით მივლის: შიში ფარისევლობის. ცოდვა მკრეხელობის.“ ეს არის საუკეთესო მაგალითი, როგორი უნდა იყოს მოსაზრების სვეტი, როგორ უნდა ითქვას გრძელი სიტყვა მოკლედ, რომ ერთმა სვეტმა დაიტიოს ამდენი სათქმელი! ამ ნიმუშით ნათლად ჩანს ჩვენი ღირსებებიცა და ნაკლიც, ავტორის დამოკიდებულებაც და მისი შეურიგებლობაც იმ პრობლემების მიმართ, რომელთა მოგვარებაც ვერა და ვერ შევძელით... აშკარაა, რომ ავტორი კომპეტენტურია, კარგად იცნობს იმ თემატიკას, რაზედაც გვესაუბრება, მისი ხელწერა ორიგინალური, მომჭირნე და მიმზიდველია...

სვეტის თხზვის სპეციფიკაზე ავტორის მოსაზრებაც კარგი დამხმარეა მისივე ნაღვაწის შესაფასებლად. ხათუნა მაისაშვილის აზრით, კარგ მესვეტეს „თვალი უნდა ჰქონდეს ძალიან მახვილი, რადგან სვეტისთვის ყველა თემა არ არის ვარგისი, მას უნდა შეეძლოს თემის საკითხის სწორი იდენტიფიცირება, რომ სვეტის სტილი მოარგოს მას. ყველა საკითხზე არ იწერება სვეტი, აქ საჭიროა მახვილი თვალი და

პროფესიონალური ინტუიცია. ამის გარდა, მესვეტე უნდა იყოს განათლებული, მას უნდა შეეძლოს არგუმენტების ისეთი წყების მოყვანა, რომელიც ბავშვურ სუბიექტივიზმზე მაღლა დგას, მე ასე მომწონს და იმიტომ კი არა. უნდა წერდეს საზოგადოებისთვის მისაღებად. ინტეგრაციული ფუნქცია უნდა ჰქონდეს სვეტს, უნდა აერთიანებდეს ავტორს და მიმღებ საზოგადოებას. მესამე არის გემოვნება, რადგან არგუმენტები შეიძლება ცუდი და მდარე გემოვნებით ააწყო. და მეოთხე - საკუთარ თავში უნდა იყო დარწმუნებული. აქეთ-იქით თუ იყურები, ასე სვეტი არ დაიწერება.“

საგაზეთო სვეტის მნიშვნელობაზე რომ გვესაუბრებოდა, ხათუნა მაისაშვილი ავტორის პასუხისმგებლობაზეც შენიშნავდა: „..სვეტის დაწერის უფლება ყველას არ აქვს. როგორც ავტორს, რეპუტაცია უნდა გქონდეს მოპოვებული, ანუ რაღაც გზა უნდა გაიარო, გამოცდილება უნდა დააგროვო, რომ სვეტის წერის უფლება მოიპოვო. მაგალითად, აკა მორჩილაძე საუკეთესო მესვეტე იყო.“

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. მართლაც, ქართულ პრესაში არსებული თემატური სვეტებიდან აკა მორჩილაძის სპორტული სვეტები სრულიად გამორჩეულია. მის შესახებ საუბარი ნაშრომის შემდეგ თავში გვექნება, სადაც თანამედროვე ქართველ მწერალ-მესვეტეთა შემოქმედებით თავისებურებებს მიმოვიხილავთ.

VI.თანამედროვე მწერალი-მესვეტეები ქართულ პრესაში

ისტორიულად, დიდი მწერალი, ამავე დროს, დიდი პუბლიცისტიც იყო. მწერლის საოცრად მახვილსა და ანალიტიკურ თვალთახედვას არასოდეს გამოჰპარვია ერის ცხოვრების არცერთი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა. ქართველი მწერლების პუბლიცისტური წერილები ორიენტირებული იყო პრობლემურ თემებზე, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. ისინი წარმოაჩენდნენ და

გაიაზრებდნენ ქვეყნაში არსებულ ვითარებას, მკითხველს აცნობდნენ იმ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიდა ერს განვითარებაში. ასე იყო მე-19 საუკუნეში. ეს ტრადიცია გაგრძელდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაშიც, განსაკუთრებით, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში, ვიდრე ბოლშევიზმმა ჩვენი სუვერენიტეტი არ შეიწირა. მწერალს დღესაც არ დაუკარგავს პუბლიკასთან კონტაქტი და ახალ-ახალ ფორმებს ეძებს მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის.

საძიებელ თემატიკას სადისეტაციო ნაშრომის ამ ნაწილში მწერლის სვეტი წარმოადგენს. შესაბამისად, ჩემი მიზანია, გამოვარკვიო, რა თემატური თავისებურებებით გამოირჩევა საავტორო სვეტი, როგორია მისი მიზანდასახულობა და როგორ იყენებენ ამ ჟანრობრივ სახეს თანამედროვე ქართველი მწერლები საკუთარი თვალსაზრისის დემონსტრირებისათვის. კვლევისას მოვიშველიებ ე.წ. კალამნისტიკის თეორიულ ასპექტებს, მიმოვიხილავ ასევე პრესის თავისუფლების პოსტსაბჭოურ გამოცდილებასა და პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის გავლენას პოსტსაბჭოთა მედიის შემოქმედებითი სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე.

დასახული მიზნის მისაღწევად გავეცანი თანამედროვე ქართველი მწერლების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სვეტებს, გამორჩეულად შემდეგ პერიოდულ გამოცემებში: გაზეთები: „24 საათი“, „სარბიელი“, ჟურნალი „ლიბერალი“. ზოგადად, მხედველობის არეში მოექცა სვეტის ყველა ის ნიმუში, რომელიც ქართველი მწერლების მიერ 2000 წლის შემდეგ ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნდა. მასალის სისტემატიზება-კლასიფიკაციის შედეგად, ვიმსჯელე პუბლიკაციათა შინაარსობრივ თავისებურებებზე, წარმოვაჩინე მათი შემოქმედებითი მახასიათებლები და ავტორთა ხელწერის სპეციფიკა.

მოძიებულ ნიმუშთა თემატური კლასიფიკაციის შედეგად, გამოვკვეთე პრობლემატურ საკითხებზე მეტადრე აქცენტირებული პუბლიკაციები და გამოვარკვიე ავტორების მიზანდასახულობა, წარმოვაჩინე მათი სტილური თავისებურება და შემოქმედებითი ატრიბუტიკა.

აკა მორჩილაძე, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი - ეს არასრული ჩამონათვალია თანამედროვე ქართველი მწერლებისა, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში საავტორო სვეტებს წერენ. ჩვენ მიერ განხილულ გამოცემათა შორის, ამ მხრივ პროდუქტიულობით გამოირჩევა გაზეთი „24 საათი“, რომელიც 2002 წლის 1 იანვარიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე ყოველდღიურად გამოდიოდა. იგი წლების განმავლობაში, ვიდრე ბეჭდური სახით არსებობას შეწყვეტდა, სისტემატურად უთმობდა ადგილს მწერლების პუბლიცისტურ ნაღვაწს. გაზეთ „24 საათის“ ჩოლუმნისტ-ებს ტიპური ამერიკული („ნიუ-იორკ ტაიმსის“) სისტემით, კვირის დღეები ჰქონდათ განაწილებული: „დათო ტურაშვილის ხუთშაბათი“ და „ბასა ჯანიკაშვილის შაბათობები“ პირდაპირ მიანიშნებს სვეტების გამოსვლის დღეზე, ხოლო „ლაშა ბუღაძის კომენტარები მთავარზე“ ჟანრის სხვა მახასიათებლებს წამოსწევს წინა პლანზე. თუ ამერიკელ თეორეტიკოსთა კლასიფიკაციას გამოვიყენებთ, დათო ტურაშვილის, ლაშა ბუღაძისა და ბასა ჯანიკაშვილის სვეტები თვალსაზრისის სვეტებია (პინიონ ჩოლუმნ).

ვერ ვიტყვით, რომ მწერლების სვეტები თემატური თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. მათი ძირითადი საფიქრალი და განსასჯელი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობაა. ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებული დაძაბული პოლიტიკური გარემო, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, მოუგვარებელი სოციალური პრობლემები, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სასამართლო სისტემის რეფორმა, ქვეყნის ევროპული არჩევანი, სამოქალაქო საზოგადოების შექმნა - ეს ის პრობლემური საკითხებია, რომელთა აქტუალიზებასაც სვეტების ავტორები ცდილობენ..

დათო ტურაშვილი არა მარტო თანამედროვეობის ცნობილი მწერალია, არამედ გასული საუკუნის 80-იანი წლების სტუდენტური მოძრაობის აქტიური მონაწილეცაა. იგი ყოველთვის იყო ჩართული ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა არასდროს ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი და დღემდე

ღიად გამოხატავს თავის შეხედულებებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა თუ საზოგადოებისთვის პრობლემურ თემებზე.

დათო ტურაშვილთან საუბარში გამოირკვა, რომ მას, გარდა ლიტერატურული აზროვნებისა, აინტერესებს, როგორ აზროვნებს მწერალი ყოფაში, სოციალურ გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკურ პროცესებში. მოსწონს სვეტის ფორმატი, სადაც ავტორის სუბიექტივიზმი წამყვანია. მიიჩნევს, რომ ადამიანი სუბიექტური არსებაა და ძალიანაც კარგია, რომ ყველანი ასე განსხვავებული სუბიექტები ვართ სამყაროში და სამყაროც იმიტომაა ასე საინტერესო, რომ ამდენი ფერი, ამდენი თვალი, ამდენი გემოვნებაა და ერთსა და იმავე საკითხზე ამდენი სხვადასხვა აზრია. მწერალი თავისი აქტიური მესვეტეობის პერიოდს ასე იხსენებს:

„მახსოვს რომ მოსწონდათ ხოლმე ჩემი სვეტები, ადრესატებს ნაკლებად, მაგრამ მკითხველს მოსწონდა. რეაქციებიც მახსოვს. მაგალითად, ერთ დღეს სააკაშვილმა დამირეკა, ვერც მივხვდი, რომ სააკაშვილი იყო. გაბრაზებული იყო, მაგრამ ეყო ძალა და მეხუმრებოდა, ჩემი ლანძღვის და კრიტიკის გარდა, რითი ხარ დაკავებულიო, რა იცი-მეთქი და წავიკითხე შენი სვეტიო.

სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ვწერდი სვეტებს. შეიძლება ვიღაცამ იცის, როგორ დაწეროს, მე - არა. იმ კვირაში რაც იყო მნიშვნელოვანი, რაც მაწუხებდა, იმაზე ვწერდი, აი, როგორ ვწერდი, ეგ არ ვიცი“.

ყველაზე მეტად, რაც პროვოცირებას უკეთებს ავტორს, იმ ერთი კვირის ამბავია, ოდნავ ნიჭიერი ადამიანი ხვდება, რამ შეიძლება ინტერესი გამოიწვიოს, რაა ყველაზე აქტუალური იმ კვირაში, ყური, გონება, თვალი რისკენაც არის მიმართული და კონცეტრირებული, ის იქნება ყველაზე მეტად კითხვადი, მარტივია. მეორე, რაც ყველაზე მეტად აწუხებს, იმის გამოსათქმელად, სანამ რომანს დაწერს, სვეტს წერს. პერიოდიკით ძალიან სწრაფად აწვდის ხმას იმ ადამიანებს, ვისაც უნდა რომ ხმა მიაწვდინოს. დღეს ინტერნეტი კიდევ უფრო სწრაფია, მაგრამ დათო ტურაშვილისთვის სვეტების წერა მაინც ბეჭდვით მედიაშია პრიორიტეტული.

ავტორი გვიყვება, როგორ გაჩნდა „სმს შეტყობინებების“ იდეა: „ის ადამიანები, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ქუჩაში ვიდექი, დღეში რამდენჯერმე რომ მირეკავდნენ, მოდი ჩვენთანო, მერე არასდროს პასუხობდნენ ჩემს ზარებს. შეკითხვები მიჩნდებოდა, რაღაც არ მომწონდა, ჰოდა ვურეკავდი. მაგრამ, როცა დიდი თანამდებობის პირები ხდებოდნენ, მათთან კონტაქტი ქრებოდა, და მოვიფიქრე სვეტების სათაურიც, სმს შეტყობინებები მათთვის, ვინც ჩემს ზარებს აღარ პასუხობს. ეს სვეტები მართლაც ძალიან პოპულარული იყო“ - მისთვის ჩვეული გულწრფელობით მესაუბრებოდა მწერალი.

როგორც უკვე აღვნიშნე, გაზეთის 2004 წლის ნომრებში, ყოველ სამშაბათს იბეჭდებოდა დათო ტურაშვილის ორიგინალური ფორმის საავტორო სვეტი - „შ შ“, რუბრიკით - „ყოველ სამშაბათს“. 2009 წელს მისი სვეტები უკვე ხუთშაბათობით იბეჭდება, სახელწოდებით - დათო ტურაშვილის ხუთშაბათი, რუბრიკაში - „რევიუ“. წარმოდგენილ საავტორო სვეტებს წამძღვარებული აქვს ერთი წინადადება - „რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება (მათთვის, ვინც ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობს).“ რასაც შემდეგ მოსდევს ძირითადი ნაწილი - რამდენიმე მობილური ტელეფონის ნომერი და ნომრის ქვემოთ მოკლე ტექსტური შეტყობინება. მაგალითად:

„877919909

რამდენიმე დღის წინ გასაოცარი ამბავი მოხდა მოსკოვში, რუსეთის დედაქალაქში - რწმუნებათა სიგელის გადასაცემად პრეზიდენტ პუტინთან, საქართველოს ახალი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვალერი ჩეჩელაშვილი, თეთრი ჩოხით მივიდა. გასაოცარი ეს არ იყო, გასაოცარი ის იყო, რაც მერე მოხდა - მართალია, ვალერი ჩეჩელაშვილს, საჩოხე ტანი არ აღმოაჩნდა (როგორც ტელეეკრანზე ჩანდა), მაგრამ აღმოაჩნდა თვისება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო წარმატებისთვის. რუსეთის პრეზიდენტის დაცვამ მოითხოვა, რომ საქართველოს ახალ ელჩს ხანჯალი მოეხსნა და ისე შესულიყო აუდიენციაზე. ჩოხა კი, ხანჯლის გარეშე, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს და ყველასგან მოულოდნელად ვალერი

ჩეჩელაშვილმა ისეთი პრინციპული სიჯიუტე გამოიჩინა, რომ რუსებსაც კი გაუკვირდათ. გაკვირვებულ რუსებს კი ისღა დარჩენოდათ, რომ დაეთმოთ და სწორედ ამ პრინციპულობას ველოდი და ამ პრინციპულობას ვქადაგებ აგერ უკვე ორასი წელია. დარწმუნებულიც ვარ, რომ თუ არ შეგვეშინდება და ვიქნებით პრინციპულები, რუსებიც ვერაფერს დაგვაკლებენ - როგორც ხანჯალი ვერ მოჭამეს ვალერი ჩეჩელაშვილს, აგერ სულ რამდენიმე დღის წინ...“ („24 საათი“, 2004 წ. 7 დეკემბერი).

აღნიშნული ტექსტის შემდეგ, ამავე სვეტში კიდევ მობილური ტელეფონის ოთხი სხვადასხვა ნომრისადმი მიწერილი სხვადასხვა შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებებია, რომლებშიც ავტორი იმ კვირისთვის აქტუალურ პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებს ძალიან მოკლედ მიმოიხილავს და საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს ამ მოვლენებთან დაკავშირებით.

საავტორო სვეტებში ნათლად ჩანს ინდივიდუალისტური ხელწერა, სუბიექტური „მე“, მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვინ არის კონკრეტული კალამნისტი, როგორია მისი ბიოგრაფიული ბექგრაუნდიც, რა ქმნიდა მისი გამოცდილების კაპიტალს. თავის სვეტებში დათო ტურაშვილიც ინდივიდუალურ დაკვირვებას აწარმოებს გარე სამყაროზე და საკუთარ თვალთახედვას გვთავაზობს საჭირბოროტო თემატიკაზე მსჯელობისას. მისი ინტერესის მთავარი სფერო პოლიტიკაა. როგორც ვახსენეთ, მწერალი სტუდენტობიდან იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იყო მიმართული.

თითოეულ სვეტში ფარულად თუ აშკარადაა გაცხადებული მწერლის პროტესტი და ანტიპათია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა და ყველაფერი იმის მიმართ, რაც საბჭოთა კავშირთან ასოცირდება. ხშირად ავტორი ერთსა და იმავე თემატიკას ეხება, ზოგჯერ თემას განავრცობს და გაგრძელებებით გვთავაზობს მომდევნო კვირის სვეტში. მიუხედავად გამეორებებისა, დათო ტურაშვილის არც ერთი სვეტი არაა ზედაპირული და გულწრფელობას მოკლებული. მისი წერის

მანერა პუბლიცისტიკაშიც სრულად გადმოდის და ისეთივე სადა, ყველასთვის გასაგები და ლაკონური ენით გადმოგვცემს სათქმელს, როგორც ეს მის მხატვრულ ტექსტებშია გაცხადებული.

დათო ტურაშვილის სვეტებში სათქმელი ნათლადაა გამოხატული და მწერლის ღირებულებით პრიორიტეტებს წარმოაჩენს. მისი მთავარი საფიქრალი საქართველოს ევროპული არჩევანი და ამ გზაზე წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაა. ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ გზად ავტორს წარსულის გონივრული გააზრება და ამ გამოცდილებაზე დაფუძნებული მომავლის შენება მიაჩნია. აი, როგორ გამოხატავს იგი თავის აზრს ჩვენი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის თაობაზე:

„პირადად ჩემთვის მთავარია არა პიროვნული ფაქტორი, არამედ ევროპული ფასეულობები, რისი დამკვიდრებაც ძალიან გვიჭირს დამოუკიდებელ საქართველოში, რადგან სინამდვილეში თავისუფლება დემოკრატიულ ფასეულობებს ეფუძნება. ის პოლიტიკოსები კი, ვისაც დემოკრატია სისუსტე ჰგონია არა უზარმაზარი ძალა, ვერასოდეს შექმნიან ისეთ საქართველოს, რომელიც რუსეთის იმპერიას თავს დააღწევს და ევროპულ სახლში დაბრუნდება. მე კი მართლა ისეთ ევროპულ საქართველოში მინდა ცხოვრება, სადაც ყველა იმ ტრადიციას, თვისებასა და ღირებულებებს შევინარჩუნებთ, რომელსაც წარსულში ვქმნიდით, მაგრამ მომავალშიც გამოგვადგება...“ (16.04.2009, „24 საათი“, „მიშა თუ გრიშა“).

„ჩემი მოკრძალებული აზრით, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც „კავკასიური ცარცის წრე“ ისტორიული მოვლენაა - ეს არის ერთადერთი, საქართველოში ჩატარებული სასამართლო პროცესი, რომელმაც განაჩენი ხელისუფლების კარნახის გარეშე გამოიტანა. რამაზ ჩხიკვაძე კი არის ერთადერთი ქართველი მოსამართლე უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, ვინც ჩაწყობის, ანგარების და პირადი ინტერესის გარეშე მიღო სასამართლო გადაწყვეტილება....“ სპექტაკლის ამ შეფასებიდან დათო ტურაშვილი გადადის ქვეყანაში, სასამრთლო სისტემაში არსებულ რეალობაზე - „ახლა, როცა

ხელისუფლება ასეთი მონდომებით ერევა სასამართლოს საქმიანობაში, საქართველოში არ აღმოჩნდა ერთი მოსამართლე მაინც, ვინც ხმას აღიმაღლებდა ამ დიქტატის წინააღმდეგ...“ და შეტყობინების ბოლოს აჟღერებს მის მთავარ სათქმელს: „თუ ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ სასამართლოს გარეშე სახელმწიფოს ვერ შევქმნით, მაშინ მოსამართლეებმა უნდა თქვან უარი მორჩილებაზე და უნდა აჯანყდნენ... “ (7 დეკემბერი, 2004. 24 საათი).

დათო ტურაშვილის, როგორც მესვეტის, ხელწერის კიდევ ერთი თავისებურება მისი წერის მსუბუქი მანერაა - ის მძიმე პრობლემებზეც მსუბუქად და შთამბეჭდავად საუბრობს, ხშირად იუმორსაც მიმართავს, მაგრამ არასდროსაა ცინიკური. მისი მედიატექსტები ქართველი ხალხის წლობით მოუგვარებელი პრობლემების გამო დიდი გულისტკივილითა და წუხილითაა აღბეჭდილი.

„ჩვენ სხვადასხვა სკოლებში ვსწავლობდით და ამ განსხვავებას ძალიან ვგრძნობთ. მაგალითად, ჩვენს სკოლებში უკვე მესამე კლასში ვიცოდით, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. როგორც ჩანს, ამ მარტივ არითმეტიკულ ჭეშმარიტებას ყველგან არ ასწავლიდნენ. ზემოთქმულის დადასტურებაა ჩვენი მინისტრების გადანაცვლება სკამიდან სკამზე, ჩვენთვის უცნობი მიზეზითა და მიზნით. ყველაზე უცნაურია აღმოჩენა, რომელიც ამასობაში გავაკეთეთ - თურმე შეიძლება მართავდე რომელიმე სტრუქტურას ისე, რომ იმ რომელიმე სამინისტროსთან არც პროფესია გაკავშირებდეს და არც განათლება....“ მესვეტის მოსაზრებით არ მოაქვს შედეგი საკადრო გადაადგილებებს მენტალური ცვლილებების გარეშე... და მწერალი ერთ კურიოზულ ფაქტს იხსენებს ნოდარ დუმბაძის ცხოვრებიდან: „ერთხანს ნოდარ დუმბაძეს ხშირად უფუჭდებოდა ტელეფონი - ხაზი იყო დაზიანებული და უვარგისი. ძალიან რომ შეწუხდა, ერთ-ერთ შესაბამის მაღალჩინოსანს შესჩივლა. იმ მაღალჩინოსანმა მეორე დღესვე სიხარულით ამცნო: ბატონო ნოდარ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თქვენი რაიონის „ატეესის“ უფროსი გამოვცვალეთო. ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: „კაბელი“ გამოცვალეთ, თორემ ატეესის უფროსი უკვე მესამედ გამოცვალეთ და ჩვენი

ტელეფონი მაინც არ მუშაობსო“... მკითხველს მარტივად შეუძლია მიხვდეს ამ ჩანართის მიზანს და ავტორის მოსაზრებას: მთავარია კაბელის გამოცვლა, თორემ კიდევ დიდხანს მოგვიწევს ერთმანეთის წვალება... (1 მარტი, 2005, „24 საათი“)

არანაკლები პოპულარობა მოიპოვა დათო ტურაშვილის სვეტებმა ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“. ჟურნალი თავისი შინაარსით, ფორმით სრულიად ახალი სიტყვა იყო პოსტსაბჭოურ მედიასივრცეში. მწერლის სვეტებიც გამორჩეული იყო შინაარსითა და ორიგინალური ხელწერით. ნიმუშად ერთ მონაკვეთს შემოგთავაზებთ:

„საქართველოში გამოკითხულთა უმრავლესობა, რასაკვირველია, მაკკეინის გაპრეზიდენტების მომხრე იყო და, შესაძლოა, სწორედ იმ ცნობილი ფრაზის გამო, რომელიც მან რუსეთ-საქართველოს ომის დროს თქვა. თუმცა, ეჭვი მაქვს, რომ მაკკეინის სიყვარული საქართველოში სხვა ფაქტორებმა განაპირობა და უპირველესად ეს არის ილუზია, რომელიც საბჭოთა კავშირმა მემკვიდრეობით დაგვიტოვა. ჩვენ, ჯერ ისევ საბჭოთა ადამიანებს, დღემდე ისეთი ლიდერის მოლოდინი გვაქვს, რომელიც ჩვენს ნაცვლად ისწავლის, იშრომებს და სამაჩაბლოსაც დაგვიბრუნებს და აფხაზეთსაც. ალბათ მთავარი განსხვავებაც მონებისა და თავისუფალი ადამიანების ცნობიერებებს შორის სწორედ ეს არის - საკუთარი პასუხისმგებლობის შიში და ფუჭი იმედი იმისა, რომ ჩვენს გასაკეთებელს ვიღაც სხვა გააკეთებს. ობამას გაპრეზიდენტება კი, არათუ არ გვინდოდა, ვერც კი წარმოგვედგინა და ბოლომდე გვეგონა, რომ ამერიკელი რესპუბლიკელები რაღაცას აუცილებლად მოიფიქრებდნენ ობამას დასამარცხებლად.

ერთმა ჩემმა მეგობარმა (საქართველოს ხელისუფლებასთან საკმაოდ დაახლოებულია) ისიც კი მითხრა - შავკანიანის გამარჯვებას ამერიკელები უბრალოდ არ დაუშვებენო, - და თვითონ ისიც კი დაუშვა, რომ თუ გაჭირდებოდა, ბოლო-ბოლო არჩევნებსაც გააყალბებდნენ ამერიკაში. მაგრამ ამერიკა მართლა დემოკრატიული ქვეყანა აღმოჩნდა. ისიც აღმოჩნდა, რომ ჩვენ მართლა ძალიან შორსა ვართ დემოკრატიისა და ისეთი ფასეულობებისგან, რომელსაც თანამედროვე

სახელმწიფოები ეფუძნებიან. და თუ არა ხარ შინაგანად დემოკრატი და თავისუფალი ადამიანი, ვერც ვერასოდეს შექმნი დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანას. ყველაზე მთავარი პრობლემა კი ალბათ მაინც ჩვენი არჩევანია, რომელიც რეალურად ჯერ არ გაგვიკეთებია, რადგან არც გვჯერა, რომ დემოკრატია, სისუსტე კი არა, უზარმაზარი ძალაა და მგონი ამიტომაც გვეშინია თავისუფლების...“

ასეთია ავტორის გულახდილი დამოკიდებულება მისი თანადროულობისა და იმ ერთი კვირის აქტუალური თემის - აშშ-ში გასამართი საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ... ამ მოკლე, ტევად ტექსტში არაერთი საგულისხმო გზავნილის ამოკითხვა შეიძლება.. მისთვის დამახასიათებელი წერის მანერით - მსუბუქი, ადვილად გასაგები და მრავლისმთქმელი ფრაზებით მწერალი ჩვენს დაუძლეველ პრობლემებს ააშკარავებს..

ბასა ჯანიკაშვილი თავის სვეტებში ორიგინალურ ხელწერას გვთავაზობს. იგი თხრობისთვის ინტერვიუს ფორმას ირჩევს და ამ მობილური, დინამიური ჟანრის შესაძლებლობებს ეფექტურად იყენებს. „ბასა ჯანიკაშვილის შაბათობების“ სახელწოდებით წარმოდგენილ სვეტებში ყოველთვის საინტერესო თემებზეა საუბარი. თანაც, ავტორი სათქმელს არაორდინალური გზით - გამოგონილ რესპონდენტებთან საუბრის სახით გვეუბნება. მათ უცნაური სახელ - გვარები და სტატუსები აქვთ, თუმცა, მკითხველს არ გაუჭირდება ამ გამოგონილ პერსონაჟთა შარჟულ სახეებში თავისი თანამედროვეების ამოცნობა. ასე მაგალითად: ექიმი, ფსიქოლოგი, ატლანტიდის მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტი არმაზ მოდრეკილი; ყოფილი ჟურნალისტი, ამჟამად შანტაჟისტი და პროვოკატორი თენგო; არასამთავრობო ორგანიზაცია „დიალოგი უპირველეს ყოვლისას“ პრეზიდენტი, პოლიტ-ექსპერტი, ალექსანდრე მიტისკული; ვენის დასუფთავების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალფრედ ლევან შოინბერგი; საქართველოს პი არ ტექნოლოგიების წამყვანი სპეციალისტი სილიბისტრო დაბრეცილი...

ბასა ჯანიკაშვილის ერთ-ერთი სვეტში - „ინტერვიუ ოცდამეორე - აგენტები თუ არგენდობი“, რესპონდენტად შერჩეულია მოქალაქე, საპროტესტო ელექტორატის

აქტიური შიგთავსი (ახალი ტერმინია) ნუნუ სიმფონია. სვეტის ავტორი ასე წარმოგვიდგენს სტუმარს: „ქალბატონი ნუნუ სიმფონია 1988 წლიდან მიტინგებით ცხოვრობს. მისთვის სულერთი არ არის ქვეყნის ბედი თუ უბედობა. ჩემთან საუბარში არაჩვეულებრივი პრინციპულობა და სითამამე გამოიჩინა. რაც, რა თქმა უნდა, პატივსაცემია, მხოლოდ, დაეთანხმებით თუ არა ეს თქვენთვის მომინდვია“... და შემდეგ საუბარი კითხვა-პასუხის ფორმით გრძელდება. რესპონდენტი ქვეყნის ბედზეა დადარდიანებული და უპრინციპო პოლიტიკოსთა ბრალს ხედავს ყველა იმ პრობლემაში, რაც ხალხს თავს დაატყდა. სამწუხაროდ, უკეთესის მცირედ შანსსაც არ ტოვებს რესპოდენტის ბოლო რეპლიკა: „მინდა გადავცე ყველას, ნუ გეშინიათ, ყველაფერი ისედაც ცუდად იქნება“ (19 მაისი, 2009).

ბასა ჯანიკაშვილი ისევე, როგორც ჩემ მიერ დამოწმებული სხვა მესვეტეები, მიუხედავად სუბიექტური ხედვისა, შეულამაზებლად წარმოაჩენს რეალობას. ცხადია, ფაქტების უბრალო შერჩევა - გამოყოფაც კი სუბიექტური მომენტია, რასაც განაპირობებს ავტორის განწყობა, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, გემოვნება, განათლება, ერუდიცია და ა.შ. გამოგონილი რესპონდენტების პასუხები მესვეტის პასუხებია მისივე შეკითხვებზე, ყველაფერი მისი სუბიექტური თვალთახედვის გამოხატულებაა. ავტორის შეფასებები მისივე უშუალო განცდებია, სიმპათია-ანტიპათიაა და ავტორის პოზიციის, კონცეფციის, იდეების დასაბუთებას ემსახურება.

ბასა ჯანიკაშვილის სვეტები ორიგინალური ხელწერით გადმოცემული აღქმაა რეალობისა. მისი პოზიცია ნათელი, მომჭირნე თხრობით გულწრფელად გამოხატული ხედვაა არსებული პრობლემებისა.

საჭირბოროტო პრობლემებს შეეხეო ზაალ სამადაშვილი თავის საავტორო სვეტში „დელ პიეროს მაისური“ („24 საათი“, 11 იანვარი, 2003) იგი მოგვითხრობს 14 წლის ბიჭზე, რომელიც ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობს და თვეში ას დოლარზე ცოტა მეტს გამოიმუშავებს. ას დოლარს დედას აძლევს, ცოტა მეტს კი ინახავს საყვარელი საფეხბურთო გუნდის „იუვენტუსის“ მაისურის საყიდლად,

რადგან სკოლის ჩემპიონატში აპირებს მონაწილეობას. ბიჭი დარწმუნებულია, რომ ამ მაისურის წყალობით გოლებსაც გაიტანს და ახტომისას შემართულ ხელსაც ისე „გააშხუილებს ჰაერში, როგორც დელ პიერო“... 8 წლის იყო, მამა აფხაზეთის ომიდან რომ დაბრუნდა - პირველი დესანტი რომ გადასხეს ლესელიძეში, იქიდან მოყოლებული, სოხუმის დაცემამდე ომობდა. თერთმეტისა ხდებოდა, ისევ რომ წავიდა სახლიდან. ყოფილ მეომრებს დევნა და დატუსაღება დაუწყეს და მანაც გაქცევა არჩია ციხეში ჯდომას. ერთი წლის შემდეგ გაიგეს ბიჭმა და დედამისმა, რომ რუსეთში იმყოფებოდა, საიდანაც ყოველ სამ თვეში ერთხელ წერილს და ფულს აგზავნიდა. მაგრამ, ირკვევა, რომ „ასე გრძელდებოდა შარშანწინდლამდე. ბოლოს შარშანწინ, დეკემბრის პირველ რიცხვებში მოვიდა მისი გამოგზავნილი კაცი. მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.“

ძალზე ემოციურია სვეტის დასასრული. მწერალი მოულოდნელ და შთამბეჭდავ დასასრულს გვთავაზობს: შობის წინა დღეს, ბენზინის გასამართი სადგურის შემინული ჯიხურიდან თოთხმეტი წლის ბიჭი გამოდის. ტყავის ქურთუკი აცვია, ვიღაცის ნაქონი, ოდნავ განიერი და ოდნავ გრძელი... ისე დინჯად მიაბიჯებს, თითქოს ბათინკებში აჭყაპუნებული წყლის გამო სიცივეს ერთიანად არ ჰყავდეს ატანილი... ბიჭი ახალგაზრდა, ოპელიან კაცს შეხვდება და კონვერტს და ფულს გადასცემს. ეს კაცი ზუსტად სამ საათზე მივა ბიჭთან და დედამისთან, კონვერტს მაგიდაზე დადებს, დედას ტირილი აუვარდება, აქამდე დაძაბული ბიჭი კიდევ უფრო დაიძაბება და როცა დედის თვალებში სიხარულს ამოიკითხავს, ისეთივე გრძნობა დაეუფლება, როგორიც ელლე ლპი-ზე პირველად გასულ ალესანდრო დელ პიეროს...

ზაალ სამადაშვილის სვეტი მხატვრული ნაწარმოები უფროა, ვიდრე პუბლიცისტური წერილი, თუმცა ავტორი ამ ფორმით გადმოგვცემს მწარე რეალობას, რაც იმ წლების საქართველოში სუფევდა - აფხაზეთისა და სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი, სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, უყველაფრობა, უკიდურესი გაჭირვება, რომელთან გამკლავებაც უწევდა ოჯახების აბსოლუტურ

უმრავლესობას და მომავალი თაობის ოცნებების მსხვრევა. ავტორმა, ნაცნობისა და მარტივის ემოციური განზოგადებით, ქვეყნის და ხალხის წინაშე არსებული რთული და მნიშვნელოვანი პრობლემები კიდევ ერთხელ დაგვანახა...

ყველასათვის კარგად ცნობილი თანამედროვე ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე, იგივე გიო ახვლედიანი, 1995 წლიდან 2009 წლამდე სპორტულ გაზეთ „სარბიელში“ მოღვაწეობდა. მწერალი სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა სვეტებს სპორტის თითქმის ყველა სახეობის, უმეტესად კი ფეხბურთის შესახებ. 14 წლის განმავლობაში ათასობით სვეტი დაწერა. 2010, 2011, 2014 წლებში აკა მორჩილაძის სვეტები ჟურნალ „ლიბერალშიც“ იბეჭდებოდა. აკა მორჩილაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მესვეტეა, რომლის სვეტებიც წიგნად გამოიცა.

აკა მორჩილაძესთან საუბრისას, მისი, როგორც სპორტული სვეტის ავტორისა და ამ სფეროში მოღვაწეობის შესახებ ბევრი საინტერესო ასპექტი გამოიკვეთა. შევიტყვეთ, რომ უცხოურ გაზეთებს, უფრო ტაბლოიდებს კითხულობდა, ბევრგან უნახავს სპორტული სვეტი, რომელსაც, როგორც შემდეგ გაარკვია, მესვეტე კი წერდა, მაგრამ სპორტის ვარსკვლავების კარნახით. თავად სპორტი ძალიან უყვარს, ბევრს კითხულობდა სპორტის შესახებ და მასში კარგადაც ერკვეოდა. სპორტულ სვეტს, პოლიტიკურისგან განსხვავებით, სხვა ინტონაცია აქვს. მიიჩნევს, რომ სვეტი სუფთა ჟურნალისტიკა არ არის, წერ, რასაც გინდა და როგორც გინდა. არასდროს ყოფილა ბასრი და კრიტიკული, სპორტული თემატიკა ამის საშუალებას აძლევდა. მისი აზრით, ყველაზე მაგარი სპორტული ჟურნალისტები საქართველოს ჰყავს - წერითაც კარგად წერენ და პროფესიონალებიც არიან. „სარბიელიდან“ უამრავი სპორტული ტერმინი დამკვიდრდა და დღესაც რეპორტაჟები იმ ტერმინებით მიჰყავთ.

„მესვეტე გამართულად უნდა წერდეს, რაზეც წერს, იმ თემაში ექსპერტი უნდა იყოს. ეგ არის რეალურად. „კალამნისტი“ არის ექსპერტი, სერიოზული კაცი, ოდესღაც ჟურნალისტი რომ იყო და მერე მაღლა წავიდა, მესვეტე გახდა. ისინი არა მარტო საკითხის ღრმა ცოდნას, არამედ პირველი ხელის ინფორმაციას ფლობენ.

კარგი მესვეტე, მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით, სუბიექტურ შეფასებას წერს. მესვეტე არის ექსპერტი, რომელმაც კარგი წერა იცის.“

და ისიც მრავალი წლის განმავლობაში ანებივრებდა სპორტის მოყვარულებს, და არა მარტო მათ, გამორჩეული, თვითმყოფადი სვეტებით, რომლებიც მხატვრული ნაწარმოებები უფროა, ვიდრე უბრალოდ საგაზეთო სპორტული მიმოხილვები. სვეტების სათაურებიც კი მხატვრული დატვირთვისაა: „წყალი და ბალახი“, „არაფერი პირადი“, „აჰმეთს ინგლისის არ სჯერა“, „ვედრების დრო“, „კაცი და ბუ“, „წინა კვირის ამბავს შეიტყობდით: კოლუმბიის ჩემპიონატის მატჩში „ხუნიორსი“ ხვდებოდა „პერეირას“ და ა.შ.

„მოედანზე მოულოდნელად შემობანცალდა ბუ, რომელიც მთლად ჯანმრთელად ვერ ყოფილა. საბრალო ბუ მოედნის კიდეზე იჯდა დაბნეული, როცა ბურთი მოხვდა, რამაც კიდევ უფრო დააბურბუსალა. მოთამაშეებმა ბუ სწორედ ამ მომენტის შემდეგ შეამჩნიეს. სანამ მსაჯი სათამაშო ამბებს არკვევდა, „პერეირას“ ფეხბურთელი, ტომით პანამელი ლუის მორენო, ბუსთან მივიდა, ფეხი ამოჰკრა და მოედნიდან გაისროლა, აქაოდა, თამაშში ხელს გვიშლისო. ამან აღაშფოთა „ხუნიორსის“ გულშემატკივარი. ბუ მათი კლუბის თილისმა გამოდგა, რომელიც მოედნის კიდეზე ჰყავდათ ჩამოსკუპებული. მორენომ მოიბოდიშა, სულაც არ ვიცოდი, რომ თქვენი თილისმა იყოო. ბუ საავადმყოფოში გარდაიცვალა მეორე დღეს, როგორც გადმოსცეს, უფრო მიყენებული შოკისგან ვეღარ მოიხედა...“ ჟურნალ „ლიბერალის“ 2011 წლის 14-20 მარტის ნომრიდან მოხმობილი ეს ნაწყვეტი სავსებით საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით უბრალო სპორტული ამბავი ასე საინტერესოდ და დამაჯერებლად გადმოსცე.

„ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ოდესმე ვინმე შეკრებდა და გამოსცემდა ამ ლიბერალურ საფეხბურთო მზესუმზირას. რახან მოხდა და ასე გამოდის, ალბათ ეს წიგნაკი არაფერს დააშავებს და მზესუმზირადაც ივარგებს, სახალისოდაც და ახლო წარსულის სურათებსაც გაახსენებს მის გადამფურცლავ ფეხბურთის მოყვარულ ხალხს...“ (აკა მორჩილაძე) - ასე შეაფასა თავად ავტორმა ტომებად გამოცემული მის

სპორტული სვეტები და მათთაც კი, ვისთვისაც სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი არც ისეთი მიმზიდველი თემაა, აკა მორჩილაძის სპორტული სვეტი სახალისო, მსუბუქი, სიამოვნებით წასაკითხია. ყველა სვეტს ეტყობა, რომ სპორტული კომენტატორი კი არა, მწერალი წერს.

აკა მორჩილაძის სპორტულ სვეტებში მსოფლიოს სპორტული ცხოვრების ამსახველი ფაქტობრივი მასალა მხატვრული ელემენტებითაა გაჯერებული და თხრობის გადამდები სისადავით გამოირჩევა. კვლავ დავიმოწმებთ ნიმუშს:

„აჰმეთს ინგლისის არ სჯერა“

„ეგებ სჯობია, რომ ინგლისის ნაკრებმა არ ითამაშოს ხოლმე საშიანაო თამაშები, განსაკუთრებით - ამხანაგური და განსაკუთრებით - მსოფლიო ჩემპიონატის წინ. თორემ ყოველთვის ასეა ხოლმე: გამოვა გუნდი „უემბლიზე“ და ვერ თამაშობს, უფრო სწორად, ამხანაგურში რა უნდა ითამაშო: თამაშს ვერ აჩვენებს და არის ერთი სჯა-ბაასი, - შარშან რომ კარგად ვთამაშობდით, ახლა რა დაგვემართაო... საერთოდ ინგლისის ცუდად თამაში ის არის ხოლმე, რომ ფეხბურთელები დაიზლაზნებიან. ინგლისელების ყურება ჩქარი თამაშის გარეშე საშინელებაა. სხვანაირი თამაში არც იციან და არც მიაჩნიათ სწორად... მსოფლიოში ბევრ გუნდს არ ეყოლება ისეთი მწვრთნელი, როგორც ინგლისს უშოვნია. ფაბიო კაპელო. გაგრძელება კი საჭირო არ არის. კაპელო და მორჩა... კაპელომ თქვა, - ოჯახობა, გელფრენდები და ასეთი რამეები აფრიკაში არ დავინახოო... მოკლედ ინგლისი ემზადება. კაპელოს ხელში, სადილზე სპორტულებით ვერ ჩახვალ, და საერთოდ, შორტებით ტანტალი და ინგლისელთათვის ტრადიციული ბანქოს თამაში თავისუფალ დროს დამთავრებულია. სამაგიეროდ მსოფლიო ჩემპიონატი იწყება“ (31 მაისი-6 ივნისი, 2010წ. ჟურნალი „ლიბერალი“).

თემატური მრავალფეროვანებით გამოირჩევა გაზეთ „24 საათში“ დაბეჭდილი ლაშა ბუღაძის სვეტები. ავტორი წერს ყველაფერზე, რაც მას აინტერესებს, აწუხებს და რაც საზოგადოებისთვისაც აქტუალურია. თუმცა, მწერლის მთავარი მიზანი სხვა მესვეტეთა და გაზეთის პუბლიკაციათა კრიტიკაა. მისი ხელწერა სარკასტულია და

პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშან-თვისებას აერთიანებს. თავის ერთ-ერთ სვეტში - „ღია წერილი ნოდარ ლადარიას“ (2005 წლის 28 მარტი, გაზეთი „24 საათი“) მწერალი საკუთარ მცდელობას ასე აფასებს:

„ღია წერილი ნოდარ ლადარიას“ (2005 წლის 28 მარტი, გაზეთი „24 საათი“) „ბატონო ნოდარ, როგორც მოგეხსენებათ, ბოლო ორი თვეა „24 საათის“ ავტორების სვეტებისა და სტატიების პაროდიებს ვწერ. ვის აღარ შეეხო ჩემი მახვილი კალამი, ვის აღარ ჩამოვხსენი სახიდან ნიღაბი!... ბუნებრივია, თქვენი სტატიების პაროდიების ჯერიც დადგა, მაგრამ მე იმდენად დიდ პატივს ვცემ თქვენს ერუდიციას, და ისე მეშინია თქვენი სავარაუდო პასუხის ორშაბათის ნომერში, რომ უმალ სიკვდილი მირჩევნია, ვინემ თქვენი სპეტაკი, სუფთა და ლაკონური სტილის ქილიკი.

ამას წინათ, ქუჩაში მოგკარით თვალი - მის უწმინდესობა პადრე არკანჯელო კოსტაკურტას ესაუბრებოდით. ალბათ იტალიურად, ხომ? ვგონებ, საკატლეტე „ნიკალასთან“ იდექით და სწორედ ამან განმაცვიფრა: ასეთი სცენის ხილვას მხოლოდ სიზმრად თუ შევძლებდი - ქართველი ინტელექტუალი და პადრე არკანჯელო კოსტაკურტა საკატლეტე ნიკალას საფეხურებთან! რატომ ხართ ასეთი ინტელექტუალური? (მესმის, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო შეკითხვაა, მაგრამ, დამიჯერეთ, გულწრფელი აღტაცებით აღსავსე). თქვენი მეგობრებიც თქვენნაირები არიან? ემზარ ჯგერენაია თქვენი მეგობარია? ისიც ხომ ინტელექტუალია. თუკი მართლა მეგრელები ხართ, ზვიადისტები რატომ არ ხართ? თუ სინამდვილეში ხართ და გვიმალავთ?! რა დამავიწყებს როგორ ამუნათებდით მადი სერებრიაკოვას, - „ძ“ და „ხ“ რო ერეოდა და „შ“ და „წ“. მართლაც, რა უბედურებაა, ამისთანა ჟურნალისტებს როგორ აჩერებენ „24 საათში“! არც სხვები დაინდეთ! აი, ნინია კაკაბაძე კი მოგწონთ, ვერაფერს იტყვი (მოგეწონებათ, აბა, რა! სვეტებს ხომ თქვენი მონა-მორჩილი უწერს). მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ შეგბედეთ მსუბუქი პაროდიაც კი, მაგრამ არ შემიძლია არ დაგისვათ შეკითხვა, რომელიც კარგა ხანია გულს და სულს მიღრღნის: ბატონო ნოდარ, არ დაგვღუპოთ, ხომ ნამდვილად მართლმადიდებელი ხართ?..“

მთელი 2009 წლის განმავლობაში ლ. ბუღაძის სვეტები გაზეთში იბეჭდება რუბრიკით - „კომენტარები მთავარზე“. მის დაუნდობელ კრიტიკას არაერთი პოლიტიკოსი გამოუყვანია მკითხველი აუდიტორიის სამსჯავროზე. მესვეტის მიერ გამათრახებულთა შორის თვით პრეზიდენტიც გვევლინება, თავის გარემოცვიანად. 2009 წლის 1 მაისის მრავლისმთქმელ სვეტში, სათაურით - „პრეზიდენტის სიზმარი“ ლაშა ბუღაძე მიხეილ სააკაშვილის მმართველობის სტილსა და დაშვებულ შეცდომებზე, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ილია ჭავჭავაძეს ალაპარაკებს:

2009 წლის 1 მაისი, „პრეზიდენტის სიზმარი“ :

„რამდენიმე დღის წინ ილია ჭავჭავაძე დასიზმრებია პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა საქართველოს პრეზიდენტს ილია ჭავჭავაძე ესიზმრება... ილია კარგად ყოფილა ინფორმირებული დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის შესახებ. სწორედ ამ კრიზისზე წაუკითხავს ლექცია პრეზიდენტისთვის: „მიხეილ, გენაცვალე“, - უთქვამს ილიას, „იცოდე, ბევრად უფრო მეტი ხალხია შენდამი კრიტიკული, ვინემ ეს მიტინგებზე ჩანს. ხალხს ცვლილებები და სამართალი უნდა... მიეც ამ ხალხს ახალი საარჩევნო კოდექსი, დაჰკა პანღური ამჟამინდელ საარჩევნო კომისიას, რომლის მიმართაც ეგზომი უნდობლობაა, შეამცირებინე თავი, ვითარცა პრეზიდენტმა, რომ მომავალში მაინც არ გადაგაგდონ, დასთანხმდი ხელისუფლების დაბალანსებას და დემოკრატი ვარო, რომ გაიძახი, სრულყოფილი დემოკრატი იყავ მაშინ!... მეტი რა ვქნა, შენ დაგესიზმრე და არა იმ მესაკნეს, ამ დროს, ყოველღამ მითხოვს, დამესიზმრეო... მაინც შენ გეცი ამ ეტაპზე პატივი. თუმცა გაფრთხილებ - კოშმარებსაც მოგივლენ, თუკი ჩემს ნათქვამს არ შეისმენ!...“

ასე ლაკონურად, ორიგინალურად მიუთითა ავტორმა უმაღლეს ხელისუფალს. ეს რჩევაც იყო და გაფრთხილებაც, რასაც არც მაშინდელი და არც ახლანდელი ხელისუფალი ყურად არ იღებს, არაფრად დაგიდევს კრიტიკას, ხალხის აზრს და არც ინტელექტუალთა შეგონებები უღირს რამედ. მიზეზი ამ ყველაფრისა კონკრეტულ პიროვნებებში კი არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ, არამედ საზოგადო სენზე უნდა მივუთითოთ. ყველაფერში დამნაშავე თავად ჩვენ ვართ, საზოგადოება და ეს

აზრია სწორედ გამოხატული ლაშა ბუღაძის მორიგ სვეტში - „უბედნიერესი ერი“, რომელიც 2009 წლის 8 მაისს, იმავე რუბრიკით დაიბეჭდა. ამონარიდი, რომელსაც დავიმოწმებთ მწერლის უმწვავესი რეაქციაა ქვეყანაში არსებულ სავალალო ვითარებაზე:

„არცერთი მხარე არ არის ორიენტირებული პოზიტივზე... ერთადერთი ორიენტირი - ძალადობაა. სიმშვიდე და რაციონალიზმი არააქტუალურია. კომპრომისისკენ მოწოდება - ღალატი და სისუსტის მაჩვენებელი... ყოველთვის ასეა, მთავარია პიროვნულად დავრჩეთ გამარჯვებულები, ეს უიღბლო ქვეყანა კი ჯანდაბამდეც წასულა! რა საშინელი ხალხი ვართ, რა საშინელი უფროსები გვყავს! ჩვენი ისტორია ჩვენივე იდიოტიზმის და ეგოცენტრიზმის ისტორიაა. მაგრამ ხომ იცით, რაც უფრო იდიოტია ადამიანი, ის მით უფრო ბედნიერია. თუ არ მენდობით, კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ი. ჭავჭავძის „ბედნიერი ერი“.

2009 წლის 3 აპრილი - „დისციპლინა“

„ოცი წელიწადია მიტინგზე ვდგავართ... მიტინგი ჩვენი საქმეა. ჩვენ როგორც სამსახურში, ისე მივდივართ აქციაზე და არა მხოლოდ პროტესტის გამოსახატავად. ჩვენი საერთო-სახალხო სამსახურია მიტინგი - ჭეშმარიტი სამსახური, რომელიც ყოველთვის გველის და რომელიც დაუსრულებელია... ქართველი მორალური უპირატესობის განცდით მიდის მიტინგზე და არა ვიტრინების ჩასალეწად. ქართველი იქ იმიტომ მიდის, რომ ცუდ მიკროფონებში ზნეობაზე ილაპარაკოს. თვითშეფასება იქ ქართველს მაღალი აქვს. ჩვენ იქ კარგები ვართ, მიტინგი გვაწმინდანებს და გვაგმირებს... მაგრამ მხოლოდ მიტინგი არ არის ჩვენი საქმე. ჩვენი საქმე ტელევიზორიცაა... ჩვენ საქმიანად ვუყურებთ ტელევიზორს, ვინაიდან სხვა საქმე არა გვაქვს. არც სხვა საქმე და არც სხვა გზა. ტელევიზორი გორბაჩოვმა გვაჩუქა და მას მერე ის ჩვენი ბედისწერაა. ამიტომაც არის საკანი №5 წმინდა ქართული პროექტი... პატარა კრიმინალი მეტაფიზიკოსი გველუკაშვილი ხომ ყველა ჩვენგანშია, პრეზიდენტ სააკაშვილით დაწყებული, რომელიმე მეუფით გაგრძელებული და, შესაძლოა, თვით ნანი ბრეგვაძით დამთავრებული. რაღაცნაირი „ქურდობის“ მოწიწება, როგორც ჩანს, მაინც ყველას გვაქვს. ასეთია ჩვენი

მენტალიტეტი ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან. საკანი №5 კი ამ მხრივადაც უზუსტესია: მისი მთავარი გმირი, როგორც უმაღლესი კანონიერი ქურდი, ისე ზის ოთხ კედელს შორის გამოკეტილი და ჩვენ, ქართველ კვაზი-მოქალაქეებს გვიბარებს. და ჩვენც მივდივართ. მივდივართ, რადგან სხვა წასასვლელი არა გვაქვს. მიტინგი გვიხმობს, ტელევიზორი გვიხმობს, ავტორიტეტები გვიხმობენ. ეს მოჯადოებული წრეა, რომლის შუაგულშიც დიდი, ეროვნული მაგნიტი დევს...“

2009 წლის 10 აპრილი, „ნუ გეშინიათ 9 აპრილის“

„საშიში 13-14-15-16-17 აპრილია. 17 განსაკუთრებით! შვიდიანი ფიგურირებს. არ მესმის რატომ ეშინიათ წლევანდელი 9 აპრილის! პირველი მიტინგი ხომ არასდროს არ არის საშიში. პირველი მიტინგი დღესასწაულია... დიდ დაბადების დღეს ჰგავს, დიდ საერთო-ეროვნულ ქორწილს... ცნობილებს უბრალო ხალხი ეხვევა გარს, მათ მადლობას უხდის (კაცმა არ იცის ოღონდ, რის გამო), ნაცნობები ერთურთს ნახულობენ, ელიტებიც ერთად დგანან, მიკროფონებისგან მოშორებით... ესენი არ უსმენენ გამომსვლელებს, გამომსვლელებს მოსახლეობის არაელიტური ნაწილი უსმენს... პირველ მიტინგზე ყველა მშვიდადაა. ისინიც კი მშვიდად არიან, ვის წინააღმდეგაც იმართება დემონსტრაცია.. მიტინგი მას შემდეგ ხდება სახიფათო, როცა ხალხი იღლება... როცა ელიტებს მიტინგზე მისვლა ეზარებათ („ხომ მოვიხადე უკვე ჩემი ვალი!“), როცა გამომსვლელებს აღარაფერი რჩებათ სათქმელი, როცა მეასეჯერ იმღერებენ ერთი და იგივე სიმღერებს და როცა მხოლოდ ნაწილია ქუჩის ხალხით შევსებული... ასეთ დროს იღლებიან მიტინგის რისხვის ობიექტებიც!... 13-14-15-16-17-ში ყველა დაიღლება, ყველა გაღიზიანდება, ტვინიც ცუდად იმუშავებს... ამ დღეებში ჩემთვის მთავარი სიტყვა „კომპრომისი“ იქნება. „კომპრომისი“ ორივე მხრიდან! იქნებ სწორედ ამ სიტყვამ გაარღვიოს 9 აპრილის მოჯადებული წრე?!“

2009 წლის 17 აპრილი, „მომავლის მიტინგი“ :

„მომავლის მიტინგზე მკაფიოდ ვხედავ შემდეგნაირ ლოზუნგს: „ძირს ბესელიას კრიმინალური ბანდები! გავათავისუფლოთ უშიშროება ბესელიას, გუნცაძის და კუკავას კლანჭებისგან!“ ვხედავ, ასევე, ოპოზიციონერ სააკაშვილსაც, ავლაბრის რეზიდენციის ჭიშკართან... და მისი ხმაც კი მესმის: „თვითმარქვია პრეზიდენტმა გუბაზ სანიკიძემ ჩამოიყვანა თავისი კერძო დირიჟაბლით რუსი დიეტოლოგი და მემასაჟე რაისა...“ ...მომავლიდან ჩამესმის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას ღაღადისიც: „ჩვენ ამათ არ უნდა ვაპატიოთ კასპის ინციდენტი (ჯერ არ ვიცით ეს რა ინციდენტია, შემდეგ წლებში გავიგებთ), სანიკიძემ ომში ჩაგვითრია რუსეთთან და სამარცხვინოდ დაგვაკარგვინა „ქვემო აფხაზეთი!““... ვხედავ ასეთ ლოზუნგსაც: „გუბაზ სანიკიძის მთავრობას და თანასწორობის ინსტიტუტელებს პატრიარქის მოწამვლა უნდათ!“... იქვე მესმის ნინო ბურჯანაძის ხმაც: ხალხო, მე უკვე მერვედ ვიყავი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ ვერცერთხელ ვერ დაგიცავით... ამიტომ ღირსი ვარ ამ სტვენის! დამისტვინეთ!... და ვხედავ, ცხადია, ჩემს ხალხს, ჩემს ჯიუტ ხალხს, უწყვეტ მიტინგზე მდგომს გაუნძრევლად...“

2009 წლის 27 აპრილი, „გთხოვ არ გადართო!“

„ვფიქრობ, მივაგენი გამოსავალს. რაკი რეალურ დიალოგზე ჯიუტად არ მიდის არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია, ამიტომ დაძაბულობის განმუხტვის ერთადერთ გზად გამარჯვების და დათმობის ილუზიის შექმნა მესახება. დაპირისპირებულმა მხარეებმა მათთვის მისაღებ მედია-რეალობაში უნდა მიაღწიონ მარცხსაც და გამარჯვებასაც. ანუ: პეზიდენტი სააკაშვილი ტელეკომპანია „მაესტროს“ მაყურებლისთვის უნდა გადადგეს. „მაესტროს“ ეთერშივე მოუხადოს ხალხს ბოდიში და თქვას: „მე გადავდექი, სახლში მივდივარ“. უცნობმაც, თუკი რეალურად არა, მედია-რეალობაში მაინც მიაღწიოს სრულ გამარჯვებას, - ხომ უნდა შეძლოს, ბოლო-ბოლო, ამ ადამიანმა სახლში წასვლა!... „მაესტროს“ მაყურებლისთვისვე უნდა აირჩიონ ახალი პრეზიდენტიც და იმავე ეთერში დაიწყოს სააკაშვილმაც თავისი ოპოზიციური მოძრაობა... „რუსთავი 2 ზე“-კი ისევ

ატაროს მთავრობის სხდომები, „რუსთავი 2“-ისთვის ისევ პრეზიდენტად დარჩეს: ვეება, უსაზღვრო, ყოვლისმომცველი უფლებებით... ასე, რომ ყველაფერი დალაგებადია. მთავარია, არხიდან არხზე არ გადავრთოთ და ერთ მედია-რეალობას ვუერთგულოთ. ყველა თავ-თავის ტელეკომპანიას უნდა ენდოს! დაიმახსოვრეთ, სხვა არხზე გადართვა და დაეჭვება ერთი იქნება...“

2009 წლის 15 მაისი - კომენტარები მთავარზე - „ისტორია და მოწოდება“

„ვერ გამიგია, რას მიკეთებს ასეთ დროს ქალაქის მერია?... რატომ უნდა ჩაიხრჩოს თბილისის ცენტრი ნეხვში და ნაგავში? მენაგვეებს სცემენო... არავის არ სცემს ადამიანს მენაგვეობის გამო! „შეფარულ“ და „ფსევდო-მენაგვეზე“ რა მოგახსენოთ... თუკი მენაგვეების მიშვებისა გეშინიათ, სთხოვეთ მღვდლებს (არ ვხუმრობ),... შეჰყვნენ მენაგვეებს მამაოებიც, ან მამაოებივით გადაცვით მენაგვეებს და ისე შეუშვით (ქვეტექსტების ამოკითხვას ნუ შეეცდებით, სრული სერიოზულობით ვწერ)! გამოიყენეთ აქაც ეკლესიის ავტორიტეტი! თუ უკვე აღარ ითვლება ეს ქუჩები თბილისის ნაწილად?“.

შეიძლება ითქვას, რომ ლაშა ბუღაძის სვეტებში თანადროულობის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და აქტუალური საკითხია განხილული. ავტორი თავის ჩვეულ სტილს არც ამჯერად ღალატობს და ირონიით, ნართაულად, სხარტი, მოქნილი ენით გადმოგვცემს საკუთარ სათქმელს, რომელიც მრავალთა თვალსაზრისსაც ეხმიანება.

ამგვარად, ჩემ მიერ შერჩეული მწერალ-მესვეტეთა ტექსტების ანალიზმა დაადასტურა ნაშრომის მიზანდასახულობა და ჩვენი ვარაუდი, რომ თანამედროვე ქართველი მწერლები „სვეტის“ ჟანრობრივ ფორმას ეფექტიანად იყენებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების აქტუალურ პრობლემატიკაზე მსჯელობისთვის; ცალკეულ საკითხებთან მიმართებით საკუთარი კრიტიკული თვალსაზრისის დაფიქსირებისა და აუდიტორიის მიმხრობისთვის.

კიდევ ერთხელ წარმოჩნდა სვეტის, როგორც პოპულარული ჟურნალისტური ფორმის ქმედითუნარიანობა. მისი მომარჯვებით ქართველი მწერლები ახერხებენ

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემატიკის წარმოჩენას. ორიგინალური ხელწერით, განსხვავებული სტილითა და მდიდარი მხატვრული აქსესუარით გამორჩეული მედიატექსტები ცხადყოფს წარმოდგენილი ჟანრის სიცოცხლისუნარიანობას და მის ეფექტიანობას საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების აქცენტირებისათვის, რაც მათი მოგვარებისკენაა მიმართული. ეს კი, უპირველესად, მწერლის სამოქალაქო პოზიციით გაცხადებული სურვილი და ძალისხმევაა.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში „სვეტის ტრანსფორმაცია ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში“ მიზნად დავისახე, მეჩვენებინა სვეტის, როგორც ჟურნალისტური ჟანრის განვითარების საფეხურები და მის ავტორთა - ე.წ. მესვეტეთა შემოქმედებითი თავისებურებანი. ნაშრომის აქტუალურობას ზრდის ის ფაქტიც, რომ საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი ქართველი მკვლევრების მიერ და მისი კომპლექსური კვლევა, დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრების კონტექსტში წარმოჩენა, უთუოდ გაამდიდრებს ამ კუთხით არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებად შეიძლება მივიჩნიო მცდელობა, კონკრეტული ჟურნალისტური შემოქმედების ფორმა, მისი განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესი, დროში უწყვეტად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მეჩვენებინა. ამავდროულად, წარმომეჩინა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, ის წინააღმდეგობრივი გარემო, რომელშიც მედიას უხდებოდა ოპერირება. მეჩვენებინა აგრეთვე დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრების რთული პროცესი და მისი ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა

იდენტიფიცირება სწორედ მესვეტეთა თვალსაზრისის გამომხატველი ტექსტებითაა შესაძლებელი.

ჩემ მიერ საკვლევად შერჩეული პერიოდული გამოცემების რაოდენობრივმა ანალიზმა, სვეტების ნიმუშების განხილვამ და მათ ავტორებთან სიღრმისეულმა ინტერვიუებმა დაადასტურა ნაშრომის მიზანდასახულობა და ვარაუდი, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შესაძლობლობამ ბიძგი მისცა პრესის დემოკრატიზაციის პროცესს, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მედიატექსტების ფორმისა და შინაარსის ცვლილებას. ჟურნალისტები და მწერლები „სვეტის" ჟანრობრივ ფორმას ეფექტურად იყენებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების აქტუალურ პრობლემატიკაზე მსჯელობისთვის; ცალკეულ საკითხებთან მიმართებით საკუთარი კრიტიკული თვალსაზრისის დაფიქსირებისა და აუდიტორიის მიმხრობისთვის.

ქართული პრესის დამოუკიდებლობის სათავეებიდანვე ბეჭდურ მედიაში გაჩნდა განსხვავებული ჟანრები, ფორმები, მათ შორის, ცხადია, სვეტებიც. მათი ავტორები მაქსიმალურად სარგებლობდნენ ახლადბოძებული თავისუფლებით და ქმნიდნენ ისეთ ტექსტებს, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებოდა საბჭოთა პერიოდის პრესის შინაარსისგან. მათ ჰქონდათ ამბიცია, შეექმნათ საჭოთა პერიოდის ალტერნატიული პროდუქტი და ამისთვის იყენებდნენ სვეტის ფორმატს, სტილს, მესვეტის უნარ-ჩვევებს; ორიგინალური ხელწერით სთავაზობდნენ მკითხველს გულწრფელობით გამორჩეულ სუბიექტურ მოსაზრებებს, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, სპორტულ მოვლენებსა თუ სხვა საჭირბოროტო პრობლემებზე.

კვლევის ძირითადი მიზნის მისაღწევად შევისწავლე ქართული პრესის დემოკრატიზაციის დასაწყისიდან დღემდე არსებული არაერთი გამოცემა და მათში გამოქვეყნებული სვეტების მრავალრიცხოვანი ნიმუშები. მათზე დაკვირვების შედეგად პასუხი გავეცი ნაშრომის შესავალში ჩამოყალიბებულ საკვლევ კითხვებს. კვლევით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, პასუხები ასე ჩამოყალიბდა:

- ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესმა დიდი გავლენა მოახდინა ბეჭდვითი მედიის შინაარსსა და მედიატექსტების ფორმის ცვლილებაზე. მედიის დემოკრატიზაციის პროცესი, პირველ რიგში, გამოიხატა მედიაპლურალიზმითა და მისთვის დამახასიათებელი სახალხო ფორუმების დამკვიდრებით. მედია იქცა ერთგვარი პოლიტიკური განათლების აგენტად, რომელსაც უნდა ეტვირთა პასუხისმგებლობა და ფართო მასებამდე უნდა მიეტანა მისთვის სასარგებლო ინფორმაცია, განემარტა მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელობა და სარგებლიანობა. ამგვარ შინაარსს, ცხადია, თავისი ყალიბი სჭირდებოდა, გამოხატვის ეფექტური ფორმატი. ასეთი ფორმა აღმოჩნდა სვეტი, თავისი სხვადასხვაგვარი გამოვლინებით.
- პერიოდულ გამოცემებში გაჩნდა ახალი ჟანრობრივი სახესხვაობები. თანდათან ფეხს იკიდებდა დასავლური მედიადისკურსისთვის დამახასიათებელი ხელწერა და თვითგამოხატვის მანერა. მართალია, გაბატონდა ოპეტარიული ჟანრები, კერძოდ, ნიუსი (ახალი ამბავი), თუმცა პოპულარობით მას არ ჩამოუვარდებოდა დასავლურ ჟურნალისტურ პრაქტიკაში მყარად დამკვიდრებული სვეტი. მისი წანამძღვრები შეგვიძლია წარსული დროის ჟურნალისტურ გამოცდილებაშიც ვეძიოთ.
- ქართულ პრესაში ახალდამკვიდრებული ინოვაციური ჟურნალისტური ჟანრი - სვეტი თავიდან შორეულად მოგაგონებდათ თავის დასავლელ „წინამორბედს“ - აკლდა ანალიტიზმი, ავტორის სუბიექტურ ხედვას ფაქტების კონსტატაცია სჭარბობდა. თუმცა, იცვლებოდა, თანდათან სრულყოფდა შინაარსსაც და უფრო მეტად პრობლემებზე ხდებოდა ორიენტირებული. ჩვენში აქტიურად გამოიყენებოდა საავტორო და რედაქტორის სვეტები, რაც რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით იყო განპირობებული.

- მესვეტეები თავიანთი თვალთახედვის ქვეშ აქცევდნენ საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემურ საკითხებს. მათ ტექსტებში სჭარბობდა კრიტიკული პათოსი, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პამფლეტურობა. ქართველი მესვეტის ყურადღება სწორედ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეა გამახვილებული. მათ მხედველობიდან არ ეპარებათ ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი, საჭირბოროტო თემა, რაც კონკრეტულ პერიოდში საზოგადოებისთვის იყო აქტუალური.
- ქართველი მესვეტეები თვითგამოხატვისთვის მიმართავენ ყველა იმ ხერხს, რითაც სვეტი გამოირჩევა - ამგვარ მედიატექსტებში შენარჩუნებულია დოკუმენტურობა, ფაქტობრიობა, თუმცა მსჯელობა ყოველთვის სუბიექტური თვალთახედვით მიმდინარეობს.
- სვეტის ავტორები სუბიექტური „მეს“ წარმოსაჩენად ეფექტურად იყენებენ მხატვრულ-პუბლიცისტურ ელემენტებს, განსაკუთრებით, ჟანრისთვის დამახასიათებელ სტილურ ნიშნებს: ირონიასა და სატირის ელემენტებს. განსაკუთრებით ეს ითქმის სამწერლო მესვეტეობაზე. მწერალი-მესვეტის შემოქმედებითი არსენალი გაცილებით მდიდარია, თხრობა კი მეტად დამაჯერებელი, რაც მათ საკუთარი პოზიციის მართებულობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად ეხმარებათ.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე დამესაბუთებინა, რომ პრესის დემოკრატიზაციის პროცესმა გამოიწვია ახალი, საბჭოთა გამოცდილებისგან სრულიად განსხვავებული, ინოვაციური ჟურნალისტური ფორმის, სვეტის წარმოქმნა, რასაც აქტიურად იყენებდნენ როგორც ჟურნალისტები, ასევე ქართველი მწერლები. გარკვეული პერიოდის შემდეგ სვეტმა ტრანსფორმაცია განიცადა და ბლოგის სახე მიიღო. მან ბეჭდვით მედიასთან ერთად, ონლაინმედიაშიც გადაინაცვლა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საავტორო სვეტს, გარდა ინფორმაციული და პუბლიცისტური დანიშნულებისა, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული

დანიშნულებაც ეკისრება. ეს გამოიხატება პოტენციურ მკითხველზე მისი ზეგავლენის ამპლიტუდაში. ამდენად, საზოგადოებაში მიმდინარე სოციო-პოლიტიკურ პროცესებზე საავტორო სვეტისა და მისი სახესხვაობების ზემოქმედების მიმართებათა შესწავლა საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, როგორც ჟურნალისტიკის მკვლევართათვის, ასევე აღნიშნულ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის.

ჩატარებული ძიებისა და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ სვეტი, უფრო კი საავტორო სვეტი, არსებითად არ წარმოადგენს ახალ ჟანრს პუბლიცისტიკაში. მისი ფორმა და სტილი ქართულ პრესაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე სვეტი აქტიურად იმკვიდრებს ადგილს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. იგი სულ უფრო მეტად საცნაური ხდება ფართო მკითხველისთვის.

ნაშრომის პირველ თავებში „კალამნისტიკის“ არსის განსაზღვრისა და ქართულ და უცხოურ პრესაში გავრცელებული სვეტების ნაირსახეობების წარმოჩენის შემდეგ, შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ვიმსჯელე დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პროცესის სირთულეებზე ახალ ქართულ მედიაში. გამოიკვეთა მისი პოლარიზებული პლურალისტული ხასიათი, რაც ზუსტად შეესაბამება დასაწყისშივე თეორიულ ბაზისად მოხმობილ ჰალინისა და მანჩინის თეორიას, კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის მედიამოდელს. ამ თეორიის ჭრილში ავაგე მსჯელობა დემოკრატიზაციის პროცესის მედიაკლიმატის შესახებ. აღნიშნულმა გარემომ დიდწილად განაპირობა მედიის ხასიათი და მისი ჟანრობრივი თავისებურებაც. სწორედ პოლიტიკურ თვალსაზრისთა ჭიდილში ვითარდებოდა ქართული დემოკრატიული მედია და ეს იდეოსინკრაზია მის შინაარსსა და ფორმაზეც აისახებოდა.

ნაშრომში, კვლევისთვის შერჩეული პერიოდული გამოცემების რაოდენობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, სვეტის განვითარებისა და ტრანსფორმაციისთვის ნიშნეული რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომლებიც მისი, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის ფორმირებასა და პოპულარიზაციასთან არის კავშირში. გამოიკვეთა ასევე, სვეტის სინთეზური ხასიათი - ფელეტონის, ესესა და კომენტარის შერწყმის შედეგად ფორმირების გზა. ამასთან, რაოდენობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე ეტაპზე ბეჭდვით მედიაში სვეტის ნიმუშებს თითქმის ველარ ვხვდებით. მისი, როგორც პუბლიცისტური ჟანრის ჩანაცვლება ბლოგით მოხდა, რაც ელექტრონული მედიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ გამოიწვია.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტური სვეტის ახალ ქართულ ბეჭდვით მედიაში დამკვიდრების პროცესზე თვალის მიდევნებამ მკაფიოდ წარმოაჩინა დამოუკიდებელი, თავისუფალი ქართული პრესის განვითარების თავისებურებები, გვიჩვენა ის სირთულეები, რაც თანსდევდა დემოკრატიზაციის პროცესს, გამოიკვეთა მესვეტეობის შემოქმედებითი ასპექტები და ავტორთა წერის მანერა, ის მდიდარი გამოცდილება, რაც ამ მხრივ ჩვენმა მწერლობამ დააგროვა. ვფიქრობ, საკითხის შესწავლის ეს მცდელობა ხელს შეუწყობს მედიამკვლევრებსა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულ მეცნიერებს დემოკრატიზაციის ტენდენციებსა და ქართული პრესის შემოქმედებით თავისებურებებზე წარმოდგენის შესაქმნელად. იგი შემდგომი სიღრმისეული კვლევების საწინდრადაც შეიძლება იქცეს.

დანართი:

გრაფიკი №1. 1990-2017 წლებში სვეტის კლასიფიკაციის პროცენტული მაჩვენებელი (=4128)



გრაფიკი №2. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი ჟურნალ „გზაში“ (=719)



გრაფიკი №3. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი ჟურნალ „ლიბერალში“ (=87)



გრაფიკი №4. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ (=42)



გრაფიკი №5. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი ჟურნალ „ტაბულაში“ (=381)



გრაფიკი №6. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (=299)



გრაფიკი №7. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზეთ „24 საათში“(=1046)



გრაფიკი #8. გაზეთ 24 საათის მუდმივი მესვეტეები



გრაფიკი #9. გაზეთ 24 საათის არამუდმივი მესვეტეები



გრაფიკი №10. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზეთ „ახალ ვერსიაში“ (=567)



გრაფიკი №11. სვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზეთ „ვერსიაში“ (=226)



გრაფიკი №12. სვეტების თემატური კლასიფიკაცია



ბიბლიოგრაფია:

Anderson, J. (2012). *Media Research Methods.* LosAngeles/London: SAGE Publications.

Anderson, J. (2012). *Media Research Methods, Understanding Metric and Interpretive Approaches.* London: Sage Publication.

Berger, A. (1991). *Media Research techniques.* CA: Sage.

Cambridge Dictionaries online. (n.d.). From www.dictionary.cambridge.org.

Cardoza, M. (2000). *You can write a column.* Cincinnat: Writer's Digest Books.

Dahl, R. A. (1973). *Polyarchy: Participation and Opposition.* New Haven: Yale Univ.Press.

Denzin, N., & Lincoln, Y. (1994). *Handbook of qualitative research.* California: Sage Publication.

Eaman, R. (2009). *The A to Z of Journalism.* USA: Scarecrow Press.

Ellis, L. (1994). *Research methods in the social science.* Oxford: Brown and Benchmark.

Fink, C. C. (2004). *Writing Opinion for Impact.* Oxford: Blackwell Publishing.

Hallin, D., & Mancini, P. (2004). *Comparing Media Systems.* Cambridge: University Press.

Hallin, D., & Paolo, M. (2004). *Comparing Media Systems.* Cambridge: Cambridge University Press.

Hardukiewicz, J. (2013). Polish Felieton and English Column in the Light of the Existing Research. *Styles of Communication* , 51-71.

Hicks, W. (2001). *Writing for Journalists.* London and New York: Routledge.

Hirst, M., & Gurke, L. (1996). *Across the Genres: How Journalism is changing in the 1990s.* Journalism Education Association.

Jill, D. (2012). The feminist spectator as critic . *University of Michigan Press* .

Joel, H. (2012). *The Americanization of the British Press, 1830s-1914.* Palgrave Macmillan.

Kouki, H. (2003-4). The Politics of History and the History of Politics: The rewriting of the Past During Perestroika (1985-1990). *Historein* , 131-160.

Macnamara, J. (2005). Media content analysis: Its uses, benefits and Best Practice Methodology. *Asia Pacific Public Relations Journal* , 6.

McNair, B. (1991). *Glasnost, Perestroika and Soviet Media.* London: Routledge.

McQuail, D. (2010). *Mass Communication Theory.* London: SAGE.

Phillips, A. (2007). *Good Writing for Journalists.* London: Sage Publications.

Randall, D. (2000). *The Universal Journalist.* London: Plutopress.

Riley, S. (1995). *Biographical Dictionary of American Newspaper Columnists.* London: GREENWOOD PRESS.

Scherlen, A. (2008). Columns and Blogs: Making Sense of Mergin Worlds.

Sinclair, J. (1994). *BBC English Dictionary.*

Standring, S. (2008). *The Art of Column Writing* . Portland: Marion Street Press.

Standring, S. (2014). *The Art of Opinion Writing.* Portland: Marion Street Press.

Stein, J. (1971). *The Random House Dictionary of the English Language.* The Unabridged Edition.

Stephenson, D. (1998). *How to Succeed in Newspaper Journalism.* London: Kogan Page Ltd.

Summers, D. (1993). *Longman Dictionary of English Language and Cultura.* Harlow: Longman.

Tarasulo, I. (2001). *Gorbachov and Glasnost. Vewpoints from the Soviet Press 1989.* London.

Zander, H. (1999). *Fact-Fiction-"Faction".* Turbingen: Muller+ Bass.

Бакулев, Г. П. (2005). Массовая коммуникация: Западные теории и концепции. *Аспект Пресс* .

Вартанов, Г. (1997). Основы журналистики.

Ворошилов, В. (2001). *Журналистика.* Санкт-Петербург.

Гордеев, Ю. (2015). Колумнистика в печатных и интернет-изданиях: Жанровый Аспект.

Дерябина, Ю. (2001). Колонка как аналитический жанр спортивного изданияю.

Деяк-Якобишина, Е. М. (2013). Авторская колонка: Традиционный Жанр или Новая Форма. *Веснік БДУ*

Кройчик, Л. (2000). *Система журналистских жанров.*

Линяева, А. (б.ф.). Особенности жанра колонки редактора в современной перериодической печати.

Ляпун, С. В. (б.ф.). *Новые подходы к классификации газетных жанров в теории и практике журналистики* .

Мерзляков, Р. В. (1998). Своеобразие жанра колонки М. Соколова. *Проблемы литературоведения* .

Михаилов, С. (2002). Колумнистика. *Журналист №11-12* .

Постникова, Е. (2015). Жанровые Особенности Авторской Колонки Фиделя Кастро "Размышления". *"Грамота"* .

Распопова, С. С. (2015). Автор Как Реальный Человек и Образ Автора в Медиатексте. *Теории и практики журналистики. т. 4. № 2* .

Соколова, А. (2011). Исторические Особенности Развития Аналитической Журналистики в Испании: Расцвет Колонки на Рубеже XX—XXI вв. *Вести. МОСК. УН-ТА. СЕР. 10. Журналистика.* .

Тепляшина, А. (б.ф.). Жанровая Модель Авторской Журналистики. Журналистский ежегодник.

Тертычный, А. (2002). Трансформация жанровой структуры современной периодической печати. *Вестник МГУ. Сер. 10. Журналистика. № 2.* , 54-83.

Тимченко, И. (2014). Авторская колонка в российской и американской прессе. *Научные труды СЗИУ РАНХиГС. Том 5. Выпуск 1 (13)* .

Федорин, В. (2017). За што я люблю колонки и настоящих экономистов.

Ярцева, С. (2011). Жанровые Признаки Колонки. *Воронежский государственный университет. № 1* , 226-228.

ბერტრანი, კ.-ჟ. (2004). მედია ეთიკა. *თავისუფლების ინსტიტუტის გამოცემა* , 46.

ბრაიანტი., ჯ., & ტომპსონი, ს. (2004). *მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზემოქმედების საფუძვლები.*

ბრეგაძე, ლ. (2005). ქართული ჟარგონის ლექსიკონი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გაბუნია, ლ. (2001). პირის დაღების ოსტატები. *ახალი ვერსია* , 5.

გაგოშიძე, შ. (1985). *ჟურნალისტიკა და საზოგადოება.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გერსამია, მ. (2011). *ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში.* თბილისი: უნივერსალი.

გვერდწითელი, გ. (1984). *მწერლებზე და მწერლობაზე.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დელფორი, მ. (2009). *მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის.* თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

ვეკუა, მ. (2008). *ჟურნალისტიკის პრინციპები.* თბილისი: უნივერსალი.

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

კაპანაძე, გ. (2010). *ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში.* თბილისი.

კვანჭილაშვილი, ტ. (1974). *ლიტერატურული წერლები და პორტრეტები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ლაურა, კ. (2001). თანამედროვე ქართული პრესის შესახებ. *ჯურნალისტური ძიებანი* , 12.

მაისაშვილი, ხ. (1993). და თუ ვინმეს აქ მყოფთაგან არ ვუყვარვარ. *7 დღე* , 3.

მაისაშვილი, ხ., სვანიძე, ნ., ასანიძე, მ., ბრეგვაძე, ნ., & საჯაია, ქ. (2017). "გლასტნოსტური" ისტორიების კიტხვისას. თბილისი.

მაკლუენი, მ. (2003). *საშუალება არის შეტყობინება.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მესვეტე, გ. (2009). დახავსებული 2008. *ახალი ვერსია* , 3.

მეტრეველი, მ. (2013). პრეზიდენტობის ციებ-ცხელება. *კვირის პალიტრა* , 3.

მეტრეველი, მ. (2015). ქამრების შემოჭერა. *კვირის პალიტრა* , 3.

მორჩილაძე, ა. (2009). კაცი და ბუ. *ლიბერალი* , 10.

მუსხელიშვილი, მ. (2003). მასმედია. დემოკრატიის განვითარება საქართველოში. *ჩივილ დუცატიონ* .

ნაჩმიასი, ჩ.-ფ. (2009). *კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნაცვლიშვილი, პ. (2009). *ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის.* თბილისი.

ნოდია, გ. (2003). *დემოკრატიის შექმნის ორი მცდელობა საართველოში:თხუთმეტწლიანი გზის შეჯამება. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში.* თბილისი.

ნოდია, გ. (2005). სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. *სამოქალაქო განათლება* , 72.

ნოდია, გ. (2005). *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი.

პოპერი, კ. (1998). კიდევ ერთხელ ღია საზოგადოებისა და მისი მტრების შესახებ. *ეპოქა* .

პროვოკატორი. (2013). ნაგავი. *გზა* , 5.

პროვოკატორი. (2003). ძირს ხორცმეტებო!ანუ ქომაგი. *გზა* , 5.

ჟორჟოლიანი, გ., ბერეკაშვილი, თ., & მუსხელიშვილი, მ. (2001). *დემოკრატიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

ჟორჟოლიანი, გ., ბერეკაშვილი, თ., & მუსხელიშვილი, მ. (2001). *დემოკრატიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

რეპკოვა, ტ. (2006). *ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში.* თბილისი.

რეხვიაშვილი, ლ. (2012). *საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა.* თბილისი: განათლებისა და განვითარების ცენტრი.

სალდაძე, მ. (2009). *მედია სივრცის პლურალიზმის პრობლემები საქართველოში.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

სთორი, ჯ. (2007). *კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სურგულაძე, რ. (2003). *მასობრივი კომუნიკაცია.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

სურგულაძე, რ. (1996). *ჟურნალისტიკათმცოდნეობის საფუძვლები.* თბილისი: ნიკე.

ტაბაღუა, ს. (2009). ლოსსე როგორც ინოვაციური ჟურნალისტური ჟანრი და მისი სინთეზური ხედვის ლოგიკურ-თეორიული ასპექტები. *ინტელექტუალი* .

ტაბიძე, ნ. (1968). *ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ტაბიძე, ნ. (1978). *წერილები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ტურაშვილი, დ. (2008). საავტორო სვეტი. *ცხელი შოკოლადი* , 8.

ტყებუჩავა, დ. (1994). *პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები.* თბილისი: უნივერსალი.

ტყებუჩავა, დ. (2009). *ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში.* თბილისი: უნივერსალი.

ტყებუცავა, დ. (1999). *ფიქრები ზნეობრივ ღირებულებებზე ჟურნალისტიკაში.* თბილისი: უნივერსალი.

შავერდაშვილი, შ. (2009). რედაქტორის სვეტი. *ლიბერალი* , 3.

შავერდაშვილი, შ. (2013). რედაქტორის სვეტი. *ლიბერალი* , 3.

შამილიშვილი, მ. (2011). ვაჟა-ფშაველა მესვეტე. *ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი V საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები* , 371-365.

შამილიშვილი, მ. (2013). იუმორისტული ტელეტექსტი, როგორც იდეოლოგიური კონცეპტი. *კრიტიკა* , 20-22.

შამილიშვილი, მ. (2007). პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: "ქართული გაზეთის ბერლინი, 1916-1918" მასალათა მიხედვით. *კრიტიკა* , 27-33.

წულაძე, ლ. (2006). *აკადემიური წერა.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

წულაძე, ლ. (2008). *რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ჭუმბურიძე, ი. (2006). *თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები.* თბილისი.

ჯაში, მ. (1999). გერმანული საგაზეთო ტექსტების ჟანრობრივი დახასიათება. *ენა, თარგმანი, ლიტერატურა* , 112-125.